პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible] თბილისი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური ⁊ თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ., № 16 მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ინდოეთსა და სპარსეთში მოხდა ძლიერი მიწისძვრა.
- ამერიკის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ნიკარაგუას მცხოვრებთ.
- შანხაიში აბრეშუმის საქსოვ ქარხნების დახურვის გამო დაითხოვეს 20 ათასი მუშა.
- ვარშავაში გაემგზავრა რუმინეთის სამხედრო მისია გენერალური შტაბის უფროსის მეთაურობით.
- მაკდონალდმა უარი განაცხადა უმუშევართა დელეგაციის მიღებაზე.
- გრძელდება ინგლისის საფეიქრო მრეწველობის მუშების გაფიცვა.
- შეღავათები მებამბეობის კოლმეურნეობებს.

ხუთშაბათი, 8 მაისი 1930 წ. ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი ფასი 5 კაპ. № 105 (2753)

გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს

საქართველოს მრეწველობამ სამეურნეო წლის პირველი ნახევარი დანაკლისით დაამთავრა: გეგმა განუხორციელებელია როგორც პროდუქციის რაოდენობის, ისე თვითღირებულების შემცირების მხრივ. ჯერ კიდევ სამეურნეო წლის პირველ კვარტალშივე აშკარა იყო, რომ საქართველოს მრეწველობა საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებდა. ამიტომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა ენერგიული ზომები მიიღეს მდგომარეობის გამოსასწორებლად მეორე კვარტალის განმავლობაში. მაგრამ, როგორც უკანასკნელად შეკამებული ცნობები მოწმობენ, მეორე კვარტალის მიღწევები უმნიშვნელო აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, თუ პირველ კვარტალში საგეგმო დავალებანი საქართველოს მრეწველობამ შეასრულა 97,9 პროცენტით, მეორე კვარტალში ეს ციფრი მხოლოდ 1 პროცენტით გაიზარდა. საერთოდ კი სამეურნეო წლის ნახევრის გეგმა შეუსრულებელი დარჩა.

სად უნდა ვეძებოთ ასეთი არანორმალური მდგომარეობის მიზეზები? თავისთავად ცხადია, რომ მთელ რიგ ობიექტიური ხასიათის დაბრკოლებები დიდ სიძნელეებს ქმნიდენ გეგმის წარმატებით შესრულებაში. ასეთ მიზეზთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ნედლი მასალის ნაკლებობას, კვალიფიციურ მუშა-ხელის სიმცირეს და სხვ. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ამ მიზეზების გაზვიადება. ასეთი განწყობილება კი ერთობ გავრცელებულ სნეულებას წარმოადგენს.

„ობიექტიურ" მიზეზების საფარქვეშ ხშირად ცდილობენ მიჩქმალონ ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალის, ფაბქარკომებისა და პარტუჯრედების უხეირო მუშაობა მეურნეობის დარგში. ამ ყალბ მიდრეკილებას პირველ ყოვლისა დაუნდობლად აშკარავებენ იგივე ციფრობრივი ცნობები, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ ცალკე საწარმოო ერთეულების მიხედვით. ირკვევა, რომ სწორედ იქ, სადაც ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა თავის სიმაღლეზე იდგა, სადაც ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები მეტ აქტივობას იჩენდენ სამეურნეო საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში, საწარმოო-საფინანსო გეგმა წარსულ ნახევარი წლის განმავლობაში **გადაჭარბებით** იქნა შესრულებული. მაგალითად, თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკამ პროგრამა შეასრულა 120 პროცენტით, **ფანერის ფაბრიკამ** — 169 პროცენტით, **ქეჩის ფაბრიკამ** — 134 პროცენტით **და სპილენძის სატკეც ქარხანამ** — 108 პროც.

ამავე დროს არის მთელი რიგი საწარმოები, რომელნიც სამარცხვინოდ ჩამორჩნენ გეგმის შესრულებაში. ასეთ საწარმოებს შორის უნდა აღინიშნოს მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელმაც გეგმა მხოლოდ 59 პროცენტით შეასრულა, ქარხანა „ლურსმანი", სადაც გეგმა შესრულებულია 66 პროცენტით, აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკა — გეგმა შესრულებულია 67 პროცენტით და სახერხი ქარხნები, რომლებმაც გეგმა შეასრულეს 87,95 პროცენტით.

ზედმეტია სხვა ფაქტების დასახელება. ეს მოკლე ცნობებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ საქმე არის არა (ან არა მარტო) ობიექტიურ დაბრკოლებებში, არამედ ადგილობრივ ორგანოების მოუქნელობაში, მუშაობის ორგანიზაციულ შეუსაბამობაში და სხვა სუბიექტიურ მიზეზებში.

დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, რომ ბრძოლა საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულებისათვის თვითეულ ფაბრიკაში და ქარხანაში **ნამდვილად გადაიქცეს უმთავრეს ამოცანად.** ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისაკენ უნდა იქნას მიმართული მთელი საფაბრიკო-საქარხნო საზოგადოებრიობის ყურადღება.

მთავარი, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ქარხნის ადმინისტრაციის და ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის შეფასების დროს, ეს არის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება: მეტი, უკეთესი და იაფი პროდუქციის გამოშვება. ამას კი მხოლოდ მაშინ მიაღწევენ ადგილობრივი ორგანოები, თუ კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, თუ დაუნდობლად აღმოფხვრიან ცრუდამკვრელობას, ბოლო დროს გახშირებულ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, თუ განუხრელად და სრულად გაატარებენ ერთმმართველობას და სხვ. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს დღეს, სამეურნეო წლის მეორე ნახევარში, რომელსაც **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.**

უნდა მივაღწიოთ გადამჭრელ გარდატეხას!

უნდა გავაათკეცოთ მუშაობა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის!

რეალური ხელფასის გადიდება და პროფკავშირების ამოცანები

რეალური სამუშაო ხელფასის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე სამეურნეო წლისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 პროცენტით, ხოლო რეალური ხელფასისა 12 პროცენტით—ასეთია პარტიისა და მთავრობის დავალება.

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ რეალური ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა „სამრეწველო საქონლის ფასების შემცირებისაკენ აღებული კურსის განგრძობა, ყველა საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და პარტიული ორგანიზაციების გამძაფრებული მუშაობა ისეთი საქმეების მოსაგვარებლად, როგორიც არის სამრეწველო რაიონებისათვის სურსათ-სანოვაგისა და სამრეწველო საქონლის მიწოდება, საკვები რესურსების რაციონალურად გამოყენება და განაწილება, საკვები პროდუქტების გაუმჯობესებული შენახვა და გადამუშავება, ხორცისა და რძის საქმეების უფრო რაციონალურად მოწყობა და სხვ.".

4 თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მოცემულ იქნა ჩვენი პარტიის ეს კონკრეტული, დაკვრითი და უმნიშვნელოვანესი დირექტივა. როგორ შეასრულეს ეს ამოცანა კოოპერატიულმა, პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა?

მრავალი ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ საქმეში ჩვენ ყოვლად შეუწყნარებლად ჩამოვრჩებით. ეს შეუწყნარებლად ნელი ტემპი კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში ვერავითარი ობიექტიური პირობებით ვერ აიხსნება. ძირითადი მიზეზი ის არის, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს რეალური ხელფასის ნავარაუდევი რაოდენობით გადიდების ამოცანა. სამომხმარებლო კოოპერაცია რამდენიმე თვის განმავლობაში სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მას არ შეუძლია 2,5—3 პროცენტით შეამციროს გასაყიდი ფასები, ვინაიდან ამის განსახორციელებლად საჭირო გახდება ნორმალური დაგროვების და ნაწილობრივ ძირითადი კაპიტალების შემცირებაო. იმის ნაცვლად, რომ ბოლშევიკურად შესდგომოდნენ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკების მხრივ ჩვენ ვხედავდით ობიექტიურ პირობებზე მითითებას და სხვ. პროფკავშირული ორგანიზაციები, რომელთათვისაც რეალური სამუშაო ხელფასისათვის ბრძოლა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს, ნაცვლად იმისა, რომ აეძულებინათ კოოპერაცია ემუშავნა ამ დავალების შესასრულებლად, არსებითად გართულნი იყვნენ ლაპარაკში და არაკონკრეტულ საქმეში.

პროფკავშირების უმრავლესობა დღემდე საკმაოდ გადამჭრელ ბრძოლას არ აწარმოებს კოოპერატიული აპარატის უმოძრაობასა და წინააღმდეგობასთან, აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს დაფარული რეზერვების გამონახვაში, ბოლშევიკური სიმტკიცითა და თავგამოდებით არ იბრძვის კადრებისათვის, დანაკარგებისა და დანაკლისების შემცირებისათვის და სავაჭრო აპარატის ღირებულების საერთო გაიაფებისათვის, ისინი ამ საქმის ირგვლივ ვერ რაზმავენ მუშათა და ფართო მასების ყურადღებას.

ვაჭრობის განსაზოგადოებულ სექტორს დაკისრებული აქვს უდიდესი მნიშვნელობის და ამავე დროს სიძნელის ამოცანა, მაგრამ ამ ამოცანის შესრულება სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან მას საკმაოდ მტკიცე მატერიალური წინასწარი პირობები აქვს. ამას ამტკიცებენ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონების 144 პუნქტში 4.500 კოოპერატიული ერთეულის გამოკვლევის მასალები. ამ გამოკვლევამ, რომელიც ჩატარებულ იქნა 60.000-ზე მეტი მუშის მონაწილეობით, ცხადჰყო, რომ კოოპერაციას თავისუფლად შეუძლია 3 პროცენტით შეამციროს საცალო ფასები.

რეალური სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის მოცემულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ მუშათა მომარაგება 95 პროცენტით მოექცეს ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის ხელში, შარშანდელი 74 პროცენტის ნაცვლად. ამოცანა ის არის, რომ მუშათა ცენტრების მომარაგების მატერიალური გეგმა, სადუქნო ქსელისათვის საქონლის მიწოდების ნორმები და სხვ. ისე ავაგოთ, რომ მუშა სავსებით უზრუნველვყოთ საქონლით და დავიცვათ მუშის რეალური საარსებო დონე კერძო სექტორის და მისი მეტის მეტად მაღალი სპეკულიატიური ფასების გავლენისაგან. კერძო ვაჭრის განდევნასთან ერთად კოოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა იჭერდეს მის ადგილს ბაზარზე. სწორი არ არის კერძო ვაჭრის განდევნა უბრალო ადმინისტრატიული ზომებით, თუ საქმიანობაში მისი ადგილი სათანადოდ არ დაიჭირა კოოპერაციამ. სინამდვილეში ეს იწვევს ქარულად ვაჭრობას და ფასების ძალზე აწევას. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა დონბასში და სხვა რაიონებში. მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში, სადაც კერძო ვაჭარს საცალო ვაჭრობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს (ურალი, დონბასი, ხარკოვი და სხვ.), კერძო ვაჭრის შევიწროებას და მისი ადგილის დაჭერას ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის მიერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ხელფასის გადიდების საქმეში.

მეორე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ფასებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირება. სწორედ ეს წარმოადგენს განსაკუთრებით სუსტ ადგილს ვაჭრობის მთელი განსაზოგადოებული სექტორის მუშაობაში. თუ თვითღირებულების შემცირების საკითხებს მრეწველობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ეს არ შეიძლება ითქვას ბრუნვის ხარჯებზე სავაჭრო სექტორში. ამავე დროს ამ საკითხის სწორად გადაჭრა საჭიროა მუშათა კლასის რეალური კეთილდღეობის ასაწევად.

ბრუნვის ხარჯების წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასში (მთელი თანხა იმ ხარჯებისა, რაც სჭირდება პროდუქტების მიღწევას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე), საკავშირო პროფსაბჭოს მიერ ჩატარებული აღნიშნული გამოკვლევის მასალების მიხედვით, მეტად თვალსაჩინო ოდენობას შეადგენს. ასე, მაგალითად, გამომცხვარი პურის საცალო ფასში ეს წილი (დაფქვისა და გამოცხობის ჩათვლით) შეადგენს 65 პროცენტს, კარაქის ფასში (გადამუშავების ჩათვლით)—50 პროცენტს, კვერცხის ფასში—35 პროცენტს, ბოსტნეულის ფასებში—75 პროცენტზე მეტს, ხოლო ზოგიერთ რაიონში და ბოსტნეულის ცალკე სახეებზე 300 პროცენტს აღწევს. ამ ნიადაგზე ჩვენ ვხედავთ ყოვლად უხეშ დარღვევას პოლიტიკაში (გამოტოვებულია). 1928-29 წელს პურზე კოოპერაციამ მიიღო 11 მილიონი მანეთი წმინდა მოგება. ეს ილიუსტრაცია საკმაოა იმისათვის, რომ საბოლოოდ გაბათილებულ იქნას კოოპერაციის საბუთები იმის შესახებ, ვითომ შეუძლებელია საცალო ფასების შემცირება, აგრეთვე იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა დიდი რეზერვები მოგვეპოვება აქ.

დანართი ფასების სისტემაში მეტად დიდი ადგილი უჭირავს დანაკარგებს, დანაკარგების, როგორც მაღალი დანართი ფასების მიზეზის, ირგვლივ დარაზმულ უნდა იქნას პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურადღება. ეს არის ის რეზერვი, რომელსაც, თუ პროდუქტები სათანადოდ იქნება დაცული, გადაზიდული და მოვლილი, შეუძლია ერთსა და იმავე დროს მოგვცეს სასურსათო რესურსების გადიდება და ფასების თვალსაჩინოდ შემცირება. კერძოდ, გადასინჯულ უნდა იქნას შენახვისა და დაბნევის ნორმები. ბევრმა მუშათა კოოპერატივმა ფაქტიურად შესძლო მთელ რიგ საქონელზე ორჯერ შემცირება ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „ნორმები".

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ მრავალ შემთხვევაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საზოგადოებრივი კვების საქმე. ისეთ მიზეზებთან ერთად, როგორიც არის სასადილოებისათვის სადგომების ნაკლებობა, ჩვენ ვხედავთ მრავალ შეუწყნარებელ უმსგავსოებას საზოგადოებრივი კვების დაყენების საქმეში (საჭმელის ცუდი ხარისხი, მაღალი ღირებულება, ანტისანიტარია და სხვ.) ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას აფერხებს საზოგადოებრივი კვების არასაკმაოდ სწრაფი განვითარება.

სრულიად არასაკმაოა კოოპერაციის მუშაობის ტემპი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის საქმეში. უკეთეს მდგომარეობას ვერ ვხედავთ ქალაქის განაპირა ადგილებში კოოპერატიული ბოსტნების განვითარებისა, სარძეო ფერმების შექმნისა და ღორების გასუქების ორგანიზაციის გეგმის შესრულების საქმეში. აქაც ჯერ კიდევ ძალიან ნაკლებად სწარმოებს ნამდვილი კონკრეტული მუშაობა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად. არა ერთია ისეთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ფორმალურად, უყურადღებოდ უდგებიან კოოპერატიული ბოსტნებისათვის თესლის მიწოდებას, მიწების გამოყოფას და აჭიანურებენ ამ საქმეს.

აი ის ძირითადი საკითხები, რომლების ირგვლივაც უნდა დაირაზმონ, როგორც თვით მოვაჭრე ორგანიზაციების, ისე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელნიც ითვალისწინებენ მიმდინარე წელს რეალური ხელფასის გადიდებას **12 პროცენტით მაინც.**

ზემოთ ჩამოთვლილ დეფექტებს იმიტომ შეიძლებოდა მხოლოდ ადგილი ჰქონოდა, რომ პროფკავშირები სრულიად არადამაკმაყოფილებელ მონაწილეობას იღებენ კოოპერაციის მუშაობაში. კლასობრივი ხაზის დამახინჯებანი მუშათა მომარაგების პრაქტიკაში, ფასების პოლიტიკაში (ჩრდილოეთ კავკასია, ურალი, დონბასი და სხვ.), თვითკრიტიკის არასაკმაოდ გაშლა, მუშათა კოოპერაციაზე საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტება მუშათა კლასის მაღალი აქტივობისა და შრომის ნაყოფიერებისათვის მისი ბრძოლის პერიოდში, — ყოველივე ეს წარმოადგენს იმის შედეგს, რომ მუშათა კოოპერაციას სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მისი ცენტრები და მომწესრიგებელი ორგანოები და სათანადო მოქნილობას ვერ იჩენენ პროფესიონალური ორგანიზაციები.

რეალური სამუშაო ხელფასის შესახებ მოცემული დავალების შესრულება პროფკავშირებისაგან მოითხოვს, რომ მათ გადამჭრელი გარდატეხა მოახდინონ და უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერაციის მუშაობაში. ეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა წარმატებით იქნება შესრულებული, თუ უზრუნველყოფილი იქნება ნამდვილი მასიური აქტივობა და მასიური კონტროლი ვაჭრობის მთელი განსაზოგადოებული სექტორის მუშაობის მიმართ.

„იზვესტია", 7 მაისი.

სავაჭრო კრედიტების საკითხი ინგლისის პარლამენტში

დემონსტრაციებისა და გაფიცვების ძლიერი ტალღა ინდოეთში

ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში.—სამი თვის განმავლობაში გაკოტრდა 317 ბანკი

ნიუ-იორკში გამოქვეყნებული ყალბი დოკუმენტები დამზადებულია რუს თეთრგვარდიელების მიერ

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში საგარეო ვაჭრობის კანონპროექტის განხილვის დროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსმა **ჯილეტმა** აღნიშნა, რომ მთავრობა არ მოითხოვდა რომელიმე ქვეყნისათვის, მათ შორის საბჭოთა კავშირისათვის, მისაცემი კრედიტის რაოდენობის შეზღუდვას. ჯილეტი თანახმაა, რომ ინგლისის საექსპორტო ვაჭრობას სჭირდება გრძელვადიანი კრედიტები, მაგრამ სათათბირო კომიტეტი, რომელიც კრედიტებს ანაწილებს საბჭოთა კავშირთან წარმოებული ოპერაციების მიხედვით, უმთავრესად მოკლევადიან კრედიტებს იძლეოდა. ასეთი საკრედიტო პოლიტიკა გამოკვლეულ უნდა იქნას. მუშათა პარტიის დეპუტატმა ქ-ლმა ვილკინსონმა მოუწოდა ჯილეტს — **მოახდინოს რადიკალური ცვლილებანი იმ სათათბირო კომიტეტის შემადგენლობაში,** რომელიც კრედიტებს ანაწილებს, ან სხვა გზით შესცვალოს კომიტეტის პოლიტიკა". (ადს).

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე **ჰენდერსონმა** სთქვა: საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც საგარეო ვაჭრობა მთავრობის მონოპოლიას შეადგენს, რის გამოც **ინგლისში უცხოეთის არც ერთი სავაჭრო დელეგაცია არ იმყოფება ისეთ პირობებში, როგორშიაც საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია"** (ე. ი. არ სარგებლობს დიპლომატიური ხელშეუხებლობით).

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვებზე **ჰენდერსონმა** განაცხადა: მთავრობას საბუთი არ ჰქონდა, რომ თავისი სახელით ან ერთ-ერთი დომინიონის, ან ინდოეთის დავალებით რაიმე ფორმალური განცხადება გაეკეთებინა საბჭოთა მთავრობისათვის პროპაგანდის საკითხის გამო".

ეკონომიური კრიზისი შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 7 მაისი. ამა წლის პირველ მეოთხედში საწარმოთა მოგება 25 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ის მოგება, რომელიც მათ წარსული წლის პირველ მეოთხედში მიიღეს.

პირველ სამ თვეში გაკოტრდა 318 ბანკი, წარსული წლის პირველ მეოთხედში კი — 183 ბანკი. **გაკოტრების რაოდენობა ამა წლის აპრილში 14 პროცენტით უფრო მეტია, ვიდრე შარშანდელი წლის აპრილში.**

უკანასკნელ თვეს აქციები საგრძნობლად დაეცა. **ხუთ მაისს გაიყიდა 8 მილიონამდე აქცია.** (ადს).

გამოაშკარავებული პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 6 მაისი. ვაშინგტონიდან იუწყებიან: ზოგიერთი კორესპონდენტები ჰფიქრობენ, რომ ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამზადებაში მონაწილეობას იღებდა ყალბი დოკუმენტების ცნობილი დამამზადებელი **ნოგოვიცკი.** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა სანდო წყაროებიდან გაიგო, რომ **უოლენის** მიერ ყალბი დოკუმენტების გამოქვეყნებამდე ერთმა რუსმა თეთრგვარდიელმა წინადადება მისცა ნიუ-იორკის ორ საგაზეთო ტრესტს—ეყიდათ ეს ყალბი დოკუმენტები. (ადს).

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება ჩაშლის წინ

ბურჟუაზიული პრესა იწონებს ჰენდერსონის მტკიცე პოლიტიკას

ლონდონი, 7 მაისი. კაიროდან შიკრიკის დაბრუნების შემდეგ **ინგლის-ეგვიპტეს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ განახლებული მოლაპარაკება კვლავ ჩიხში მოექცა.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობა აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მოლაპარაკებას ელობებიან. როგორც ეტყობა, ეგვიპტეს დელეგატებმა ეგვიპტედან მიიღეს ინსტრუქცია — **წინანდებურად მოითხოვონ, რომ სუდანს ინგლისი და ეგვიპტე ერთად განაგებდნენ. უთანხმოებამ თავი იჩინა სხვა საკითხებშიაც.** ბურჟუაზიულ პრესას შესაძლებლად მიაჩნია **მოლაპარაკების კრახით დამთავრება.** გაზეთები ერთხმად აქებენ ჰენდერსონს და მის მტკიცე პოზიციას. (ადს).

„მუშათა" მთავრობა მუშების წინააღმდეგ

მაკდონალდმა არ მიიღო უმუშევართა დელეგაცია

ლონდონი, 7 მაისი. ვინაიდან **მაკდონალდმა არ დააკმაყოფილა წერილობითი თხოვნა „მშიერი ლაშქრობის" უმუშევართა დელეგატების, მიღების შესახებ,** მასთან მოსალაპარაკებლად დაუნინგ-სტრიტში გაიგზავნა 12 წარმომადგენელი. **წარმომადგენლებს პოლიციელებით გარს შემორტყმული დახვდა ის სახლი, სადაც მაკდონალდი სცხოვრობს. დელეგაცია პოლიციელებმა არ შეუშვეს პრემიერთან** (ადს).

იმპერიალისტების სიტყვა და საქმე

შეერთებული შტატების „მშვიდობიანი" პოლიტიკა ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი. 6 მაისი. წარსულ კვირას ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებმა განაცხადეს, რომ ნიკარაგუას ტერიტორიიდან 500 მეზღვაურს გაიწვევენ და მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებენ ამ რესპუბლიკის მიმართ. მაგრამ 4 მაისს ამერიკის 7 ჰიდროპლანმა **50 ყუმბარა ჩამოჰყარა სანდინოს აჯანყებულთა მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე.** მოკლულ იქნა ბევრი რევოლიუციონერი. (ადს).

რუმინეთი აძლიერებს შეიარაღებას

სამხედრო მისიის გამგზავრება ვარშავაში

ვენა, 6 მაისი. რუმინეთის გაზეთები იუწყებიან: გენერალური შტაბის უფროსის სამსონოვიჩის მეთაურობით ვარშავაში გამგზავრებული რუმინეთის სამხედრო მისია, პოლონეთის გენერალურ შტაბთან ერთად, განიხილავს არმიის რეორგანიზაციისა და სამხედრო მრეწველობის შექმნის საკითხებს. გაზეთები გადაკვრით ამბობენ, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლებიო. (ადს).

საალყო წესები სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 7 მაისი. პირველი მაისის წინა დღეებში გამოცხადებული საალყო წესები ჯერაც არ მოუხსნიათ სამხრეთ-სლავიაში. განაგრძობენ მუშების მასიურად დაპატიმრებას. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს იმ მფრინავებს, რომლებმაც სამხრეთ სლავიის სხვადასხვა ქალაქში აეროპლანიდან კომუნისტური ფურცლები ჩამოჰყარეს. (ადს).

ფეიქრები ბრძოლას განაგრძობენ

ლონდონი, 7 მაისი. შალეულის მრეწველობის მუშათა რევოლიუციონური საგაფიცვო კომიტეტი ბრედფორდში გამოშვებულ ბიულეტენში აშკარავებს რეფორმისტების თვალთმაქცობას: რეფორმისტები სცდილობენ შეთანხმების მიღწევას შალეულის მუშათა ხელფასის 5 სამი მეოთხედი პროცენტით შემცირების საფუძველზე. საგაფიცვო კომიტეტი მოუწოდებს მექანიკოსებსა და ელექტრიკოსებს—გამოაცხადონ ასპროცენტიანი გაფიცვა სოლიდარობის ნიშნად. ბრედფორდსა და შიპლიში მოეწყო საკვები პუნქტები, რომელთაც უკვე გასცეს 6.000 სადილი. საკვები პუნქტები გაფიცვის სხვა რაიონებშიაც ეწყობა (ადს).

ლონდონი, 6 მაისი. თუმცა შალეულის მრეწველობის რაიონის ბევრი ფაბრიკის პატრონმა განაცხადა, რომ მათი საწარმონი მუშაობას განაახლებენო, მაგრამ **ნამდვილად მთელ რაიონში მხოლოდ 100-მდე მუშა შეუდგა მუშაობას. ამის გამო თითქმის ყველა ფაბრიკები ხელახლა დაიხურა.**

საგაფიცვო მოძრაობის ახალ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს მღებავების პოზიცია, რომელნიც უარს აცხადებენ შტრეიკბრეხერებთან მუშაობაზე. გაფიცულთა დახმარების საქმე ბრედფორდ-შიპლიში დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. რევოლიუციონურმა საგაფიცვო კომიტეტმა განაცხადა, რომ არც ერთი გაფიცული არ განიცდის შიმშილსაო.

აძლიერებენ რეპრესიებს გაფიცულთა წინააღმდეგ. (ადს).

რევოლიუციონურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

მთელს ინდოეთს მოედო

დაწვრილებითი ცნობები პეშევარში მომხდარ აჯანყების შესახებ

ლონდონი, 6 მაისი. პრესაში თანდათან ჩნდება უფრო დაწვრილებითი ცნობები ინდოეთის ამბების შესახებ. **რეგულიარული ჯარისა და აჯანყებულთა ბრძოლის შემდეგ 23 აპრილს პეშევარი დაიჭირეს აჯანყებულებმა. ქალაქი თითქმის ორ კვირას სამხედრო საბჭოს ხელში იყო, რომელიც შეჰქმნა ნაციონალური კონგრესის ადგილობრივმა კომიტეტმა. ინდოეთის ზოგიერთი სამხედრო ნაწილები აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ.** მთავრობის ჯარმა ვერ მოახერხა 26 აპრილისათვის დანიშნული ევაკუაცია ევროპიელთა სამოქალაქო მოსახლეობის ქალების და ბავშვებისა.

ინდოეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია:

„პეშევარის ორგანიზაციების მოქმედების დამახასიათებელია კომუნისტური დოქტრინების გავრცელება, დემონსტრაცია კომუნისტური დროშებით და კომუნისტური ლოზუნგებით. **იმ ოპერაციებში, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ქალაქის დაჭერა მთავრობის ჯარის მიერ, მონაწილეობას იღებდნენ კავალერია, ქვეითი და საჰაერო ძალები. მთავრობამ დააპატიმრა აჯანყების 30 ხელმძღვანელი. ქალაქში გამოცხადებულია საალყო წესები".**

ლონდონი, 7 მაისი. ინგლისური გაზეთები ცდილობენ შეანელონ ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა **ადგილობრივი ჯარის ზოგიერთი ნაწილების გადასვლამ აჯანყებულთა მხარეზე** (პეშევარში); პრესა საქმეს ისე ხატავს, თითქოს სროლაზე უარის თქმა და იარაღის გადაცემა აჯანყებულთათვის შედეგი ყოფილიყოს სამხედრო სარდლობის ბუნდოვანი ბრძანებისა. პეშევარში დაღუპულ აჯანყებულთა შორის თითქმის 20 კაცია იმათგანი, ვინც მიწაზე დაწვა პასიური წინააღმდეგობის ნიშნად და ჯავშნოსან ავტომობილებმა გაიტანეს. (ადს).

მასიური გაფიცვები და დემონსტრაციები

ლონდონი, 6 მაისი. ინდოეთის ანტიიმპერიალისტური მოძრაობა პროვინციას მოედო. „მორნინგ პოსტ"-ის სიტყვით, ინდოელთა ბრბოები ყველგან „მრისხანეთ" გამოდიან პოლიციის წინააღმდეგ, აშინებენ ვაჭრებს და სწვავენ ინგლისურ საქონელს. **ევროპიელთა პატარა კოლონიები დიდ საფრთხეში იმყოფებიან.** ინდოეთის მსხვილ ცენტრებში, განდის დაპატიმრების გამო, გლოვის დღეები გამოაცხადეს. ამ დღეებში არა მარტო დუქნებსა და სასწავლებლებს ჰკეტავენ, არამედ აცხადებენ გაფიცვებს, მართავენ დემონსტრაციებს და [illegible]

ბომბეიში გაიმართა მუშათა დემონსტრაციები ისეთი ლოზუნგებით, რომლებიც მიმართული იყო არა მარტო იმპერიალიზმის, არამედ ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

5 მაისს გაიმართა მიტინგი, რომელშიაც **100.000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა.** დემონსტრაციებისა და გაფიცვების დროს **სხვადასხვა ქალაქში მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის.** დელიში გამართული დემონსტრაცია ნახევარი მილის მანძილზე იყო გაშლილი. **გზადაგზა დემონსტრანტები თავს დაესხნენ იმ ავტომობილს, რომლითაც კომისარი და პოლიციის უფროსი მიდიოდნენ. დემონსტრანტებმა ავტომობილი მთლიანად დაამსხვრიეს. პოლიციამ სროლა ასტეხა. დემონსტრანტთა შორის მრავალი დაიჭრა.**

სასამართლოს შენობის წინ დელიში პოლიციამ სცადა ქალებისაგან შემდგარი პიკეტების დაშლა. **ქალებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას,** პოლიციამ ჯოხებს მიმართა და 30 ქალი დასჭრა.

კალკუტაში, პოლიციის პროვოკაციის გამო, დემონსტრანტებმა აგურები და ქვები დაუშინეს პოლიციას. პოლიციამ სროლა ასტეხა. დემონსტრანტებს შორის არიან მოკლულები და დაჭრილები.

ჯულუნდერში მუშებმა სცადეს რკინის გზაზე გამავლის შეჩერება, რისთვისაც წვებოდნენ ლიანდაგზე და ხსნიდნენ რელსებს. პოლიციამ მუშებს სროლა აუტეხა. დაიჭრა 15 მუშა.

ანტიიმპერიალისტური რევოლიუციონური მოძრაობა მთელ ინდოეთს მოედო. მოძრაობა აშკარად გასცდა განდიზმის ფარგლებს. განდის დაპატიმრება ამტკიცებს, რომ ახლანდელ პირობებში განდიზმი მეტად სუსტი და უვარგისი იარაღია მასების რევოლიუციური თავდადების შესაჩერებლად. (ადს).

გლოვის დღე განდის დაპატიმრების გამო

შანხაი, 6 მაისი. განდის დაპატიმრების გამო 5 მაისს ინდოელთა ყველა მაღაზიები მთელი დღის განმავლობაში დაკეტილი იყო, (ადს).

ლონდონი, 7 მაისი. განდის დაპატიმრებას აფრიკაშიაც გამოეხმაურენ. ინდოელების მაღაზიები დახურულია. ინდოელმა მუშებმა და ვაჭრებმა განდის დაპატიმრების გამო გლოვის დღე გამოაცხადეს (ადს).

ლონდონი, 7 მაისი. განდის დაპატიმრების გამო პროტესტის ნიშნად ბომბეიში, კალკუტაში, დელიში, მადრასში, ლაგორში და სხვა ქალაქებში **შესწყდა ყოველგვარი მუშაობა.**

ახმედაბადში გაიმართა 80 ათასი გაფიცული მუშის დემონსტრაცია. შესწყდა მუშაობა ბომბეის რკინის გზის სახელოსნოებში.

პეშავარის ხელისუფალთ გამოაქვეყნეს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქალაქის აღების დროს **დაზარალდა 80 კაცი, მოკლულ იქნა 20.** პეშავარში დააპატიმრეს 100 მუშა იმის გამო, რომ მათ წითელი ხალათები ეცვათ. (ადს).

მემამულენი შეშფოთებული არიან გლეხთა მოძრაობით

ლონდონი, 6 მაისი. როგორც ინდოეთიდან იუწყებიან, გლეხთა მოძრაობით შეშფოთებულმა ბენგალიის პროვინციის მემამულეებმა. მიმართეს მეფის მოადგილეს ლორდ ირვინს და აცნობეს, რომ მზად არიან წესრიგის დამყარებაში ყოველნაირად დაეხმარონ ინგლისის მთავრობას. მემამულენი მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას. (ადს).

ყუმბარების აფეთქება

ლონდონი, 6 მაისი. როგორც ინდოეთიდან იუწყებიან, პუნის (ბომბეის პროვინცია) მახლობლად, კირკიში არსენალის მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც არსენალიდან უდიდესი ძალის ყუმბარა გაიტაცეს, გზაში დაუვარდათ ეს ყუმბარა. ექვსი კაცი მძიმედ დაშავდა. (ადს).

ინგლისის ჯარი ინდოეთში

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის ჯარის რიცხვი ინდოეთში პირველი აპრილისათვის დაახლოებით 57.700 კაცს უდრიდა. (ადს).

ინგლისიდან ბომბეიში მოვიდნენ ჯარის ახალი ნაწილები

ლონდონი, 7 მაისი. აპრილის დამლევს ინგლისიდან ბომბეიში მოვიდნენ ჯარის ახალი ნაწილები, რომლებსაც დააბანაკებენ „არასაიმედო" რაიონებში. (ადს).

ევროპიელების პროვოკაცია

ლონდონი, 6 მაისი. როგორც ინდოეთიდან იუწყებიან, ევროპიელები კვლავ განაგრძობენ პროვოკაციას. მაგალითად, ჩიტაგონგში (ბენგალიის პროვინცია) ავტომობილით მიმავალმა ერთმა ინჟინერმა პაროლი არ უთხრა დარაჯს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადგილობრივი მკვიდრი იყო. დარაჯმა თოფი ესროლა ინჟინერს და მოჰკლა.

ინგლისის კონსერვატიულ პრესას დარაჯის მოქმედება „გამომწვევ" მოქმედებად მიაჩნია. (ადს).

ცენზურა

ლონდონი, 6 მაისი. როგორც ლიბერალური გაზეთი „სტარ"-ი აღნიშნავს, ცენზურა ვრცელდება იმ დეპეშებზედაც, რომლებიც ლონდონიდან ინდოეთში იგზავნება. (ადს).

ოპოზიციონური კოოპერატივების კონფერენცია

ბერლინი, 6 მაისი. ბოხუმში შესდგა რევოლიუციონური ოპოზიციის მიერ მოწვეული რურის ოლქის ოპოზიციონური კოოპერატივების კონფერენცია. კოოპერატიული ოპოზიციის ცენტრალური ხელმძღვანელობის მხრივ მოხსენებით გამოვიდა **ობერდერხტვერი.** იგი შეეხო წინანდელი კოალიციონური მთავრობის და **ბრიუნინგის** ახლანდელი მთავრობის საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც მთლიანად მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ და რომელიც მძიმე ტვირთად აწვება განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციას. ამ პოლიტიკას ერთგულად უჭერდნენ მხარს კოოპერატიული ბიუროკრატები.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო პლატფორმა კოოპერატიული ოპოზიციის მუშაობისა რურის ოლქში. (ადს).

პილსუდსკი—პოლონეთის უგვირგვინო მეფე

რომი, 6 მაისი. კათოლიკურმა „ავენირ იტალია"-მ წერილი უძღვნა **პილსუდსკის** სახელწოდების დღესასწაულს პოლონეთში.

„19 მარტს, — სწერს გაზეთი, — პოლონეთის ეკლესიებში პატივი სცეს არა „ნაზარეველ ხუროს", არამედ პოლონეთის უგვირგვინო მეფეს პილსუდსკის. ეკლესიებში თითქმის ოფიციალურად მოეწყო პილსუდსკის სადიდებელი ჰიმნების წარმოთქმა კათედრებიდან. ოფიციალური თხოვნის მიუხედავად, პინსკის ეპისკოპოსმა **სიგიზმუნდმა** უარი სთქვა და კათედრიდან პილსუდსკის ხოტბა არ შეასხა. მან უბრძანა თავისი ეპარქიის მღვდლებს —მიებაძათ მისთვის".

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, რომელიც ეპისკოპოსის ამ გამოსვლამ მოახდინა. (ადს).

თ უ რ ქ ე თ შ ი

1930 წლის ბიუჯეტი

ანგორა, 6 მაისი. თურქეთის დიდი ნაციონალური კრების საფინანსო კომისიამ დაამტკიცა თურქეთის 1930 წლის ბიუჯეტი. საშემოსავლო ნაწილი შეიცავს 222.732.000 თურქულ გირვანქას, საგასავლო ნაწილი — 222.604.000 გირვანქას. (ადს).

მოლაპარაკება ვალის გადახდის შესახებ

სტამბოლი, 6 მაისი. უდიდესი საიდუმლოებით მიმდინარეობს ის მოლაპარაკება, რომელიც დაიწყო თურქეთის მთავრობამ ძველი თურქეთის ვალების გამო არსებულ კომისიის წარმომადგენლებთან, („დეტ პუბლიკ"-ი — უცხოეთის კაპიტალის ორგანიზაცია, რომელიც კონტროლს უწევს თურქეთის გარეშე ვალების გადახდის საქმეს).

როგორც გაზეთები ფიქრობენ, მოსალოდნელია ხსენებული ვალის გადახდის ვადის გადადება და ამის გამო ახალი შეთანხმების დადება.

ამბობენ, ვითომ თურქეთის მთავრობა დასთანხმდა—დაინიშნოს ექსპერტი ამ საკითხებს გამო. მოლაპარაკება ეხება აგრეთვე ახალ სესხს. ხმა დადის, ვითომ „დეტ პუბლიკ"-ი აძლევს თურქეთს სესხად 40 მილიონ გირვანქას წლიური 6,5 პროც.-ით, ხოლო შვეციის ასანთის სინდიკატი აძლევს სესხად 20 მილიონ გირვანქას იმ პირობით, თუ თურქეთში მას ასანთის მონოპოლია გადაეცემა. (ადს)

ახალი საჰაერო ხაზი

საჰაერო ხაზი ვარშავა-ბუქარესტი

ვენა, 7 მაისი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, პოლონეთ-რუმინეთის კონვენციის თანახმად, ამ დღეებში მოეწყო პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ვარშავა-ბუქარესტის ხაზით. მიმოსვლის ხაზი მოაწყო პოლონეთის კომპანიამ „ლოტ"-მა. (ადს).

პირველი მაისი

საზღვარგარეთ

ჩინეთში

ტოკიო, 5 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო, ხელისუფლებამ დახურა პირველი ჩინური გიმნაზია.

გიმნაზიის დირექტორი დააპატიმრეს. (ადს)

რუმინეთში

ვენა, 5 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციის დროს ბუქარესტში დააპატიმრეს 500 მუშა. სოციალ-დემოკრატები ერთგულად ეხმარებოდნენ პოლიციას, თავს ესხმოდნენ დემონსტრანტებს და ხელში აძლევდნენ მათ პოლიციას. (ადს).

საბერძნეთში

ვენა, 5 მაისი. 1-ლ მაისს ათინაში მოხდა მუშების ფართო კრებები და შეტაკებები პოლიციასთან. პოლიციამ მოახდინა მასიური დაპატიმრება.

პირეიში (ათინის ნავთსადგური) კომუნისტ-დემონსტრანტებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და დაუშინეს მას ქვები. პოლიციამ სროლა ასტეხა, მძიმედ დასჭრა სამი კომუნისტი, ხოლო მსუბუქად — მრავალი.

ათინის მრავალ საწარმოს და პირეის ნავთსადგურის მუშები გაფიცულნი იყვნენ. რკინისგზელები 15 წუთით გაიფიცნენ.

სალონიკში და საბერძნეთის სხვა ქალაქებში გაიფიცნენ მრავალი საწარმოს მუშები. ხელისუფლების აკრძალვის მიუხედავად, კომუნისტებმა ყველგან მოაწყვეს საპირველმაისო დემონსტრაციები. (ადს).

შეღავათი მებამბეობის კოლმეურნეობებს

მოსკოვი, 7 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს:

1) გავრცელდეს მებამბეობის კოლმეურნეობებზე ის შეღავათები, რომლებიც დაწესებულია ტექნიკურ კულტურათა კოლმეურნეობებისათვის; სახელდობრ: ა) შემცირდეს მებამბეობის კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; ამ მიზნით ერთი-ორად შემცირდეს ბამბის ნათესის შემოსავლიანობის ნორმები, რომლებიც დაწესებულია ამა თუ იმ რაიონისათვის, ბ) იმ კოლმეურნეობებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ბამბის თესვის გეგმა, გეგმის გარეშე ზედმეტად დათესილ თვითეულ ჰექტარზე საკონტრაქტაციო ავანსი ორმაგად მიეცეთ.

2) ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელდეს ბამბის მთესველ ყველა კომუნებზე, არტელებზე და მიწის საზიარო დამუშავების იმ ამხანაგობებზე, სადაც განსაზოგადოებულია მუშა-საქონელი და ინვენტარი. (ადს)

გენერლების ბრძოლა ჩინეთში

ფინ იუ-სიანის არმია

პეიპინი, 6 მაისი. დუნგუანიდან (შენსის პროვინცია), სადაც ფინ იუ-სიანის მთავარი სადგომია) დაბრუნებული იაპონელი ჟურნალისტი აცხადებს, რომ ფინ იუ-სიანის არმია 240.000 ჯარისკაცისაგან შესდგებაო. ზურგში მხოლოდ არმიის სამი მეოთხედია შეიარაღებული.

დასავლეთ ხუბეიში თავმოყრილია **150.000 მეომარი,** რომელნიც მზად არიან ნანკინის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ჟურნალისტის აზრით, ფინ იუ-სიანს განზრახვა აქვს დაიჭიროს შანდუნი. ფინ იუ-სიანს და ენ სი-შანს შორის სრული კონტაქტია.

მუკდენის შეიარაღება

ტოკიო, 6 მაისი. მუკდენში მთავრდება სამხედრო საგაზო ქარხნის აგება. ქარხანა ააგო გერმანიის ერთმა ფირმამ, რომელიც კრუპის ფირმის წარმომადგენელია. (ადს).

რადიო რევოლიუციონური აგიტაციისათვის

ბერლინი, 7 მაისი. როგორც გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანო „რეინიშე ვესტფალიშე ცეიტუნგ"-ი იუწყება გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი არ იძლევა მოკლე-ტალღიანი რადიო-აპარატების დამზადებისა და დადგმის ნებართვას. გაზეთის სიტყვით, სამინისტრო მოკლეტალღიანი აპარატების წინააღმდეგი იმიტომ არის, რომ ამ აპარატების გამოყენება შეიძლება კომუნისტური პროპაგანდისათვის. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი აკრიტიკებს გერმანიის ოპოზიციონური „თავისუფალი რადიო-კავშირის" მოქმედებას, რადგან ეს კავშირი გერმანიაში ცდილობს მოკლეტალღიანი რადიო-გადამცემი სადგურების ქსელის შექმნას. გაზეთი ამტკიცებს, რომ იმ მომენტში, როდესაც ასეთი რადიო-სადგურების სისტემა მოეწყობა, „თავისუფალი რადიო-კავშირი" [illegible] „დაუკავშირდეს მოსკოვს თავისი საინფორმაციო ქსელის საშუალებით, რომელიც ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას რევოლიუციონური აგიტაციისათვის" (ადს).

კატასტროფიული მიწისძვრა

ინდოეთში

ლონდონი, 7 მაისი. ბირმაში (ინდოეთი) მოხდა დიდი მიწისძვრა, რომელსაც მოჰყვა მდინარეების მოვარდნა. დაინგრა ქალაქი პეგუ. საგრძნობლად დაინგრა ქალაქი რანგუნიც. დაზარალებულთა რიცხვს განსაზღვრავენ 600-დან 6.000 კაცამდე. შესწყდა მიმოსვლა რკინის გზაზე. მიწისძვრის შემდეგ იფეთქა მღელვარებამ, რომელიც მიმართულია ინგლისის ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოიწვიეს ჯარი. (ადს).

სპარსეთში

თავრიზი, 6 მაისი. 6 მაისის დილით, ხოლო შემდეგ ღამით თავრიზში მოხდა მიწისძვრა. ძალიან დაზარალდნენ სალმასტი და მახლობელი სოფლები. ბევრია დაღუპული. თავრიზში მიწა ორჯელ იძრა.

ხელისუფლებამ დაზარალებულთა დახმარება გაუგზავნა. საბჭოთა საკონსულომაც გაგზავნა სამედიცინო პერსონალი. (ადს).

ყველა კუთხიდან

#საქსონიის ლანდტაგმა პრემიერად აირჩია უპარტიო შიკი.

#რადგან სეიმის თავმჯდომარემ დაშინსკიმ პროტესტი არ განაცხადა კომფრაქციის წევრის, დეპუტატ ჟარსკის დაპატიმრების წინააღმდეგ, პროკურატურა შეუდგა ჟარსკის საქმის გამოძიებას. პროკურატურის გადაწყვეტილებით, საქმის გარჩევამდე ჟარსკის საპყრობილიდან არ განათავისუფლებენ.

#ნედლეულის ნაკლებობის გამო შანხაიში მუშაობა შესწყვიტა აბრეშუმის დამმუშავებელმა 60 ფაბრიკამ. დაითხოვეს 20.000 მუშა.

#როგორც ვარშავის გაზეთები იუწყებიან, ივლისის დასაწყისში დიუი (ამერიკელი ფინანსისტი მრჩეველი პოლონეთში) საბჭოთა კავშირში აპირებს გამგზავრებას.

#პილსუდსკი რამდენიმე დღით ვილნოში წავიდა.

ბურჟუაზიული გაზეთების მორიგი ჭორი

საკ. დეპეშათა სააგენტოს განცხადება

მოსკოვი, 7 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყება: უკანასკნელ დროს უცხოეთის ხვადასხვა გაზეთში სისტემატიურად იბეჭდება ცნობები, რომ მიმდინარე კამპანიის დროს განზრახულია სამხედრო გემების გადაყვანა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში და შავი ზღვის წითელი ფლოტის გაძლიერება.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ მცოდნე წრეებიდან მიღებული ცნობებით, ამ მხრივ არავითარი ღონისძიების მიღება არ არის განზრახული, ხოლო ბურჟუაზიული პრესის აღნიშნული ცნობები უნდა მივიჩნიოთ მორიგ უსაფუძვლო საგაზეთო სენსაციათ. ეს სენსაცია ნაკარნახევია ზოგიერთი კაპიტალისტური ჯგუფის მიერ, რომლებიც უაღრესად მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირის მიმართ. (ადს)

„ლენა-გოლდფილდს"-ის გამგეობამ მუშაობა შესწყვიტა

მოსკოვი, 7 მაისი. „ლენა-გოლდფილდს"-ის გამგეობამ 29 აპრილისა და 1 მაისის დეპეშებით აუწყა „გლავკონცესკომ"-ს, რომ იგი პასუხისმგებლობას იხსნის კონცესიების შემდგომი გაძღოლისა და ფინანსების მიწოდებისათვის, აუქმებს თავისი წარმომადგენლების რწმუნებულებას და უკან იწვევს მათ და ტექნიკურ პერსონალს.

„გლავკონცესკომ"-ის პასუხი

ამ დეპეშების საპასუხოდ „გლავკონცესკომ"-მა აუწყა „ლენა-გოლდფილდს"-ის გამგეობას, რომ ასეთი მოქმედებით მან ფაქტიურად და ფორმალურად შესწყვიტა საკონცესიო ხელშეკრულების შესრულება ცალმხრივი, არაკანონიერი აქტით, რაკი ეს ხელშეკრულება დაარღვია მე-86 პარაგრაფის მოთხოვნილების წინააღმდეგ. ამ პარაგრაფით „კონცესია შეიძლება ვადამდე შესწყდეს მხოლოდ სამედიატორო სასამართლოს დადგენილების ძალით".

„ასეთი ცალმხრივი მოქმედებით,—ნათქვამია „გლავკონცესკომ"-ის პასუხში,—თქვენ მიერ აღებულ კონცესიებს და საწარმოებს მეტად გაძნელებულ მდგომარეობაში აყენებთ. თქვენ მთლიანად გეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომლებიც მოჰყვება თქვენს მოქმედებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ პირობებში, მხარეთა მიერ სადაო საკითხების განსახილველად შექმნილმა სამედიატორო სასამართლომ არსებობა შესწყვიტა. ურთიერთთან ანგარიშის გასწორების წესრიგის შესამუშავებლად, რომელიც კონცესიების ლიკვიდაციიდან გამომდინარეობს, ჩვენი კომისია შეგხვდებათ 7 მაისს".

ამავე დროს „გლავკონცესკომ"-მა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პროფესორ შტიუტცერს (ფრეიბერგი), რომელიც მხარეების მიერ არჩეულ იქნა სუპერ-არბიტრად სასამართლოში.

„1 მაისს „ლენა-გოლდფილდის"-მა გვაუწყა, რომ მან შესწყვიტა რწმუნებულობის მოქმედება და მითითება მისცა ყველა თავის უცხოელ მოსამსახურეებს — დაბრუნდნენ საზღვარგარეთ.

ამასთან შეფარდებით გაუწყებთ, რომ კონცესიების ექსპლოატაციის სადაო საკითხების და ხელშეკრულების განხორციელების განსახილველად შექმნილი სამედიატორო სასამართლოს მოქმედება, რომელზედაც თქვენ სუპერ-არბიტრად ხართ, შეწყვეტილია და ჩვენს წარმომადგენელს სამედიატორო სასამართლოში ჩლენოვს უკან ვიწვევთ. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ კონცესიონერის ცალმხრივი გადაწყვეტილებით და ცალმხრივი მოქმედებით, რომელმაც კონცესიების ექსპლოატაცია შესწყვიტა და უარი სთქვა ხელშეკრულების ყოველგვარ შესრულებაზე, თვით ხელშეკრულება დარღვეულია". (ადს)

„ლენა-გოლდფილდს"-ის თანამშრომელთა პროცესი

პროკურორის საბრალმდებლო სიტყვა

მოსკოვი, 7 მაისი. „ლენა-გოლდფილდს"-ის თანამშრომელთა პროცესზე პროკურორმა ლანდამ საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა

„მტაცებელი-მავნებლები და ჯაშუშები,— სთქვა მან,— ამოცანად ისახავდნენ ეკონომიურად დაესუსტებინათ საბჭოთა კავშირი და მახვილი ჩაეცათ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ეკონომიური მავნებლობა მათ ინტერვენციის იმედს უღვივებდა. მავნებელთა მთელი ყურადღება მიმართული იყო ფერად ლითონებზე, რომელთა დარგში ისინი მავნებლობას ეწეოდნენ რამდენსამე წელიწადს. ფერად ლითონების გარდა, ისინი სცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი ქვეყნის სავალიუტო ფონდისათვის. „ლენა-გოლდფილდს"-მა მიიღო მთელს მსოფლიოში უმდიდრესი ოქროს მადნების კონცესია; მავნებლები სარგებლობდნენ თავიანთი პასუხსაგები თანამდებობით და მადნების დამუშავებას მტაცებლურად აწარმოებდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ლენის მადნების წარმოუდგენელი განადგურება. მტაცებლები თავიანთ მავნებელ მუშაობაში მივიდნენ ლოღიკურ დასკვნამდე— ჯაშუშობის დივერსიულ აქტებამდე. ქარხნებისათვის ცეცხლის წაკიდება და მანქანების განადგურება გოლოლგ ივანოვს და მის მეგობრებს სრულებითაც არ მიაჩნდათ საძრახ საქმეთ. ეს ხომ საბჭოთა ქარხნებია, ეს ხომ მანქანებია, რომლებიც უნდა ემსახურონ საბჭოების ქვეყანას".

პროკურორმა დაწვრილებით დაახასიათა სასამართლო გამოძიების მასალები და თვითეული ბრალდებულის ბოროტმოქმედება. მან მოითხოვა ბაშკირცევისათვის სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, კოლიასნიკოვისა და მუროვცევისათვის— ათი წლის პატიმრობა, დანარჩენთათვის — პატიმრობის სხვადასხვა ვადა. (ადს)

ამხ. ტოლსტოპიატოვის განთავისუფლება

მოსკოვი, 7 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: განთავისუფლდეს ამხ. ტოლსტოპიატოვი, მისივე შუამდგომლობის თანახმად, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან. (ადს)

საპირველმაისო დემონსტრაცია ბერლინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ რაიონებში თესვა დამთავრდება უახლოეს დღეებში

ოზურგეთის მაზრაში თესვის დამთავრების ვადათ დანიშნულია 15 მაისი, გორის ოლქი თესვას დაამთავრებს 20 მაისისათვის!

შეღავათების ფართოდ განმარტებით გავაძლიეროთ ტეხნიკური კულტურების თესვის ტემპი

ყურადღება კოლმეურნეობათა გამოკვლევას

მე-16 პარტიულ ყრილობაზე განხილული იქნება კოლმეურნეობათა მშენებლობის და სოფლის მეურნეობის წინსვლის საკითხები.

ამ მიზნით, რომ ყრილობას ექნეს სრული და სწორი მასალა კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ, საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისია, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი და კოლმეურნეობის ცენტრი შეუდგნენ კოლმეურნეობათა საკავშირო გამოკვლევას.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ასეთი გამოკვლევა იწარმოებს ამიერ-კავკასიაშიაც.

ამ გამოკვლევამ უნდა მოგვცეს უტყუარი მასალა არა მარტო კოლმეურნეობათა რიცხვისა და მათში შემავალ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობის შესახებ; მან უნდა გააშუქოს აგრეთვე სტრუქტურა კოლმეურნეობის, შინაწყობა, მისი საწარმოო მიმართულება კოლმეურნეობისა და მისი რესურსების მდგომარეობა.

ამ გამოკვლევამ უნდა მოგვცეს სრული წარმოდგენა, თუ რამდენი ნამდვილი კოლმეურნეობა არსებობს საგაზაფხულო თესვის დამთავრების დროს და რას წარმოადგენენ ისინი.

ფორმა კოლმეურნეობის, რიცხვი მასში შემავალ გლეხურ მეურნეობებისა, როდის შესდგა კოლმეურნეობა, სამეურნეო მოქმედების მთავარი დარგი, რომელსაც კოლმეურნეობა მისდევს, რამდენათ სარგებლობდა კოლმეურნეობა ტრაქტორების და სხვა წევის ძალით,—აი ის საერთო ხასიათის ცნობები, რომელიც უნდა შეკრებილ იქნეს ამ გამოკვლევის მიხედვით.

გარდა ამ საერთო ხასიათის კითხვებისა, არის უფრო კონკრეტული კითხვებიც, რამაც უნდა გამოარკვიოს კოლმეურნეობის სწორი სახე.

მთავარი საკითხია—აქვს თუ არა კოლმეურნეობას საწარმოო გეგმა სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით.

ამ საკითხების გაშუქება მოგვცემს სურათს —თუ რამდენათ გეგმიანათ ეწევა კოლმეურნეობა სოფლის მეურნეობას.

რამდენია კოლექტივის წევრთა შორის მოჯამაგირე, ღარიბი, საშუალო გლეხი, მუშა, მოსამსახურე,—ამ კითხვაზე გაცემულ სწორ პასუხს უნდა მოგვცეს კოლმეურნეობათა სოციალური სახე.

ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ კოლმეურნეობებში პარტიის წევრთა ხვედრითი წონა, თუ რა მონაწილეობას იღებენ სოფლად პარტიისა და ახ. კომკავშირის წევრები კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

გამოკვლევის ერთი სერიოზული ნაწილთაგანია სრული სურათის მოცემა გაერთიანებულ ნათესებისა და მუშა-საქონლის რაოდენობის შესახებ და აგრეთვე თუ რა ნაწილი მუშა და მეწველი საქონლისა დარჩა ინდივიდუალურ ხმარებაში.

კოლმეურნეობათა რესურსების შესახებ ცნობები უნდა იქნეს შეკრებილი განსაზოგადოებულ ძირითად ფონდების ღირებულებისა (შენობები, როგორც საცხოვრებელი, აგრეთვე კულტურული მნიშვნელობის, სას.-სამეურნეო დანიშნულების, სატრანსპორტო ინვენტარი, მუშა-საქონელი, სასურსათო საქონელი და სხვ.) და განუყოფელ კაპიტალების შესახებ (მათ შორის ცალკე განკულაკებულ მეურნეობათაგან მიღებულ ქონების შესახებ).

გამოკვლევა ეხება აგრეთვე კოლმეურნეობათა დავალიანებისა და ახალი მშენებლობის საკითხებს.

დიდი ყურადღება ექცევა ამ გამოკვლევის დროს შრომის ორგანიზაციას და ხელფასის (შრომის ანაზღაურების) საკითხს გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს.

კოლმეურნეობის წარმატებით წინსვლა, მისი გამაგრება და განვითარება დიდათ არის დამოკიდებული შრომის სწორ ორგანიზაციაზე და შრომის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგებაზე.

ამ მხრით გამოკვლევამ უნდა მოგვცეს სურათი კოლმეურნეობაში შრომის უნარიანთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის რამდენია გასული სამუშაოზე კოლმეურნეობის გარეთ, სამუშაო ძალის რა პროცენტია მოხმარებული საწარმოო გეგმის მიხედვით, აქვს თუ არა ადგილი კოლმეურნეობაში ნარდ მუშაობას, შემოღებულია თუ არა კოლმეურნეობაში სატარიფო ქსელი კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურებისათვის, რამდენი ხარისხიანია სატარიფო ქსელი და სხვა.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ გამოკვლევაში კადრების საკითხს.

გამოკვლევის გარეშე არ რჩება აგრეთვე კულტურული და ყოფა-ცხოვრების საკითხიც.

ჩვენ საერთოდ გაურბივართ კოლმეურნეობათა დატვირთვას ზედმეტი ანკეტებით და გამოკვლევებით.

მაგრამ ეს გამოკვლევა აუცილებელია. პარტიულ ყრილობას უნდა ექნეს სრული წარმოდგენა კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ, რომ სისწორით, სრული ობიექტივობით იქნეს გადაწყვეტილი ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

ამიერ-კავკასიაში გადაწყვეტილია ეს გამოკვლევა დასრულდეს არა უგვიანეს 18 მაისისა, რომ შესაძლებელი იქნეს მასალების მიღება როგორც საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიის, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ყრილობებისათვის.

როგორც სადირექტივო ორგანოების, აგრეთვე ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ადგილებს მიეცა დირექტივები მიაქციონ სერიოზული ყურადღება ამ გამოკვლევას და ამით საშუალება მისცენ პარტიულ ყრილობას იქონიოს სწორი წარმოდგენა კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ.

საჭიროა რაიონებში სასწრაფოთ გამოყოფილ იქნეს პასუხისმგებელი პირები გამოკვლევის ჩასატარებლად, თანახმად სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიცემულ გეგმისა.

კოლმეურნეობათა გამგეობანი მოვალენი არიან სწორი და სრული პასუხი გასცენ გამოკვლევის ყველა კითხვებზე.

პარტიისა და კომკავშირის ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ გამოკვლევაში—აუხსნან, განუმარტონ კოლმეურნეებს ამ გამოკვლევის მნიშვნელობა, გამოჰყონ სპეციალური პირები გამოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ გამოკვლევის წარმატებით ჩატარებას.

სოფლის ინტელიგენცია (მასწავლებლები, აგრონომები, კოლმეურნეობათა მოანგარიშენი)—აი ის ძალები, რომელთაც ტეხნიკურად უნდა ჩაატარონ ეს გამოკვლევა. გამოკვლევა სწარმოებს მეტი სისწრაფით, რომ დასრულდეს დანიშნულ მოკლე ვადაში.

აღნიშნული გამოკვლევის უნაკლოთ ჩატარება შესაძლებელია მხოლოთ ამ საქმეში ადგილობრივი ძალების აქტიური მონაწილეობით.

ა. რუხაძე.

სამაგალითო კოლექტივი

(სოფ. მუხრანი, თბილისის ოლქი)

1929 წლის 1 მაისიდან სოფ. მუხრანში უღარიბესი გლეხების მოთხოვნით ჩამოყალიბდა 1-ლ მაისის სახელობის სას.-სამ. არტელი, რომელშიაც პირველად გაერთიანდა 21 უღარიბესი გლეხი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ არტელს გადასცა 4 დესეტინა საფონდო ბაღ-ვენახები და სახნავი მიწები. ენერგიული შრომით კოლექტივმა შესძლო მეურნეობის გაუმჯობესება. ამან დაარწმუნა მუხრანის ღარიბი გლეხობა კოლექტივის უპირატესობაში და 1930 წლის იანვრის რიცხვებში კოლექტივში შესვლის განცხადებები შეიტანეს 40 უღარიბესმა გლეხმა.

მართალია, ს. მუხრანში მთლიან კოლექტივიზაციის დროს ჩამოყალიბდა რამოდენიმე კოლექტივები, მაგრამ აღნიშნული 1-ლ მაისის სახელობის კოლექტივი მაგალითის მაჩვენებელია. ამ კოლექტივიდან არც ერთი წევრი არ გამოსულა. კოლექტივში მუშახელი არის 65 კაცი. მუშა საქონელი ყავთ 37 სული, მუშა-ცხენები 5 სული, ვენახი ვაზიანი 10 დესეტ. საშემოდგომო მოხნული და დათესილია 38 დესეტინა. პური საგაზაფხულო 20 დღის. კოლექტივის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

კოლექტივი შეფათ ყავს აყვანილი 1 ქართულ არტლეგიონს და სას.-სამ. ინსტიტუტს. არტლეგიონს ხშირი ცოცხალი კავშირი აქვს და მატერიალურადაც ეხმარებიან: კოლექტივის წევრებს მოუტანეს 50 წყვილი საცვლები, ჩექმები, სკამები, მაგიდები, ჯიშიანი ღორები, ფურგუნი თავის მოწყობილობით და 300 ცალი გლეხური ლიტერატურა.

სას.-სამ. ინსტ. დიდ დახმარებას უწევს მთელ სოფელს და კოლექტივს. ჩვენი პროლ. სტუდენტებისაგან შეკრებილი ფულით ინსტიტუტმა უყიდა კოლექტივს 5 სული მუშა-ცხენი, რამაც დიდათ აღაფრთოვანა კოლექტივის წევრები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მუხრანის საბჭოთა მეურნეობაც არაფერს იშურებს კოლექტივებისთვის და ეხმარება მას ტრაქტორით, მიწების მიცემით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, სამუშაოების პირველ რიგში შესრულებით და სხვა.

კოლექტივის თავმჯდომარეთ არის ყოფ. მოჯამაგირე ხ. პაპაშვილი, რომელიც დაუღალავათ მუშაობს კოლექტივის გაჯანსაღებისათვის.

მთელი მუხრანის გლეხობა მომავლის დიდი იმედებით შესცქერის ამ კოლექტივს.

კოლია ტაბატაძე.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

კახეთის ოლქში დათესილია 29.686 ჰექტარი

გურჯაანი, 7 მაისი. (საქ. კორ.) 5 მაისისათვის კახეთის ოლქის სოციალისტურ სექტორში დათესილი იყო პური 1.899 ჰექტარი, ქერი—657 ჰექტარი, სიმინდი 4800 ჰექტარი, ფეტვი 450 ჰექტ., მზესუმზირა 620 ჰექტარი, ბამბა—680 ჰექტარი, თამბაქო 100 ჰექტარი, ძაძა —150 ჰექტ., კანაფი—400 ჰექტ. და სხვა კულტურები—980 ჰექ. ამავე რიცხვისთვის ინდივიდუალურ სექტორში დათესილი იყო 1.883 ჰექტარი პური, 563 ჰექტარი ქერი, 14.200 ჰექტარი სიმინდი, 200 ჰექტარი ბამბა, 200 ჰექტარი თამბაქო და 2.404 ჰექტარი სხვა კულტურები. ამრიგად, კახეთში 5 მაისისათვის დათესილი იყო სულ 29.686 ჰექტარი. აქედან კოლმეურნეობებში 10.236 ჰექტარი და ინდივიდუალურ მეურნეობებში 19.450 ჰექტარი.

—:—

ჯილდო თესვის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის

ოზურგეთი, 7 მაისი. (საქ. კორ.) ოზურგეთის მაზრის თესვის ჩამტარებელმა შტაბმა თესვის უკანასკნელ ვადათ გამოაცხადა 15 მაისი. თესვის დაჩქარების მიზნით, შტაბმა გადაწყვიტა პრემიები მისცეს იმ მეურნეობებს, რომლებიც ადრე (ვადამდე) შეასრულებენ თესვის გეგმას. ამ მიზნით გადადებულია 2.050 მანეთი. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პირველ პრემიად მეურნეობას მიეცემა 800 მანეთი, ხოლო მეორე პრემიად 500 მან. არამთლიანი კოლექტივიზაციის თემებში პირველი პრემიად დაწესებულია 500 მანეთი, ხოლო მეორე პრემიად 250 მანეთი.

—:—

სათესლე სიმინდი

ოზურგეთი, 7 მაისი. (საქ. კორ.) მაზრაში თესვა გაცხოველებით მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით მაზრაში უნდა შეგროვილიყო 105.000 ფუთი სათესლე სიმინდი. თესლის შეგროვება ადგილებზე სწარმოებდა ხელწერილების მიხედვით (გლეხს ართმევდნენ ხელწერილს, რომ მასზე მიბარებულია შესაბამად სიმინდის ის რაოდენობა, რომელიც მას ჰქონდა შეწერილი). როგორც ირკვევა ზოგიერთს ეს მიბარებული სიმინდი შემოხარჯვია: მაგალითად, ნაგომარის თემში ხელწერილებით ჩაბარებული იყო გლეხებზე 800 ფუთი სათესლე სიმინდი. აქედან ფაქტიურად აკრიფა მხოლოდ 200 ფუთი. ამის გამო შესაძლებელია სიმინდის ნაკლებობამ იჩინა თავი.

ოზურგეთის მაზრაში მოხნულია 23.333 ჰექტარი

ოზურგეთი, 7 მაისი. (საქ. კორ.) 1 მაისისთვის ოზურგეთის მაზრაში მოხნული იყო სულ 23.333 ჰექტარი მიწა. აქედან კოლმეურნეობებში 14.870 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში 8.469 ჰექტარი. ამავე რიცხვისთვის ყველა კულტურები დათესილი იყო კოლმეურნეობებში 3.676 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში 3.244 ჰექტარი. უკანასკნელ დღეებში მაზრაში წვიმიანი ამინდებია, რაც საგრძნობლად აფერხებს თესვის წარმატებით მსვლელობას.

—:—

ალაიანის არტელის მდგომარეობა გამოსწორდა

გორი, 7 მაისი. (საქ. კორ.) სოფ. ალაიანის არტელის მდგომარეობა დღემდე არ იყო კარგი. მიმაგრებული ამხანაგი სიჭინავა არ ცდილობდა გაეცნო გლეხობისათვის არტელის წესდება და მთავრობის დადგენილებები შეღავათების შესახებ. მან მიანება სოფელს თავი და ამ სოფელზე მომაგრებულმა აგრონომმა გააცნო გლეხობას წესდება და ყველა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობათა მშენებლობასთან, რის შემდეგაც სრული ნებაყოფლობით წესდებას ხელი მოაწერა 137 მეურნეობიდან 123 მეურნეობამ. არტელმა გადააბრუნა და ჩარგო ნამყენი ვაზი სამ ჰექტარზე და დაამზადა 70 ათასი ვაზის ნამყენი მომავალ წელში ჩასაყრელად.

ხვნა-თესვა უკვე დამთავრდა. არტელის წევრები ამჟამად მუშაობენ გარეშე სამუშაოზე და თავიანთ ბაღ-ვენახებში.

—:—

ხვნათესვა გორის ოლქში

გორი, 7 მაისი. (საქ. კორ.) 5 მაისისათვის გორის ოლქში მოხნულია სულ 41.184 ჰექტარი, ე. ი. გეგმის 93 პროც. დათესილია სხვადასხვა კულტურებით 25720 ჰექტარი, ანუ გეგმის 68 პროც. უკანასკნელ ხანებში თესვა ისეთი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რომ იგი დამთავრებული იქნება 20 მაისამდე.

—:—

შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა შესრულებულია

გორი, 7 მაისი. (საქ. კორ.) 5 მაისისათვის შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული. შარშან ოლქში დათესილი იყო 174 ჰექტარი, წელს გეგმით უნდა დათესილიყო 250 ჰექტარი ანუ 43.5 პროცენტით მეტი. ამჟამად უკვე დათესილია 255 ჰექტარი. სხვათაშორის, ამ კულტურის გავრცელებას უკვე შეუდგნენ ტირიფონის ველზე, სადაც უკეთესი მოსავალი მიიღეს ვინემ გომში.

საგაზაფხულო კამპანია ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 7 მაისი. (საქ. კორ.) 7 მაისისათვის ქუთაისის ოლქში სიმინდი დათესილი იყო კოლმეურნეობებში—18.641 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში—48.658 ჰექტარი. სულ 66.399 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის 42,5 პროცენტს. ბოსტანი კოლმეურნეობებში გაშენებულია 349 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში—686 ჰექტარზე. სულ 1.035 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 37 პროცენტს. სოია კოლმეურნეობებში დათესილია 80 ჰექტარზე; ინდივიდუალურ მეურნეობებში—71 ჰექტარამდე. სულ 151 ჰექტარი, ანუ გეგმის ორი პროცენტი. კარტოფილი კოლმეურნეობებში დათესილია 52 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში—53 ჰექტარზე. სულ 105 ჰექტარი, ანუ გეგმის 6 პროცენტი. ბამბა დათესილია კოლმეურნეობებში 10 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში —14 ჰექტარი. სულ 24 ჰექტარი, ანუ გეგმის 35 პროცენტი.

ვაზი გაშენებულია კოლმეურნეობებში 249 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში 52,5 ჰექტარზე. სულ 301,5 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 44,1 პროცენტს. ხეხილის ბაღი გაშენებულია კოლმეურნეობებში 351 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში — 25 ჰექტარზე. სულ 376 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 10,7 პროცენტის გადაჭარბებით, თუთის პლანტაციები გაშენებულია კოლმეურნეობებში—127 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში—46,5 ჰექტარზე. სულ 173,5 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 30,8 პროცენტს. თუთის სანერგეები გაშენებულია კოლმეურნეობებში—22 ჰექტარზე. შესრულებულია გეგმის 30,8 პროც. ამერიკული ვაზის სანერგე კოლმეურნეობებში გაშენებულია 11 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 25 პროცენტს.

ჩაის პლანტაცია კოლმეურნეობებში გაშენებულია 61 ჰექტარზე, შესრულებულია გეგმის 61 პროცენტი.

ოლქის კოლმეურნეობათა ღარიბ ფენებს დამატებით მიეცა სესხად ორი წლის ვადით 43.000 ფუთი სიმინდი.

გეგმის თანახმად ქუთაისის ოლქში საბჭოთა მეურნეობები უნდა მოწყობილიყო 65 ჰექტარზე, ფაქტიურად მოეწყო 75 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 115,4 პროც.

ხრესილში ბაღები უნდა გაშენებულიყო 25 ჰექტარზე, გაშენებულია 30 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 120 პროცენტს. სამტრედიაში ბოსტანი უნდა გაშენებულიყო 200 ჰექტარზე, ფაქტიურად გაშენდა 30 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 15 პროცენტს. არგვეთში ვენახი უნდა გაშენებულიყო 20 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია მთელი ასი პროცენტით.

ვეხმარებით კოლექტივებს

შემაქვს სოფ. ჭელიაღელის, აგარას და [illegible] კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 40 მან. ობლიგაცია და ვიწვევ გ. დალაქიშვილს, ალ. მაჭავარიძეს, რ. კერესელიძეს, რუბენ ქურციკიძეს და ს. ჭელიძეს.

გრ. ჭელიძე.

სოფელ ქვიშანჭალის (მარნის თემი) კოლექტივის „წითელი სხივის“ ფონდის გასაძლიერებლად შემაქვს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 130 მან. ობლიგაციები და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ევგენი სურგულაძეს, ილიკო ძულიას, შალიკო რუხაძეს, თამარა გრიგოლიას და ნადია თარგამაძეს.

აკაკი გრიგოლია.

ვემზადოთ საქ.კომპარტიის მე-VII ყრილობისათვის

შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლით ჩავატაროთ პარტიული კონფერენციები

კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის და მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით მჭიდროდ დავრაზმოთ პარტიული მასები ლენინური ცეკას გარშემო

კავკ. წით.-დრ. არმიის მერვე პარტკონფერენცია

6 მაისს თბილისის წითელ არმიის სახლში გაიხსნა კავკასიის წითელდროშოვან არმიის მერვე პარტიული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა ამხ. იპპომ.

კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ფაბრიციუსის ხსოვნას. კონფერენციის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ელიავა, ავქსენტიევსკი, იპპო, ყარაევი, კოსტანიანი, ნემერიზელი, განკინი, ბულინი, ნიკოლაევი სმოლინი, ვაინეროსი, სნეგირევი და სხვ.

საპატიო პრეზიდიუმში: ამხ. სტალინი, ვოროშილოვი, კალინინი, მოლოტოვი, რიკოვი, ორჯონიკიძე, რუძუტაკი, კუიბიშევი, გამარნიკი, ტელმანი, მიხა ცხაკაია, ლომინაძე, მახარაძე, მუსაბეკოვი და კასიანი. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს, წითელ არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და გაზეთ „კრასნი ვოინს“. კონფერენციას მიესალმა ამხ. მიხა ცხაკაია.

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

დღის წესრიგში დასმულ პირველ საკითხზე —საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ,—მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ელიავამ.

საბჭოთა კავშირი,—სთქვა მომხსენებელმა, —ჩქარი ტემპით ვითარდება. ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარების ტემპი წინ უსწრებს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარების ტემპებს. ყოველწლიურად ჩვენი წარმოების პროდუქცია მატულობს რამოდენიმე ათეული პროცენტით, ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში კი, როგორიცაა ამერიკა, პროდუქცია იზრდებოდა მხოლოდ — 5,81 პროცენტით. საბჭოთა კავშირში შრომის ნაყოფიერება ერთ წელში გაიზარდა 22 პროც., ამერიკაში სულ—6,66 პროც. ჩვენში მუშების ხელფასი ამ უკანასკნელ წელში გაიზარდა 12,2 პროც. ამერიკაში კი ხელფასის ზრდა გამოიხატება 0,9 პროცენტში. მრეწველობის ჩქარი ტემპით ზრდასთან ერთად იზრდება მუშების საერთო რიცხვიც. ჩვენში მუშების საერთო რიცხვი გაიზარდა 6,6 პროც. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ადგილი აქვს წარმოებაში ჩაბმულ მუშების პროცენტის შემცირებას და უმუშევრობის ზრდას. მაგ. ამერიკაში მუშების რიცხვი შემცირდა უკანასკნელ წელს 24 პროცენტით. ამნაირად ჩვენი ქვეყნის სოც. მშენებლობა დღითიდღე იზრდება და ფართოვდება.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერე ძილს უფრთხობს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ისინი ახალი სისხლისმღვრელ ომებს ამზადებენ სოციალისტური ქვეყნის—საბჭოთა კავშირის—წინააღმდეგ. ბურჟუაზია ჩვენს საწინააღმდეგოდ იყენებს ყოველგვარ საშუალებას და მათ შორის ეკლესიასაც. ამის წინად, რომის პაპამ, —ბურჟუაზიული სახელმწიფოების აგენტმა— საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომის“ ლოზუნგი წამოაყენა, პოლონეთში აწყობდნენ ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლის შენობის აფეთქებას, მაგრამ ვერ მოასწრეს. კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ ჩვენ მუდამ მზად ვიყოთ—პროლეტარული პასუხი გავსცეთ თავდამსხმელებს. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დღითიდღე იზრდება წინააღმდეგობა. კერძოდ, ამერიკასა და ინგლისს შორის ერთი მხრივ და ინგლისსა და საფრანგეთს შორის მეორე მხრივ. ამასთან ერთად კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება მუშათა მოძრაობა. მუშათა კლასის მღელვარებამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია; აღმოსავლეთის ქვეყნებში დღითიდღე ძლიერდება დამონებულ ერების, მრავალმილიონიან კოლონიების და ნახევრად კოლონიების რევოლიუციონური მოძრაობა.

მტრები კბილებს ილესავენ ჩვენი წარმატების, სოციალისტური მშენებლობის ზრდის გამო. ხუთწლიანი გეგმა მათ მოსვენებას არ აძლევს. ჩვენი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებულ პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 35-60 პროც. მუშათა ხელფასი კი გაიზარდა 75 პროც. ამ ხუთი წლის განმავლობაში კერძოდ ამიერ-კავკასიაში აგებულ იქნება 110 მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა. აქიდან 81 მძიმე ინდუსტრიის და 29 მსუბუქის. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცა ამიერ-კავკასიაში ქიმიურ მრეწველობის განვითარებას.

ჩვენს მშენებლობას აბრკოლებს კვალიფიციურ მუშა-ხელის, საინჟინერო-ტეხნიკური ძალების სიმცირე და საამშენებლო მასალის ნაკლებობა. სასოფლო მეურნეობის დარგში ამიერ-კავკასიას დიდი პერსპექტივები აქვს. სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებში ტეხნიკური კულტურების ფართოდ განვითარებას, უდიდეს ყურადღებას მიაქცევს ისეთი კულტურებისთვის, როგორიცაა ბამბა, კანაფი და სხვ.

საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების აღიარებამ და გამოსწორებამ ხელი შეუწყო მშრომელ გლეხობის ლტოლვის გაძლიერებას კოლექტიური მეურნეობებში. ჩვენს მთავარ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს არსებულ კოლექტივების განმტკიცება და მიღებული გამოცდილების საფუძველზე ახალ წარმატებების მოპოვება. სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დასაჩქარებლად.

1930 წლის 1 აპრილისათვის ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა 87 ათასი წევრი, 1928 წელთან შედარებით ორგანიზაცია გაიზარდა 21 პროც. ორგანიზაციაში მუშები შეადგენენ 62,3 პროც. გლეხები 22,7 პროც. სხვები—15 პროც. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებიდან ყველაზე წინ დგას აზერბეიჯანის პარტორგანიზაცია. სადაც მუშები 75,6 პროც. შეადგენენ. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაცია მთლიანად ჯანსაღია. მან ღირსეული პასუხი გასცა როგორც მემარჯვენე, ისე მათ მოკავშირე „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო.

რა გამოარკვია მცხეთის პარტკონფერენციამ

რამოდენიმე დღის წინ მცხეთაში (თბ. ოლქი) შესდგა რაიონული პარტკონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: რაიკომის საანგარიშო მოხსენება და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობა.

მცხეთის რაიონი თანდათანობით სამრეწველო რაიონად ხდება. მიმდინარეობს ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა, მუშაობს აგურის, ხე-ტყის სახერხი და სხვ. ქარხნები. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო საკითხებთან ერთად კონფერენციის ყურადღება მიიპყრო საწარმოთა მუშაობამ. კონფერენცია არაჩვეულებრივი გაცხოველებით ჩატარდა. თვითკრიტიკას მეტად ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი.

მიუხედავად ზემდგომ ორგანოების მითითებებისა, მცხეთის რაიონის პარტიულ უჯრედებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა; საწარმოო უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წარმოების საკითხებს, არ ამოწმებენ წარმოების მუშაობას და სხვ. ამით აიხსნება, რომ ნატახტარის წყალსადენთან არსებულ კომუჯრედს ექვსი თვის განმავლობაში არ მოუსმენია ადმინისტრაციის მოხსენება წყალსადენის მშენებლობის და საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. საწარმოო საკითხებისადმი კომუჯრედის უყურადღებობის გამო ქსანის აგურის ქარხანამ ნახევარი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა ვერ შეასრულა. რაიონში არის ისეთი უჯრედები, რომლებიც ვერ იჩენენ საკმაო ინიციატივას და პარტიულ ზემდგომ ორგანოებიდან ელიან დირექტივებს. შემჩნეულია, რომ ზემდგომ ორგანოების დირექტივები უჯრედის კრებებზე არ მუშავდება. პარტიის და კომკავშირის წევრების მხოლოდ ნაწილია ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. ნატახტარის და ქსანის საწარმოო კომუჯრედები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მასიურ-კულტურულ მუშაობას, სუსტად ხელმძღვანელობენ პროფკავშირებს. ნატახტარის წყალსადენთან არსებულ კომუჯრედთა ბიუროს და უჯრედს არც ერთხელ არ მოუსმენია, თუ რას აკეთებენ პროფკავშირული ორგანიზაციები.

ზოგიერთი კომუჯრედები ვერ ხელმძღვანელობენ კომკავშირს. ქსანის კომუჯრედის მდივანმა განაცხადა: „მე არ ვიცი რა არის კომკავშირი, კომკავშირელები თავისთვის მუშაობენ, ჩვენ კი თავისთვინო“. რაიონში არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც არავითარ ბრძოლას არ აწარმოებენ ძველ ყოფაცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ, პირიქით, ზოგიერთი მათგანი თვითვეა მოყოლილი ძველი ტრადიციების, საეკლესიო ადათ-წესების გავლენის ქვეშ. პარტიის წევრის ცოლმა ჩაშალა გლეხების საერთო კრება. მთელ რიგ სოფლებში პარტიის წევრები და კომკავშირელები არ შედიოდნენ კოლექტივებში, მაგ. მუხრანის თემში პარტიის 5 წევრმა უარი განაცხადა კოლექტივში შესვლაზე; პარტიის ზოგიერთი წევრები სამუშაო საქონლის განსაზოგადოებას წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ორგანიზაციის ზრდის საკითხს არ ექცევა ყურადღება. არის შემთხვევები, რომ საკანდიდატო სტაჟი გავლილი აქვთ ამხანაგებს, მაგრამ მათ წევრებად გადარიცხვაზე არავინ არ ფიქრობს. უჯრედებში არიან კანდიდატები 4-6 წლის სტაჟით. გარდა ამისა, კომკავშირის ორგანიზაციაში ასაკგადაცილებულთა საკმაო რაოდენობაა. მუხრანის თემში კომკავშირის რიგებში ირიცხებიან 30 წლის ახალგაზრდები.

მცხეთის რაიონის ზოგიერთ სოფელში დამახინჯებულ იქნა პარტიის ხაზი, საკოლმეურნეო მშენებლობაში—სოფ. გომისში (მუხრანის თემი) მიმაგრებულ ამხანაგებმა დატუსაღების დამუქრებით მოინდომეს შინაური ფრინველების, წვრილფეხა ცხოველების და სხვ. განსაზოგადოება. სოფ. ქსაურელში კულაკების 50 პროცენტი ღარიბი გლეხების ხარჯზე განთავისუფლებული იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. გლეხების საერთო კრებაზე სოფლებზე მიმაგრებული ამხანაგები აცხადებდნენ: „ვინც კოლექ. არ შევა, მათ უფლება არ ექნებათ კოოპერატიულ სავაჭროებიდან მიიღონ პირველ მოთხოვნილების საგნები. მათ აღმასკომი არავითარ ცნობებს არ მისცემს და მოკლებული იქნებიან საარჩევნო ხმის უფლებასო“. სოფ. საწყორში სამი გლეხი დაატუსაღეს, რადგან მათ უარი განაცხადეს კოლექტივში შესვლაზე.

რაიონის კოლექტივებში შრომის დისციპლინა მოიკოჭლებს, საწარმოო თათბირებს კოლექტივებში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, სოფლის მშრომელი გლეხობა ზოგან დღემდე არ იცნობს ამხ. სტალინის წერილს და პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ გადაჭარბებათა გამოსწორების შესახებ.

სოფ. საგურამოში აგრონომის თანამდებობას ასრულებს ისეთი კაცი, რომელმაც არაფერი იცის აგრონომიის. საგურამოს „აგრონომის“ რჩევით განადგურებულ იქნა ვენახები, ამის გამო აგრონომის ავტორიტეტი გლეხების თვალში დაეცა.

მცხეთის რაიონის 12 სოფელში არ არის არც ერთი პირველდაწყებითი სკოლა. თბილისის ოლქის და ადგილობრივი თემის აღმასკომს 1929-30 წლ. ბიუჯეტში არ გაუთვალისწინებიათ სკოლების გახსნა.

ნ. ღლონტი.

გორის რაიპარტკონფერენცია

2 მაისს გორის რკინის გზის მუშათა კლუბში გაიხსნა გორის რაიპარტკონფერენცია. კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, რიკოვი, კრუპსკაია, ცხაკაია, ელიავა, კახიანი, მახარაძე და ლოლობერიძე.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე კუციამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გორის რაიონის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ღარიბი და საშუალო გლეხების 45,8 პროცენტი. ატენის ხეობაში ადგილი ჰქონდა პარტიულ ხაზის დამახინჯებას; ადგილობრივ მუშაკებმა ანგარიში არ გაუწიეს მოსახლეობის კულტურულ ჩამორჩენილობას და ერთბაშად მოინდომეს კომუნების ჩამოყალიბება; გორის რაიონის მთელ რიგ ადგილას უხეშად იქნა დარღვეული კოლექტივებში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი. ახალ და ძველ საკონსერვო ქარხნებში საწარმოო-საფინანსო გეგმა არ არის შესრულებული, რაიც ჯერ კიდევ წარმოების საკითხებისადმი პარტორგანიზაციის სუსტი ყურადღებით აიხსნება. ხსენებულ ქარხნებში სუსტად მუშაობს საწარმოო თათბირები, არ არის გაშლილი სოცშეჯიბრება და სხვ.

რაიკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უმთავრესად ეხებოდნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებს და შემოიტანეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები გადაჭარბებათა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ა. დარახველიძე.

როგორ მუშაობდა ჭიათურის პარტორგანიზაცია

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო ჯგუფის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ ჭიათურის მარგანეცის რაიონში)

1. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგ. ჯგუფმა, მიუხედავად მუშაობის ძნელი პირობებისა, რომელიც გამოწვეული იყო ადგილობრივი ენის უცოდინარობით, საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა პარტიულ-პროფესიონალურ მასის საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციისათვის მარგანეცის ტრესტის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების ირგვლივ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების „პირით წარმოებისაკენ“ მობრუნების მხრივ.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეფერხების ლიკვიდაციისათვის საჭირო ზომები, რომელიც ჯერ კიდევ ნოემბერში იყო დასახული, ჭიათურის პარტორგანიზაციისა და ტრესტის მიერ განსაკუთრებით ენერგიულად იქნა გატარებული ცხოვრებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო ჯგუფის მხრივ პრესისა და მასიურ კრებებზე უშუალოდ გამოსვლის საშუალებით ატეხილი განგაშის შემდეგ, როცა საორგანიზაციო ჯგუფმა ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციების და ტრესტის მუშაობაში მიუთითა არსებულ დეფექტებზე და სამრეწველო-საფინანსო გეგმის ჩაშლის საფრთხეზე.

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევარწლიდის უკანასკნელი ორი თვის (თებერვალი, მარტი) განმავლობაში ადგილი აქვს ერთგვარ გარდატეხას მარგანეცის მრეწველობის საქმიანობაში, როგორც პროდუქციის ამოღების, ისე მისი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მხრივ, მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იგი არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

2. მიუხედავათ არსებული დირექტივებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის სპეციალური მოწოდებისა პარტიულ-პროფესიონალურ მასის ყურადღების მობილიზაციის შესახებ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისა და მისი ქარხანამდე, მაღაროამდე დაზგამდე მიყვანის შესახებ, ტრესტის ორგანიზაციის ცალკე საფეხურებში (მღვიმევი, პერევისა) დამაკმაყოფილებელი შედეგები მაინც არა სჩანს. ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს იმ არაჯანსაღ მოვლენაზე, რომ აქტივის ერთი ნაწილი ცდილობს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა ახსნას ობიექტიური მიზეზებით. პარტიის სარაიონო კომიტეტს ჯერ კიდევ არ დაუმუშავებია კონკრეტიული ღონისძიებანი მარგანეცის მრეწველობის მოხსენების ირგვლივ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმის მიერ გამოტანილი რეზოლიუციის უფრო სრული განხორციელებისათვის, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისა და ერთმმართველობის გატარებისათვის საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის დირექტივებიდან გამომდინარე ცალკე საკითხების გამოკლებით.

3. თვითკრიტიკის ლოზუნგი არა თუ ვერ გახდა საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციის ძირითად იარაღად სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობაში არსებულ ნაკლთა აღმოფხვრისათვის, არამედ იგი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შეთვისებული აქტივის მიერ.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ 1930 წლის 8 აპრილის „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული წერილი, მიუხედავად ამხ. ქურდოვანიძისათვის სიტყვის მიუცემლობის ფაქტის დადასტურებისა, არ იძლევა საფუძველს ისეთი დასკვნებისათვის, რომელიც თვით წერილში არის გამოყვანილი (თვითკრიტიკის ჩახშობა რაიკომის ხელმძღვანელთა მიერ). კერძოდ, ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ამხ. გვანცელაძის დაჟინებული მოთხოვნით ამხ. დორნოს სიტყვა არ მისცემოდეს, ფაქტების უმართებულოდ გაშუქებას წარმოადგენს და სინამდვილეს არ შეეფერება.

ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ რაიკომმა შეცდომა დაუშვა, როცა გვერდი აუხვია საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გაშუქებულ ცალკე ნაკლთა გამოსწორების პირდაპირ ამოცანებს და დადგა საერთოდ საორგანიზაციო ჯგუფის დადებითი მუშაობის უარყოფის ნიადაგზე. ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს ამხ. გვანცელაძის (რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე) დაუშვებელ და უხეშ გამოსვლაზე საორგანიზაციო ჯგუფის მიმართ უპარტიოთა კრებაზე.

4. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო ჯგუფს, პარტიულ-პროფესიონალური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის საქმეში ჩატარებულ დიდ მუშაობასთან და აგრეთვე ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში ცალკე დეფექტების და [illegible] გამომჟღავნებასთან ერთად, არ მიუღია ყოველივე ზომები რაიკომთან შეთანხმებული მუშაობის საწარმოებლად და კერძოდ, არასაკმაოდ წამოუყენებია კონკრეტიული საკითხები რაიკომის პრეზიდიუმის წინაშე, რასაც არ შეიძლებოდა ერთგვარი გავლენა მაინც არ მოეხდინა საორგანიზაციო ჯგუფის მუშაობის ეფექტივობაზე და არ მოესპო ცალკე ნაკლთა თავის დროზე აღმოფხვრის საშუალება.

5. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ჭიათურის რაიკომს დაამუშაოს კონკრეტიული ღონისძიებანი ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმის დირექტივებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის მოწოდების რეალიზაციისათვის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საკითხში, გააშუქოს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო ჯგუფის პრაქტიკული წინადადებანი და მიაღწიოს მუშათა მასების ფართოდ ჩაბმას მისი შესრულებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის და როგორც „მემარცხენე“, ისე მემარჯვენე ოპორტუნიზმის—მიმდინარე პერიოდის ამ უმთავრესი საფრთხის წინააღმდეგ — ბრძოლის საფუძველზე.

ამხ. კანდელაკის წერილის გამო

სახელმწიფო ოპერის ყოფილ დირექტორის მოქ. ჯაფარიძის შესახებ

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 6 მაისის ნომერში მოთავსებულია ამხ. დ. კანდელაკის წერილი სახ. ოპერის ყოფ. დირექტორ მოქ. ჯაფარიძის შესახებ.

ვიდრე შევაფასებდეთ ამ წერილის მნიშვნელობას, გამოვარკვიოთ, თუ რამდენად შეეფერება იგი ხელმძღვანელი ორგანოების სათანადო გადაწყვეტილებებს.

1) ამხ. კანდელაკი სწერს: „მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ჯაფარიძეს მეტად არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა მუშაობა... მან [illegible] შექმნა დიდი ინტერესი საოპერო თეატრისადმი“.

ამ ფორმულის მიხედვით გამოდის, რომ „არახელსაყრელ პირობებს“ ჯაფარიძის ირგვლივ სხვები ქმნიდნენ. განა ამ ფორმულიდან ის დასკვნა არ გამოდის, რომ „არახელსაყრელი პირობების“ შექმნის ძირითად მიზეზს თვით მოქ. ჯაფარიძე არ წარმოადგენდა? განა ეს ფორმულა არ ეწინააღმდეგება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითად გადაწყვეტილებას, რომელშიაც ნათქვამია: „მოხსნილ იქნას სახელმწიფო ოპერის დირექტორის თანამდებობიდან მოქ. ჯაფარიძე აღნიშნული დადგენილების (ლაპარაკია 1929 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე), მთელი რიგი ხელმძღვანელი მითითებების არ შესრულებისათვის, დაწინაურებულისადმი დაუშვებელი მოპყრობისათვის, უსისტემობისათვის ოპერის მართვის საქმეში და არაკოლეგიალობისათვის“?

განა უკანასკნელი ფორმულის თანახმად ცხადი არ არის, რომ მხოლოდ მ-ქე ჯაფარიძე, „როგორც უსულგულო და გაუსწორებელი ბიუროკრატი“, წარმოადგენდა ყველა იმ უმსგავსობათა მთავარ მიზეზს, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ოპერაში? რისთვის დასჭირდა ამხ. კანდელაკს მოგონილი „არახელსაყრელი პირობები“ მ-ქე ჯაფარიძისათვის? რისთვის დააყენა ამხ. კანდელაკმა თავდაყირა მდგომარეობის ის სწორი შეფასება, რაც ხელმძღვანელმა ორგანოებმა მოგვცეს?

2) ამხ. კანდელაკი, გატაცებული (ისევე, როგორც მ-ქე ჯაფარიძე) კომერციული წარმატებით, არითმეტიკულად ანგარიშობს ოპერის შემოსავლის თანხებს (ეს თანხები ჯერ კიდევ საეჭვოა) და იგი ასეთ „გენერალურ“ შეფასებას აძლევს ოპერის მდგომარეობას და ამ ოპერაზე მ-ქე ჯაფარიძის ხელმძღვანელობას: „მაგრამ მიუხედავად ამხ. ჯაფარიძის ასეთი მიღწევებისა“ (ე. ი. შემოსავლისა)... და სხვ. ვეკითხებით ამხ. კანდელაკს: რატომ ასე ვიწროდ და კომერციულად აფასებთ სახელმწიფო ოპერის და მისი, უკაცრავად პასუხია, „ხელმძღვანელის“ მოქ. ჯაფარიძის „მიღწევებს“? განა ჩვენთვის ცხადი არ არის, რომ სახელმწიფო ოპერის მუშაობის იდეოლოგიური შინაარსი გაუმართლებელია? როგორ აყენებს სახალხო განათლების საქმის მეთაური ამხ. კანდელაკი — ოპერის მიღწევების პირველ რიგში „შემოსავალს“ და არა საქმის იდეოლოგიურ მხარეს?!

ამხ. კანდელაკი ჩამოსთვლის მ-ქე ჯაფარიძის მოხსნის მიზეზებს და სწერს: „მხოლოდ ზემოთ მოყვანილი გარემოებები იყო საბაბი და არა ძირითადი მიზეზი ამხ. ჯაფარიძის განთავისუფლებისა თეატრის ხელმძღვანელობიდან“.

რაკი ასე მალე „დავიწყებას მისცემია“ მ-ქე ჯაფარიძის მოხსნის ძირითადი მიზეზი, საჭიროდ მიგვაჩნია მოვაგონოთ ამხ. კანდელაკს შემდეგი: მ-ქე ჯაფარიძის მოხსნის (მოხსნის და არა „განთავისუფლების“ — რატომ უფრო რბილ გამოთქმას ხმარობთ მ-ქე ჯაფარიძის დასამშვიდებლად და ერთნაირ მნიშვნელობას აძლევთ სიტყვებს: „მოხსნას“ და „განთავისუფლებას“?) ძირითადი მიზეზია მ-ქე ჯაფარიძის ყოვლად უმსგავსო, ყოვლად დაუშვებელი ბიუროკრატიული დამოკიდებულება პარტიის უმნიშვნელოვანესი დირექტივისადმი დაწინაურებულთან მუშაობის შესახებ, მ-ქე ჯაფარიძის მიერ პარტიული და პროლეტარული საზოგადოებრიობის [illegible] აბუჩად აგდება.

რათა კიდევ უკეთ გავიხსენოთ მოქ. ჯაფარიძის, როგორც აშკარა, ტიპიური ბიუროკრატის, დახასიათება, მოვაგონოთ ამხ. კანდელაკს, რომ ლენინის რაიონის 800 მუშა რკინისგზელის კრებაზე, სადაც მოსმენილ იქნა მ-ქე ჯაფარიძის „მოხსენება“ ოპერის შესახებ, მუშები მოითხოვდნენ მ-ქე ჯაფარიძის პასუხისგებაში მიცემას და „სახელმწიფო ოპერის საზოგადოებრივ გასამართლებას“. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე გადაწყვეტილება ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც მოითხოვდა „ბაზარზე აჟიოტაჟის შექმნისათვის“ მ-ქე ჯაფარიძის პასუხისგებაში მიცემას.

როგორ უნდა შევაფასოთ ამხ. კანდელაკის წერილის მნიშვნელობა? რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ ამ წერილის თვალსაზრისით?

პირველ ყოვლისა — თვითკრიტიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მასიური, ქვემოდან მომდინარე, კრიტიკის განვითარების თვალსაზრისით ამხ. კანდელაკის წერილი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ეს წერილი ამხ. კანდელაკის სურვილისაგან დამოუკიდებლად ეწინააღმდეგება პროლეტარული თვითკრიტიკის გადაჭრით გაშლის საჭიროებას.

მეორე — ამხ. კანდელაკის წერილი კიდევ უფრო ფრთებს შეასხამს ისეთ ბიუროკრატებს, როგორიც არის ჯაფარიძე, რაც გაახშირებს „მილიონიანი მასების მიერ მთელი აპარატის შემოწმებისა და კონტროლის, ამ აპარატის უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის“ (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან თვითკრიტიკის შესახებ) საქმისადმი უყურადღებობის შემთხვევებს.

მესამე — კიდევაც რომ არ დავსდოთ ბრალი ამხ. კანდელაკს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებისადმი გვერდის ახვევაში, — უნდა ვთქვათ რომ კონკრეტულად ჯაფარიძის დახასიათებასა და მისი მოხსნის მოტივების დასახელებაში ამხ. კანდელაკი ორჭოფობას იჩენს, ვინაიდან მ-ქე ჯაფარიძის მოხსნა მისი მონაწილეობითა და თანხმობითაც მოხდა.

ლ. ლომიძე.

მეცნიერებათა ინსტიტუტი საქართველოში

დადგენილება

სრულიად საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გასაერთიანებლად მთელი რესპუბლიკის ფარგლებში დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტი.

2. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდიუმს შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა როგორც მომავალი წლისა, ისე წინასწარი საორგანიზაციო მუშაობისათვის საჭირო ხარჯებისა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდიუმს ჩაიბაროს ინსტიტუტისათვის განკუთვნილი ყოფილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა და აგრეთვე ყველა ის დაწესებულება, რაც ამასთანავე დართული დებულების თანახმად დაექვემდებარება ინსტიტუტს.

5. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცენ სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათ—შეუთანხმონ თავიანთი მუშაობა საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ-რე: მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: ს. თოდრია.

1930 წ. მაისის 6.

თბილისი — სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მეცნიერებათა ინსტიტუტის შესახებ

1. მიზნები და ამოცანები

1. მეცნიერებათა ინსტიტუტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს მეცნიერულ მუშაობას საერთო სოციალისტური მშენებლობის მიზნებითა და გზით.

ინსტიტუტი იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის უწყებაში, ექვემდებარება უშუალოდ განათლების სახ. კომისარს, რომელსაც ის უდგენს დასამტკიცებლად თავისი მუშაობის გეგმებსა და მოქმედების ანგარიშს.

2. მეცნიერებათა ინსტიტუტის მიზანია:

ა) მოაწყოს და აწარმოოს საქართველოში მეცნიერული მუშაობა და მისცეს მას ერთიანი [illegible] მიზნობრივი მიმართულება;

ბ) შეკრიბოს, შეისწავლოს და გამოაქვეყნოს მატერიალური და გონებრივი კულტურის ძეგლები, წარმოდგენილი ზეპირი, წერილობითი და ნივთიერი მასალით როგორც საქართველოში, ისე მეზობელ ქვეყნებში;

გ) შეისწავლოს საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები და ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას;

დ) გამოიყენოს პრაქტიკულად საქართველოს მრეწველობისა და კულტურულ-ეკონომიურ მშენებლობის საქმეში მეცნიერების მიღწევანი და გამოცდილება;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლას და ამ მიზნით გააბას მეცნიერული კავშირი ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებთან.

3. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მეცნიერებათა ინსტიტუტი:

ა) აწარმოებს სამეცნიერო გამოკვლევებს თავის სექციებში და ინსტიტუტებში;

ბ) აარსებს საკვლევ ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, სადგურებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს და სხვა სამეცნიერო ხელშემწყობ და კვლევით დამხმარე დაწესებულებებს, გამოჰყოფს მუდმივსა და დროებით კომისიებს და სამეცნიერო კომიტეტებს;

გ) ინსტიტუტი ამზადებს მეცნიერულ მომუშავეებს ყველა დისციპლინაში, რაც წარმოდგენილია ინსტიტუტის განყოფილებებში, როგორც თავის საჭიროებისათვის, ისე უმაღლეს სასწავლებლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

დ) სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა და კრებულთა სახით ცალკე წიგნებად ინსტიტუტი აქვეყნებს თავისი წევრების მეცნიერულ კვლევა-ძიების შედეგებს, აგრეთვე სხვა მეცნიერთა ისეთ შრომებსაც, რაც თავისი მიმართულებით და მეთოდით შედის ინსტიტუტის მუშაობის გეგმაში;

ე) ინსტიტუტი მეცნიერულ კავშირს აბამს აკადემიებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და საზოგადოებებთან როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ;

ვ) ინსტიტუტი იწვევს განსაზღვრული წესების თანახმად თათბირებს, კონფერენციებს, ყრილობებს სპეციალური საკითხების შესახებ, რაც შედის ინსტიტუტის მოქმედების პროგრამაში, მონაწილეობას იღებს ასეთსავე კონფერენციებსა და ყრილობებში როგორც საბჭოთა კავშირსა, ისე უცხოეთში;

ზ) ინსტიტუტი დახმარებას უწევს სხვადასხვა უწყებათა მუშაობას კვლევა-ძიებით, მეცნიერული კონსულტაციით, მეცნიერული ძალებით და სხვ.

ინსტიტუტის სტრუქტურა

4. ინსტიტუტს აქვს ორი ძირითადი განყოფილება: 1) მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და 2) საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა. თვითეული მათგანი მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევს მის შედგენილობაში მყოფ დაწესებულებათა მუშაობას.

5. მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას აქვს სექციები:

ა) მათემატიკური დისციპლინებისა;
ბ) ფიზიკის და გეოფიზიკისა;
გ) ქიმიისა;
დ) გეოლოგიის და მინერალოგიისა;
ე) ზოოლოგიისა, ბოტანიკის და ფიზიოლოგიისა;
ვ) გეოგრაფიისა.

6. საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილებას აქვს შემდეგი სექციები:

ა) ეკონომიურ მეცნიერებათა;
ბ) ფილოსოფიის და ფსიქოლოგიისა;
გ) მატერიალურ კულტურის და ხელოვნების ისტორიისა;
დ) ისტორიულ მეცნიერებათა;
ე) ენათმეცნიერებისა (კერძოდ—იაფეტიდოლოგიის საფუძველზე დაყრდნობით);
ვ) ლიტერატურათ-მცოდნეობისა და წერითი უნებისა.

შენიშვნა. თვითეული სექციის კათედრათა რაოდენობას განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარი.

7. თავის სამეცნიერო მიზნებს ინსტიტუტი ახორციელებს შემდეგ სამეცნიერო დაწესებულებათა მეშვეობით, რომლებიც ექვემდებარებიან ინსტიტუტს:

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი;
2. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა;
3. ფსიქო-ტეხნიკური ინსტიტუტი;
4. გეოფიზიკური ობსერვატორია;
5. მაგნიტური სადგური;
6. სეისმური სადგური;
7. გეოლოგიური ინსტიტუტი;
8. ქიმიური ინსტიტუტი;
9. ფიზიოლოგიური ინსტიტუტი;
10. გეოგრაფიული ინსტიტუტი;
11. კარტოგრაფიული ინსტიტუტი;
12. ბათომის ბიოლოგიური სადგური;
13. თბილისის ბოტანიკური ბაღი;
14. ცენტრალური არქივი;
15. პალეოგრაფიული მუზეუმი;
16. მუდმივი სალექსიკონო კომისია;
17. ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისია;
18. ინსტიტუტის სამეცნიერო სტამბა და ლითოგრაფია.

შენიშვნა. დასახელებულ დაწესებულებათა გარდა, ინსტიტუტს უფლება აქვს, თანახმად მე-3 მუხლისა, სახალხო განათლების კომისარის დასტურით, გახსნას თუ შეიერთოს ახალი სამეცნიერო დაწესებულება.

ინსტიტუტის შედგენილობა

8. ინსტიტუტი შესდგება: ნამდვილი, საპატიო და კორესპონდენტ-წევრებისაგან.

9. ნამდვილ წევრად შეიძლება იყოს ისეთი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ცნობილია პირველხარისხოვანი შრომით ან ისეთი, რომელსაც აქვს თვალსაჩინო მიღწევები საბჭოთა მშენებლობაში თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისა.

10. ნამდვილი წევრის თავისუფალ ვაკანსიაზე განყოფილება ასახელებს შესაფერ კანდიდატს, რომლის სახელსაც საჯაროდ აცხადებს, არჩევნები ხდება განყოფილების უახლოეს სხდომაზე, მაგრამ არა უადრეს ერთი თვისა, რის შემდეგაც არჩეული კანდიდატი წარედგინება დასამტკიცებლად საერთო კრებას. კანდიდატი არჩეულად და დამტკიცებულად ითვლება იმ შემთხვევაში, უკეთუ სათანადო სხდომას დაესწრო არა ნაკლებ წევრთა რიცხვის ორი მესამედისა და აქედან ორმა მესამედმა მაინც მისცა მას ხმა.

11. საპატიო წევრად და წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი მეცნიერი, როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ისე უცხოელიც, რომელიც ცნობილია თვალსაჩინო მეცნიერული შრომებით და რომლის მეცნიერული მუშაობა სასარგებლოა ინსტიტუტის მუშაობის მიზნებისათვის. არჩევის წესი იგივეა, რაც ნამდვილი წევრის არჩევისათვის.

12. კათედრების და დაწესებულებების დანარჩენ მეცნიერ თანამშრომელთ იწვევს სათანადო კათედრა, თუ დაწესებულება საჭიროებისამებრ, თანახმად პრეზიდიუმის დასტურისა.

შენიშვნა. მეცნიერებათა ინსტიტუტის გახსნისას მის პირველ შედგენილობას წარადგენს განათლების კომისარი და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რის შემდეგ ძალაში შედის საარჩევნო წესი.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუტის წევრის მოღვაწეობა არ შეეფერება ინსტიტუტის მიზნებს, პრეზიდიუმის წინადადებით, საერთო კრება მას ანთავისუფლებს ინსტიტუტის წევრობისაგან.

14. ახალი მეცნიერული ძალების მომზადების მიზნით ინსტიტუტის ყველა განყოფილებას ჰყავს ასპირანტები, რომელთა არჩევა და მუშაობის წესი გათვალისწინებულია ცალკე დებულებით ასპირანტების მუშაობის შესახებ.

15. ინსტიტუტის თანამშრომელთა შედგენილობაში შედის ინსტიტუტის დაწესებულებათა სამეცნიერო, საადმინისტრაციო, სამეურნეო და ტეხნიკური პერსონალი, თანახმად შტატისა.

ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილი

16. სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო ხასიათის საერთო საკითხებს, რაც ინსტიტუტს ეხება მთლიანად, განიხილავს საერთო კრება, ხოლო იმავე ხასიათის საკითხებს, რაც განყოფილებებში წარმოდგენილ სპეციალობას ეხება,—საგანყოფილებო კრება; ერთსაც და მეორესაც იწვევს ინსტიტუტის პრეზიდიუმი.

17. ინსტიტუტის საერთო კრება მოიწვევა 3 თვეში ერთხელ, ხოლო საგანყოფილებო თვეში ერთხელ და საზეიმო კრება მთელი ინსტიტუტისა—წელიწადში ერთხელ, რომელზედაც ერთ-ერთი წევრი აკეთებს სამეცნ. შინაარსის მოხსენებას, ხოლო ინსტიტუტის მდივანი აქვეყნებს წლიურ ანგარიშს და ახლად არჩეულ წევრთა სიას.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში პრეზიდიუმს უფლება აქვს მოიწვიოს საგანგებო კრება.

შენიშვნა 2. სამეცნიერო ხასიათის სხდომები სწარმოებს კარღიათ.

18. ინსტიტუტის კრებებს ესწრებიან ნამდვილი წევრები, გადამწყვეტი ხმით და დაწესებულებათა დირექტორებიც იმ საკითხების გამო, რაც მათ დაწესებულებას ეხება. საკითხები, გარდა მე-10—11 მუხლებში აღნიშნულისა, გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

ინსტიტუტის პრეზიდიუმი

19. ინსტიტუტის პრეზიდიუმს შეადგენენ: პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოადგილე, 2 ვიცე-პრეზიდენტი, ინსტიტუტის მუდმივი მდივანი, განყოფილებათა სწავლული მდივნები და პროფკავშირების საბჭოს წარმომადგენელი.

20. ინსტიტუტის კრედიტები პრეზიდიუმის განკარგულებაშია, იგივე განაგებს ისეთს სამეცნიერო-საადმინისტრაციო საქმეებს, რაც უშუალოდ არ ექვემდებარება საერთო და საგანყოფილებო კრებებს.

21. სასწრაფო შემთხვევაში პრეზიდიუმი ისეთს საქმეებსაც არჩევს, რაც საერთო და საგანყოფილებო კრებების კომპეტენციაში შედის, ხოლო ამას მოახსენებს პირველსავე საერთო, თუ საგანყოფილებო კრებას.

22. ინსტიტუტის პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება ნამდვილი წევრების შედგენილობიდან ხუთი წლის ვადით და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. პრეზიდენტი მთავარი ხელმძღვანელია ინსტიტუტისა და პასუხისმგებელი მისი მუშაობისათვის.

23. პრეზიდენტის მოადგილე ასრულებს პრეზიდენტის ყველა მოვალეობას უკანასკნელის არყოფნის დროს, ან მისი დავალებით.

24. ვიცე-პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან სამი წლის ვადით და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. თვითეული მათგანი უშუალო ხელმძღვანელობას უწევს სათანადო ნაწილს: სამეცნიერო-ადმინისტრატიულს და სამეცნიეროს.

25. ინსტიტუტის მუდმივ მდივანს ირჩევს საერთო კრება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან და ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. იგი განაგებს ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილს მთლიანად, აგრეთვე გამომცემლობასა და მის საწყობს და საერთო კრების საქმის წარმოებას; გარდა ამისა, მას სამეცნიერო მიწერ-მოწერა აქვს ინსტიტუტის სახელით სხვადასხვა დაწესებულებებთან და პირებთან, პასუხისმგებელი რედაქტორია ინსტიტუტის ყველა გამოცემისა.

შენიშვნა. ინსტიტუტის პირველ შედგენილობას დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განათლების სახალხო კომისრის წარდგენით.

26. განყოფილებათა სწავლულ მდივნებს ირჩევს თვით განყოფილება ნამდვილ წევრთა შედგენილობიდან სამი წლის ვადით და ამტკიცებს საერთო კრება; ისინი უშუალო თანაშემწენი არიან ინსტიტუტის მუდმივი მდივნისა, განაგებენ განყოფილების სამეცნიერო ნაწილს, მოახსენებენ მის კრებას განსახილველ საკითხებს და აწარმოებენ შესაფერ ოქმებს.

ინსტიტუტის საქმეთა მმართველობა

27. ინსტიტუტს ჰყავს საქმეთა მმართველობა, რომელიც უძღვება,—პრეზიდიუმის საერთო ზედამხედველობით, საადმინისტრაციო, საფინანსო, სამეურნეო და საკანცელარიო საქმეებს; პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ ის არის გამცემი თანხებისა ინსტიტუტის კრედიტებიდან ყოველგვარი საჭიროებისათვის.

28. საქმეთა მმართველს ნიშნავს პრეზიდიუმი, მისი უახლოესი თანამშრომლები არიან: ტეხნიკური მდივნები, სამეურნეო ნაწილის გამგე, მთავარი ბუღალტერი და მოლარე, რომელთაც დანიშნავს პრეზიდიუმი.

29. სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც, თანახმად მე-7 მუხლისა ინსტიტუტის გამგებლობის ქვეშ იმყოფება, განაგებს დირექტორი; მას ირჩევს შესაფერი განყოფილება და ამტკიცებს პრეზიდიუმი.

30. დაწესებულებათა განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტები ამა თუ იმ დარგისა; მათ ირჩევს შესაფერი განყოფილება და ამტკიცებს პრეზიდიუმი. დაწესებულებათა სხვა სამეცნიერო თანამშრომლებს დანიშნავს, დირექტორის წარდგენით. ესა თუ ის განყოფილება და დაამტკიცებს პრეზიდიუმი. ტეხნიკური თანამშრომელნი ინიშნებიან დირექტორის მიერ.

31. ინსტიტუტის სტამბას და ლითოგრაფიას ჰყავს საკუთარი დირექტორი და საჭირო შტატი, რომელსაც განსაზღვრავს და დანიშნავს პრეზიდიუმი.

ინსტიტუტის სალარო

32. ინსტიტუტის სალაროს შეადგენს: ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, ბ) სპეციალური თანხები.

33. ინსტიტუტის ხარჯთ-აღრიცხვა პრეზიდიუმის მიერ უშუალოდ წარედგინება დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; კრედიტები იხსნება ინსტიტუტის სახელზე.

ინსტიტუტის განსაკუთრებული უფლებანი

34. ინსტიტუტს და მის დაწესებულებებს უფლება აქვთ გადაგზავნონ და მიიღონ უფასოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საზღვრებში ყოველგვარი საფოსტო ამანათი წონით 20 კილოგრამამდე.

35. ინსტიტუტის მიერ საზღვარგარეთ შეძენილი წიგნები და სამეცნიერო ხელსაწყოები განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. ინსტიტუტის წიგნთსაცავს უფასოდ ეგზავნება თითო ცალი კავშირში გამოსული წიგნი.

36. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბეჭედი სახელმწიფო ღერბითა და შემდეგი წარწერით: „საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა ინსტიტუტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

შეუწყნარებელი დაუდევრობა

(ქუთაისის ოლქი)

პირველ ქ.მ.დ. სამხედრო პროკურატურასთან არსებულ გამომკვლევ შტაბის მიერ გამოყოფილმა კომისიებმა გამოარკვიეს, რომ ქუთაისის ოლქის სხვადასხვა დაწესებულებებში არ ტარდება არსებული კანონმდებლობით გრძელვადიან შვებულებაში მყოფ თადარიგი მეთაურებისა და წითელარმიელთა ოჯახებისათვის მინიჭებული შეღავათები.

ქუთაისის საოლქო აღმასკომთან დაარსებულ თადარიგ მეთაურთა მომწყობ კომისიის მუშაობა ძალიან სუსტია. 1928 წ. ნოემბრიდან აღრიცხვაზე ყავთ აყვანილი 21 თადარიგი მეთაური; ამათგან სხვადასხვა თანამდებობაზე გაგზავნილია 19, ორი კი ვერსად მოუწყვიათ და მათთვის თავი დაუნებებიათ. კომისიამ არ იცის, თუ სად არის ეს ორი კაცი. 1929 წ. აღრიცხვაზე ყავთ აყვანილი 36 კაცი; აქედან ზოგი მოწყობილია, ხოლო ზოგი თუ სად იმყოფება, არ იციან. მიმდინარე წლის აღრიცხვაზე არის აყვანილი 11 კაცი, რომელთაგან მოწყობილია სამსახურში მხოლოდ ექვსი, 5 კაცი კი უმუშევრადაა დარჩენილი.

გარდა ამისა, კომისიამ არ იცის, თუ რა თანამდებობაზე აგზავნის ხალხს, როგორი ჯამაგირი აქვთ გაგზავნილებს და სხ. ოღონდ თავიდან მოიშორონ აღრიცხვები, მეტს არ დაგიდევენ. ერთი მაგალითი: თადარიგმა მეთაურმა ამხ. ჭუმბურიძემ განცხადება შეიტანა კომისიაში, რომ ის სამუშაოზე მოეწყო. კომისია წინადადებას აძლევს ქუთაისის საჩოვ ქარხნის დირექტორს, რათა დემობილიზაციაქმნილ მეთაურის ადგილზე დანიშნულ მოქალაქის მაგივრად, სამ პროცენტიან ჯავშნის ანგარიშში, მიიღოს ხსენებული ჭუმბურიძე. მაგრამ ამაზე ქარხნის დირექცია უარს ეუბნება, რადგან ჩვენ გვაქვს 72 მანეთიანი სამსახური, ხოლო „თქვენს მიერ გამოგზავნილი ჯავშანი ამ თანხას არ ეთანხმება".

მომწყობ კომისიას არ უწარმოებია გამოკვლევა, თუ რა პირობებში მუშაობენ გაგზავნილი მეთაურები. მათთვის შემოსულია 15 განცხადება საჩივრის სახით, მაგრამ კომისიამ არ იცის, თუ რამდენად არის ეს განცხადებები დაკმაყოფილებული. სამუშაოზე მოწყობილ თადარიგ მეთაურების უმეტესობა ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, მახვილაძე, ტაბატაძე და ბრეგვაძე თვეში ღებულობენ თვითეული 45 მან. და შეუფერებელნი არიან იმ სამუშაოსათვის, რომელთა შესრულება მათ უხდებათ. როგორც ქსენი, ისე სხვა ამხანაგებიც არიან მეეზოვეებად, ნოქრებად, რეგისტრატორებად, შიკრიკებად და ვინ იცის კიდევ რად. ამასთან, ზოგიერთ დაწესებულებებში ადგილი აქვს თადარიგ მეთაურების დაქვეითებას, აგრეთვე არის შემთხვევები, როცა შტატის შემცირებაში პირველ რიგში მათ ახვედრებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რაიონებში არ არსებობენ მომწყობი ქვეკომისიები, ხოლო სადაც არსებობენ, არაფერს არ აკეთებენ, სხდომებზედაც არ იკრიბებიან.

ზოგიერთ დაწესებულებებს სამსახურში არ ყავთ იმდენი თადარიგი მეთაური, რამდენიც კანონით გათვალისწინებულია. მაგალითად, მუშკოოპში 16 კაცის მაგივრად არის 11, ჯანმრთელობის განყოფილებაში 6-ს ნაცვლად 4, განათლების განყოფილებაში ერთი ადგილია, მაგრამ იქედანაც მოუხსნიათ თადარიგი მეთაური (ქავთარაძე).

ძალიან ცუდადაა დაყენებული ოლქის დაწესებულებებში სამხედრო მახურთა საქმეების და საბუთების აღრიცხვის საქმე, კიდევ მეტი: ამ მხრივ არავითარი აღრიცხვა არ სწარმოებს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი დახმარებას უწევენ ისინი თადარიგ მეთაურებს და წითელ არმიელთა ოჯახებს.

კერძოდ, შრომის ბირჟაში სრული დომხალია გამეფებული. აქ არ იციან, თუ ვის სად გზავნიან, რამდენი კავშირის წევრი — წითელარმიელი იქნა გაგზავნილი, რამდენი წითელი არმიელია კავშირის წევრი და სხ. არც ის იციან, თუ რამდენი წითელი არმიელი ან მეთაური ღებულობს დახმარებას, როგორც უმუშევარი, ან რამდენია ისეთები, რომლებიც კავშირის უფლებაში არიან აღდგენილი. ამ მხრივ არც დამზღვევ სალაროშია ვარგი მდგომარეობა; იქ არ მოიპოვება ცალკე ცნობები, თუ რამდენ მეთაურს და წითელარმიელს ეძლევა დახმარება.

საერთოდ წითელ არმიელებისა და თადარიგ მეთაურებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა დაწესებულებათა მხრით სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. დაწესებული შეღავათებით, როგორიცაა, მაგ., წითელ არმიელთა ოჯახებისათვის საექიმო დახმარების გაწევა და სხვ., ისინი არ სარგებლობენ. ასეთ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

ს. თორაძე.

მუშების ექსპლოატატორი

(არტელი „ერთსულოვანი")

1926 წელს თბილისში შესდგა მტვირთავ-გადამტვირთავ მუშების არტელი „ერთსულოვანი". არტელ „ერთსულოვანს" აღებული აქვს სამუშაოდ თბილისის რკ. გზის სადგურის „სამხრეთი პარკი"-ს, „საქსახვაჭრობა"-ს, „ცეკავშირი"-ს და სხვა დაწესებულებათა საწყობები. არტელი აერთიანებს სულ 95 კაცს. მის ხელმძღვანელად ითვლება მოქ. ლორთქიფანიძე. არტელს ჰყავს გამგეობა და სარევიზიო კომისია, მაგრამ მათი არსებობის შესახებ არტელის მუშებმა არაფერი იციან, არტელის მუშებს არ ჰყავდათ მუშკომი, რომელიც დაიცავდა მათ ლორთქიფანიძის ექსპლოატაციისაგან. დღემდე ყველა სდუმდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა ლორთქიფანიძის შიშით. უკანასკნელი თავისუფლად თარეშობდა. მის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მუშების ნაშრომის მითვისება და მათი შევიწროება. მოთმინებიდან გამოსულ მუშებმა კოლექტიური განცხადება შეიტანეს ხელმძღვანელ ორგანოებში და თხოულობდენ მათ დახსნას ლორთქიფანიძის ექსპლოატაციისაგან.

ა.-წ. 20 აპრილს მოწვეულ იქნა არტელის მუშების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ საქართველოს კ.პ. (ბ) ლენინიანის მუშგლეხინის, პროფკავშირის და გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის წარმომადგენლები. არტელის წევრებმა გამოამჟღავნეს ლორთქიფანიძის უმსგავსოებანი. გამოირკვა, რომ ლორთქიფანიძე მუშებს არ აზღვევებდა; მუშები დაზღვეულნი არიან არა არტელის ხარჯზე. დაზღვევის ანარიცხებს, თვიურად 7 მანეთს, იღებს თვით ლორთქიფანიძე, ხოლო თუ რამდენი შეაქვს დანიშნულებისამებრ, ეს არავინ იცის. მუშები დაზღვევის წიგნაკებით საექიმო დახმარებას ვერ ღებულობენ. „ბოროტი ენები" ამბობენ, რომ სათანადო ორგანოდან შემოწმებული და გაცემული არ უნდა იყოს არტელის წევრებზე დამზადებული დაზღვევის წიგნაკები. ლორთქიფანიძე მუშებს ამუშავებდა განუსაზღვრელად და ის და არტელის გამგეობა არ თვლიდნენ საჭიროდ გაეცნო მუშებისათვის, თუ ამ 4 წლის განმავლობაში რა ბედი ეწვია არტელს, რამდენი შემოდის და რამდენი იხარჯება. მუშების უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ გამგეობა ამას ყურადღებას არ აქცევს; საერთო შემოსავლიდან გამგეობას მიაქვს 10 პროც. სად მიდის ეს თანხა არავინ იცის. თუ მუშები ხმას აღიმაღლებდნენ საჭირბოროტო საკითხებში, ლორთქიფანიძე მათ ამის გამო სტუქსავდა და სამუშაოდან ხსნიდა; ლორთქიფანიძეს კანონად ჰქონდა შემოღებული „ურჩი" მუშების დაჯარიმება, ვინც ამ „კანონს" არ შეასრულებდა, უადგილოდ უნდა დარჩენილიყო. ხელფასის დარიგება ხშირად 10-15 დღით გვიანდებოდა. ლორთქიფანიძე 4 ალაგას იღებდა ჯამაგირს, გარდა ამისა ჯიბეს ისქელებდა მუშების ფულით. გამგეობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა არტელის წევრებთან. ლორთქიფანიძე მუშებს მტრულად ეპყრობოდა. მას არტელში კერძო დაქირავებული მუშები უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე არტელის წევრები, რაც ეწინააღმდეგება არტელის დებულებას; მუშების სურვილის წინააღმდეგ ლორთქიფანიძემ დანიშნა 2 უფროსი მუშა, რომელნიც სისტემატიურად ეწევიან ქურდობას.

ლორთქიფანიძეზე და მთლიანად არტელის გამგეობაზე არა ერთი და ორი დადგენილება გამოუტანიათ მუშგლეხინს და სხვა ორგანიზაციებს—მისი მოხსნისა და არტელის გაუქმების შესახებ, მაგრამ რატომღაც სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ შეაჩერა საქმე. მუშები მოითხოვენ, რომ არტელში არსებულ შეუწყნარებელ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და ლორთქიფანიძე სასტიკ პასუხისგებაში იქნას მიცემული.

კ. ჯიბლაძე.

ყოფილი ჩარჩი აფთიაქის გამგედ

ჯანსახკომის აფთიაქს სათავეში უდგას ყოფილი ვილარეტის აფთიაქის მოიჯარადრე და ჩარჩი სპირიდონ ბახვას ძე ხაბურზანია, რომელიც ცნობილი იყო მუშა-მოსამსახურეების ყვლეფით და წამლების სპეკულაციით.

ჩვენ არაფერს ვიტყოდით ხაბურზანიას წარსულზე, მისი მოიჯარადრეობის დროინდელ კომბინაციებზე, რომ ის ახლა მაინც უძღვებოდეს წესიერად აფთიაქს, რომ ის ეხლაც არ განაგრძობდეს თავის მოიჯარადრულ შედიდურობას, ბიუროკრატობას, თვითნებობას, უხეშ მოპყრობას, როგორც თანამშრომლებისადმი, ისე წამლისთვის მისულ მოქალაქეებისადმი.

ხაბურზანიამ დღიდან მისი გამგედ დანიშვნისა აფთიაქში შექმნა აუტანელი ატმოსფერა. იმის მაგიერ, რომ იზრუნოს წამლების მომარაგებაზე, ხელსაწყოების შეძენაზე, სისუფთავის დაცვაზე, ანგარიშწარმოების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებაზე,—ხაბურზანია მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რომელი თანამშრომელი რომელს წააკიდოს, როგორ შეიტანოს არევ-დარევა მუშაობაში, როგორ აამღვრიოს წყალი, რომ მას თავისუფლად შეეძლოს „თევზის ჭერა". ხოლო მღვრიე წყალში თევზის ჭერა ხაბურზანიამ ჯერ კიდევ ვილარეტის აფთიაქში ისწავლა.

დაუსრულებელი ინტრიგის წყალობით არა ერთი და ორი საუკეთესო მუშაკი იძულებული გახდა წასულიყო აფთიაქიდან.

აუცილებელ წამლებს უბრალო მოქალაქე ვერ ღებულობს, თუ ხაბურზანიას პროტექტორი არ მოუგზავნა, ხოლო ხაბურზანიას კარგი ნაცნობობა საკმარისია იმისათვის, რომ დეფიციტიანი წამალი დიდი რაოდენობით გატანილ იქნას აფთიაქიდან.

ამის მაგალითები მრავალია. ავიღოთ ერთი ფაქტი. ერთმა ღარიბმა ქალმა, რომელიც არავის იცნობდა აფთიაქში, მიიტანა რეცეპტი ნეოსალვარსანის მისაღებად, ხაბურზანიამ უარი უთხრა ქალს წამლის მიცემაზე იმ დროს, როცა ნეოსალვარსანი საკმაოდ მოიპოვებოდა აფთიაქში. რამდენიმე საათის შემდეგ ხაბურზანიამ თავის კარგ ნაცნობს 13 მანეთის ნეოსალვარსანი შეუხვია და გაატანა.

თუ ვინმემ ხმა ამოიღო ხაბურზანიას უკანონო მოქმედების შესახებ, მას წინდაწინვე ბარგი აკრული უნდა ჰქონდეს გასაქცევად. ხაბურზანია არ სცნობს არც კავშირს, არც საკონფლიქტო კომისიას. თვითკრიტიკა და სოციალისტური შეჯიბრება თანაბრად ეჯავრება ხაბურზანიას.

აფთიაქში არ არის აუცილებელი ხელსაწყოები, სასწორებიც კი არ მოიპოვება. წამლების შეზავება ხდება თვალით შეზომვით. მუშაობაში არ არის არავითარი სისტემა; ერთ დღეს ათი კაცი მუშაობს, მეორე დღეს ორ კაცს თუ ნახავთ აფთიაქში. ასევე არეულია ანგარიშწარმოება.

არ იქნებოდა ზედმეტი ხაბურზანიას ბნელი საქმიანობის სააშკარაოზე გამოტანა დეტალური რევიზიის მოხდენით. ყოფილ მოიჯარადრეს ნუ მივსცემთ საჯიჯგნად საბჭოთა აფთიაქს.

ალი.

დაუმთავრებელი სკოლის შენობა

(ს. ხუნწი, სენაკის მაზრა)

ვინ იცის რამდენი ვაი-ვაგლახი გადახდა სოფ. ხუნწის გლეხობას, რომ როგორმე აეშენებიათ შვიდწლედის შენობა. ძველი დროიდან არსებობდა მხოლოდ ოთხწლედის შენობა, რომელიც მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სოფლის საერთო კრებამ დაადგინა, რომ საკუთარი სახსრებით აეშენებიათ ერთი მოზრდილი შენობა 4-5 ოთახით, სადაც მოთავსდებოდა 4-წლედი და შვიდწლედის რამოდენიმე ჯგუფი მაინც. ამ მიზნით გლეხობამ აირჩია კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა თემაღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე თეიმურაზ ხარებავა. ეს ამბავი ხდება 1926-27 წელში.

შენობისათვის არჩეულ იქნა ის ადგილი, სადაც ძველი სკოლა იყო. გლეხობა დაუზარებლად შეუდგა მუშაობას. უპირველეს ყოვლისა თავიანთი ხარ-ურმით მახლობელ ადგილებიდან მოიტანეს სკოლის ასაშენებლად ქვა და კირის მასალა, რომელიც სკოლასთან უნდა დაეწვათ. დასწვეს კირი რამოდენიმე ფუთი. ამასთან საჭიროზე მეტი გაყიდულ იქნა. დაისვა ძველი სკოლის გაყიდვის საკითხი, რადგან ის საჭირო არ იქნებოდა; გამონახულ იქნა ერთ-ერთი მახლობელი სოფლიდან მყიდველი, რომელმაც ბედ შენობის წაღებამდე დასტოვა 200 მანეთი. მაგრამ ის დროზე არ მოვიდა და მისი 200 მან. სასკოლო ფონდში გადაირიცხა. სკოლა მიყიდეს სხვას, 900 მანეთად.

გარდა ამისა, გასწერეს გლეხობაზე ერთხელ 1.000 მანეთი, რომელიც სასწრაფოდ იქნა შეგროვებული, მეორედ გასწერეს 800 მანეთი, მესამედ 700 მანეთი, მეოთხედ ამდენივე. სკოლის სასარგებლოდ დადგმულ იქნა მთელი რიგი საღამოები და წარმოდგენები, საიდანაც 300-400 მანეთი შემოვიდა. რამოდენიმე ასი მანეთი შეგროვილ იქნა თბილისში და იმ ადგილებში, სადაც აქაური სოფლიდან წასული ხალხი იყო. სულ შეგროვილ იქნა არა ნაკლებ 4.500 მანეთისა. სკოლის ასაშენებლად კი ქვა და კირი, როგორც ვსთქვით, გლეხობის მიერ იქნა მოტანილი. მანვე შეასრულა სხვა სამუშაოები, რაც კი სჭირდებოდა სკოლას, გარდა ოსტატის სამუშაოებისა. ამასთან მთავრობამ სკოლას დახმარების სახით ცხენის-წყლიდან მისცა 20 სახერხი დიდი ფიჭვის ხე. გარდა ამისა, გლეხებმა თავიანთი ეზოებიდან მიიტანეს საჭირო ხის მასალა. ფული დაიხარჯა მხოლოდ კრამიტზე, დაახლოებით 800 მან., და ოსტატზე—1.000 მანეთამდე.

თავისთავად ცხადია, ამდენხანს სკოლა უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ჯერ ამოყვანილია მხოლოდ კედლები, რომლებიც გადახურულია კრამიტით, და გაკეთებულია მარტო ორი ოთახი, ისიც უკარით და უფანჯროთ. ძველი სკოლის გაყიდვის შემდეგ მოწაფეები საშინელ მდგომარეობაში არიან. ზამთარში ახალ შენობაში მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელი იყო, და გლეხობა იძულებული გახდა დაექირავებია ახლობელი მეზობლის სახლი სამეცადინოთ. სკოლა, რომ დამთავრებულ იქნას, საჭიროა თითქმის იმდენივე თანხის აკრეფა გლეხებისაგან, რაც შეგროვილ იქნა. სოფლის დიდი უმრავლესობა ღარიბებისაგან შესდგება და მათ არ შეუძლიათ მეტის გაღება.

ყოველივე ამით გლეხობა მეტად უკმაყოფილოა. რატომ არ მოხერხდა ამდენხანს შენობის აგება? ეს იმ დროს, როცა ამისათვის საკმაოდ დიდი ფული შეაგროვეს, გლეხობაც თვითონ ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოს და მთავრობამაც დახმარება გაიღო. ეს საქმე უნდა იქნას გამორკვეული და პასუხისგებაში მიცემული საამშენებლო კომიტეტი, აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელიც სრულ უმოქმედობას იჩენდა.

მეთვალყური.

რას გვეუბნებიან საბჭოთა აპარატის წმენდის წინასწარი შედეგები

წინასწარი მომზადება არადამაკმაყოფილებელი იყო.—დაწესებულებათა მეთაურები წმენდას აფერხებდნენ.—წმენდამ მრავალი უცხო და უვარგისი ელემენტი გამოაშკარავა.—

მზადება სუსტად ჩატარდა

როგორც ცენტრის, ისე ოლქების ზოგიერთ დაწესებულებებში აპარატის წმენდა უკვე დამთავრებულია. რესპუბლიკანურ კომისიას ხელთ აქვს საკმაო მასალა იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნას წმენდის წინასწარი შედეგები. მაგრამ ჯერ საჭიროა რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ წმენდის მზადების საკითხს.

რადგან პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანოებმა საკმაოდ ვერ შეაფასეს ის მნიშვნელობა, რომელიც დღევანდელი გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში აქვს წმენდას აპარატის გაჯანსაღების საქმეში და რადგან ამ ორგანოებმა წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში სრული მონაწილეობა არ მიიღეს, — ამიტომ წინასწარი მზადება არ აღმოჩნდა საკმაოდ ჩატარებული. დაწესებულებათა უჯრედებმა და ადგილკომებმა ვერ შესძლეს ჩასდგომოდნენ სათავეში წმენდის ამოცანათა განმარტებისა და პოპულიარიზაციის საქმეს. მათ ვერ შექმნეს მოსამსახურეთა ძირითად მასაში რწმენა, რომ წმენდა სრულებითაც არ არის მიმართული მის წინააღმდეგ და რომ, პირიქით, მან უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები კეთილსინდისიერ მუშაკთა ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. ამის შედეგად გამოვიდა ის, რომ წმენდაში ფართო მასებმა არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა. ძირითადი განწყობილება, რომელიც წმენდის პირველ პერიოდში გაბატონდა მოსამსახურეთა შორის, იყო შიში და გაურკვევლობა და, როგორც ამის შედეგი — პასიურობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი ჩვენ მოწმე ვიყავით სრული დუმილისა.

აპარატის მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აკრიტიკებდა დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოღვაწეობას, აპარატის მუშაობის სტრუქტურას და მეთოდებს, დახმარებას უწევდა შემმოწმებელ კომისიებს და მუშგლეხინის რაციონალიზატორულ ღონისძიებების დარგში, მაგრამ ძალიან ხშირად სრულებით სდუმდა ცალკე თანამშრომლების, თუნდაც აშკარა ბოროტმოქმედთა და საეჭვო პირთა წმენდის დროს.

მსუბუქ კავალერიას ხელს უშლიდნენ

მსუბუქი კავალერიის შტაბმა ადგილებზე ჩაატარა მსუბუქი კავალერიის კრებები, რომლებზედაც გაირჩა საკითხი მსუბუქი კავალერიის მონაწილეობის შესახებ საბჭოთა აპარატის წმენდაში. ეს საკითხი აგრეთვე გადატანილ იქნა უპარტიო ახალგაზრდობის კონფერენციაზე, ბიუროებში, სამაზრო, საოლქო და სარაიონო პლენუმებზე და კომკავშირის უჯრედების სხდომებზე. წმენდის საკითხები დაისვა აგრეთვე მსუბუქი კავალერიის თბილისისა და რესპუბლიკანურ ყრილობებზე. იყო აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მსუბუქ კავალერიას მუქარით მიმართეს. მაგალითად, **სამხრეთ - ოსეთის განათლების სახალხო კომისარმა სტუდენტ - კავალერისტს გამოუცხადა, რომ ჩამოართმევს სტიპენდიას, მეორეს კი უთხრა, რომ არ გაგზავნის სასწავლებელში.**

მსუბუქი კავალერიის მონაწილეობა ყველგან არ ყოფილა ერთნაირი და ეს მით აიხსნება, რომ მუშგლეხინის ორგანოების მხრით არ ეწეოდა სათანადო ხელმძღვანელობა მსუბუქ კავალერისტებს.

დაწესებულებათა ხელმძღვანელები არღვევდნენ დირექტივებს

არა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ის მოპყრობა, რომელსაც დაწესებულებათა ხელმძღვანელები იჩენდნენ წმენდის საკითხებისადმი.

ქუთაისის საოლქო საფინანსო განყოფილებამ არაფრად ჩააგდო ჩვენ მიერ მიცემული დირექტივები და არ ჩაატარა არც ერთი საანგარიშო მოხსენება. ჩვეულებრივ, დაწესებულებათა ხელმძღვანელები ცდილობდნენ დეფექტების მიჩქმალვას, მალავდნენ თავიანთი აპარატის ნაკლოვანებებს და ნაცვლად იმისა, რომ თვითვე გადმოეშალათ თავიანთი აპარატების შეცდომები და ნაკლოვანებანი ისინი ხშირად ხელს უშლიდნენ იმათ, ვინც ამას სჩადიოდა. ახალციხეში მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობის მომხსენებელი თავის საბოლოო სიტყვაში თავს დაესხა ერთ გამოსულთაგანს, მოქალაქე იარონოვს და განუცხადა საზოგადო კრებას, რომ **„იარონოვისთანა ხალხს ერთ დროს დასტყობით ხვრეტდა საკუთარი ხელით და თუ საჭირო იქნა მომავალშიც დახვრეტს".** გუდაუთის კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელებმა განაცხადეს: **„ჩვენ არ გვჭირდება მუშათა ბრიგადები, რადგან თვითონაც კარგად ვიცნობთ ჩვენს აპარატს"-ო.**

„საქართველოს ჩაის" საცდელი სადგურის გამგემ ზუგდიდში კატეგორიულად გაილაშქრა მუშათა ბრიგადის და შემმოწმებელ კომისიის დასკვნების წინააღმდეგ და გაასაჩივრა, ისინი სამაზრო კომისიაში, რომელმაც ეს დასკვნები ძალაში დასტოვა და სადგურის ხელმძღვანელს კატეგორიული წინადადება მისცა გაატაროს ისინი ცხოვრებაში. არა ერთია ისეთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულებათა ხელმძღვანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ შემმოწმებელ კომისიებს ამა თუ იმ „უბადლო" მოსამსახურის მოხსნის დროს, სრულ მფარველობას უწევდნენ ამ „უბადლოებს" (ოზურგეთის და ჩოხატაურის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებები) და გაწმენდილ მოსამსახურეებს შემმოწმებელი კომისიების დადგენილების შემდეგ სტოვებდნენ სამსახურში იმავე მოტივით. ბათომის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების გამგეობამ გასცა განკარგულება, რომ შეუძლებელია მოქალაქე კეკელიძის მოხსნა, რადგან არავინ არის მისი „ბადალი"-ო. ამავე დროს კი კეკელიძის მოხსნას მუშა-მოსამსახურეები და მთელი საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

ანალოგიური სურათი გვქონდა თბილისში მიწათ-მოქმედების და საფინანსო ორგანოებში.

ყველა კომისიებმა მსუბუქი კავალერიის და მუშათა ბრიგადების საშუალებით უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად არის გატარებული ცხოვრებაში შემმოწმებელი კომისიების დადგენილებები და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა ისინი, ვინც აჭიანურებს ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

რესპუბლიკანური კომისიის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რომ თავიდან იქნას აცილებული ინსტრუქციებისა და დირექტივების ასეთი დარღვევა.

საგულისხმო ციფრები

პირველი აპრილისათვის არსებულ ცნობებით, საქართველოში წმენდა გაიარეს მიწადმოქმედების საფინანსო ორგანოებმა და შრომის სახალხო კომისარიატმა სოციალური დაზღვევის კომიტეტთან ერთად. მიმდინარეობს წმენდა ცენტრში — იუსტიციის სახალხო კომისარიატში, ქალაქის აღმასკომში და მილიციაში. განზრახულია გაწმენდა ყველა სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოების და სხვ.

სულ წმენდა გაიარა 77 დაწესებულებამ.

სასჯელ-დადებულთა რიცხვი კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

მამაკაცები: პირველი კატეგორიის — 75 კაცი, მე-2 კატეგორიის — 195 კაცი, მე-3 კატეგორიის — 41 კაცი; დედაკაცები: 1-ლი კატეგორიის — 3, მე-2 კატეგორიის — 20, მესამე კატეგორიის — 4.

კატეგორიის გარეშე: **სასტიკი საყვედური** გამოეცხადა 94 კაცს, საყვედური — 114 კაცს, შენიშვნა მიეცა — 95 კაცს, პენსიაზე იქნა გადაყვანილი ხანში შესული 6 კაცი. პირველ კატეგორიაში მოქცეულ პირთაგან სოციალური მდგომარეობით 67 კაცი მოსამსახურეებია, დანარჩენი — მუშები, გლეხები და სხვები.

კატეგორიებით მოხსნილი ქალები ყველა მოსამსახურეებია, რაც სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

მაზრების უმრავლესობის შესახებ არსებული მასალები ადასტურებენ, რომ წმენდის შედეგად დათხოვნილ პირთა რიცხვი შეადგენს წმენდა-გავლილთა 15 პროცენტს.

გაწმენდილთა ეროვნული შემადგენლობა, ოთხი ძირითადი ერის: ქართველების, სომხების, რუსების და თურქების მიმართ არის შემდეგი:

პირველი კატეგორიის: ქართველები 43, სომხები — 13, თურქები — არც ერთი, რუსები — 8, სხვები — 11; მე-2 კატეგორიის: ქართველები — 123, სომხები — 17, თურქები — არც ერთი, რუსები — 17, სულ — 38; მესამე კატეგორიის: ქართველები — 49, სომხები—10, თურქები—არც ერთი, რუსები— 8, სხვები —14.

ამრიგად, თუ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას მივიღებთ მხედველობაში, ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გაწმენდილ ქართველ თანამშრომლების რიცხვი აღემატება სხვათა რიცხვს. **რესპუბლიკანურმა კომისიამ თავის დროზე გაუგზავნა ადგილებს ინსტრუქცია, რომელშიაც გათვალისწინებულია, რომ გაწმენდილების ადგილას იმავე ეროვნების ხალხი უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან მრავალეროვნობის პირობებში ეს საკითხი სერიოზული ყურადღების ღირსია.** წინასწარი მასალების მიხედვით, შეიძლება გამოვარკვიოთ, სად და თანამდებობათა რომელმა ჯგუფმა მოგვცა გაწმენდის და მუშაობიდან მოხსნის მეტი პროცენტი.

ჩვენ ავიღეთ იმ თანამშრომელთა ძირითადი ჯგუფები, რომელთაც სასჯელი კატეგორიების მიხედვით მიიღეს და გამოგვივიდა შემდეგი:

ადმინისტრატიული და ხელმძღვანელი პერსონალი: 1-ლი კატეგორიით — 6, მე-2 კატ. —11, მე-3 კატ. — 22; სპეცები: 1-ლი კატ. —3, მე-2 კატ.—6. მე-3 კატ.—3; საოპერაციო და ტეხნიკური პერსონალი: 1-ლი კატ. —40, მე-2 კატ.—94, მე-3 კატ. — 42; სხვები: 1-ლი კატ. — 26, მე-2 კატ.—84, მე-3 კატ. —14.

სასჯელის უმეტესი ნაწილი მოდის **საშუალო ოპერატიულ - ტეხნიკურ პერსონალზე** და შემდეგ სხვა თანამშრომლებზე. ეს სავსებით გასაგებია. ამ კატეგორიის მოსამსახურეთა ხვედრითი წონა თანამშრომელთა საერთო რიცხვთან შედარებით ჩვეულებრივ აღემატება მოსამსახურეთა დანარჩენ კატეგორიებს და სწორედ ამიტომ ოპერატიულ-ტეხნიკური პერსონალი შეადგენს ძირითად მასას, სადაც ყველაზე უფრო ხშირია ბიუროკრატიზმი, თანამდებობრივი და სხვა დანაშაული, სხვადასხვაგვარი დამახინჯება, კანონების დარღვევა საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაში. აშკარაა, რომ ყველაზე ნაკლებ დაზარალდნენ სპეციალისტები, ვინაიდან მათდამი მოპყრობა უაღრესად ფრთხილი იყო.

ყურადღებას იქცევს გაწმენდილ დემობილიზაციაქმნილ უფროსშემადგენლობის პროცენტი სასჯელ მიღებულ მოსამსახურეთა საერთო რიცხვთან შედარებით. ასეთები სულ არის 52 კაცი, ესე იგი 14,5 პროცენტი.

ადგილები არ იჩენდნენ სათანადო სიფრთხილეს დემობილიზაციაქმნილთა გაწმენდის დროს. არის შემთხვევები, როდესაც შემმოწმებელ კომისიებს არ შეუთანხმებიათ სამხედრო უწყებასთან დემობილიზაციაქმნილ უფროსშემადგენლობის წმენდის საკითხი, და ეს მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკანური კომისიის მხრით ადგილებს კატეგორიული მითითებები ჰქონდა მიცემული ამის შესახებ.

რისთვის გასწმინდეს

რამდენად დროული იყო წმენდა და რამდენად გაამართლა მან ის ამოცანები, რომლებიც მასთან იყვნენ დაკავშირებული, ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ დათხოვის მოტივებისა და დათხოვნილთა რიცხვის მიხედვით. ქვემოთ მოგვყავს გარიცხვის ის მოტივები, რომლებიც ყველაზე უფრო დამახასიათებელი არიან:

1. ყოფილი პოლიციელები — 2 კაცი — 3,9 პროც.
2. ყოფილი ვაჭრები — 63 კაცი — 11,2 პროც.
3. სისხლის სამართლის დამნაშავეები — 34 კაცი — 6,0 პროც.
4. უცხო ელემენტი და უცხო ელემენტებთან კავშირი — 181 კაცი — 32,1 პროც.
5. სამსახ. მდგომარეობის პირადი მიზნით გამოყენება — 62 კაცი — 11,1 პროც.
6. ბოროტმოქმედება სამსახურში — 58 კაცი — 10,3 პროც.
7. სამეურნეო უთადარიგობა — 6 კაცი. — 1,1 პროც.
8. ბიუროკრატიზმი — 47 კაცი—8,3 პროც.
9. შრომის დისციპლინის დარღვევა — 24 კაცი — 4,3 პროც.
10. თვითკრიტიკის ჩახშობა — 7 კაცი — 1,2 პროც.
11. საადგილმამულო კანონების დარღვევა —4 კაცი — 0,7 პროც.
12. კვალიფიკაციის არ ქონა — 18 კაცი— 3,2 პროც.

ლოთობა, უწესობა — 37 კაცი — 6,6 პროც.

სულ 563 კაცი — 100 პროცენტი.

უმრავლესობისათვის გაწმენდის ძირითადი მოტივებს წარმოადგენენ: „ყოფილი ვაჭარი" და „უცხო ელემენტები". ეს მოტივები, უმთავრესად ეხება ოპერატიულ-ტეხნიკურ და სხვა არახელმძღვანელ პერსონალს. გაბრიყვება, უცხო ელემენტებთან კავშირი, სამსახურის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის, ბიუროკრატიზმი, და სხვა მნიშვნელოვან მოტივებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ისინი მაინც არ არიან საკმარისი, რაც თავიანთ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ყველა შემმოწმებელმა კომისიებმა.

უკანასკნელ ცხრილში მოყვანილ ციფრების დასადასტურებლად მოვიყვანთ ფაქტებს:

გორის ოლქში ერთ-ერთი დაწესებულების მდივანს უჯრაში და ლოგინში უპოვნეს საწრაფოდ შეუსრულებელი ქაღალდები.

ხკოის თემის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე უქრთამოდ და დაუპატიჟებლად გლეხებს არ იღებდა კოლმეურნეობაში, ემუქრებოდა მათ გადასახლებით და თავისი სამსახური შემოსავლის წყაროდ გადაიქცია.

საქართველოს ფინსახკომში უფროს ინსტრუქტორად იყო მოქ. მანსვეტაშვილი, ყოფილი გენერალი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თავის დროზე აჯანყებულ ჯარისკაცებს ჩამოხრჩობას უსჯიდა.

გორის მაზრაში წმენდამ გამოარკვია, რომ ზოგიერთი დაწესებულების, კერძოდ კოოპერატიული ორგანიზაციების თანამშრომელნი სათანადოდ არ იყვნენ დატვირთულნი. ეს მდგომარეობა ვერ შეამჩნიეს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის კვალიფიციურმა მუშაკებმა, რომლებიც არაერთხელ იკვლევდნენ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

თელავის წმენდამ გამოარკვია, რომ კერძო ვაჭრებს ჰქონდათ დავალიანება აღნიშნული დაწესებულების მიმართ. ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში ხელმძღვანელთა მიზეზით ადგილი ჰქონდა გაფლანგვას, მექრთამეობას, ყალბი საბუთების შედგენას და უცხო ელემენტებთან კავშირს. თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში სპეციალისტი აგრონომები დატვირთეს ტეხნიკური მუშაობით და ჩამოაშორეს ისინი ადგილებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს.

გამწმენდი კომისიები

წმენდის მიმდინარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა შემმოწმებელი კომისიების არასწორი შერჩევა. ზოგიერთ ადგილას შემმოწმებელ კომისიებში გამოუცდელ მუშაკებს ირჩევდნენ და იყო ისეთი შემთხვევები, რომ კომისიის ასეთი წევრები ექცეოდნენ შესამოწმებელი დაწესებულების ხელმძღვანელის გავლენის ქვეშ. ასე მოხდა, მაგალითად, ქუთაისის საოლქო საფინანსო განყოფილებაში, სადაც მოხსნეს ყველა ფინინსპექტორი (20 კაცი), მათ მიმართ ხელაღებით უნდობლობის გამოცხადების გამო. ეს წმენდა შემდეგ გაუქმებულ იქნა და რესპუბლიკანური კომისიის წინადადებით წმენდა განმეორებით დაინიშნა. განმეორებული წმენდის შედეგად მოხსნილ იქნა მხოლოდ 6 კაცი.

სწორედ ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ-ოსეთში; შემმოწმებელმა კომისიამ დაარღვია ინსტრუქცია და უარყოფითად მიუდგა შესამოწმებელთ. რესპუბლიკანურმა კომისიამ წმენდა იქაც გააუქმა.

ზოგიერთი კომისიები ლაპსუსებამდე მიდიოდნენ — ხსნიდნენ მუშაკებს ადგილობრივი ენის არ ცოდნისათვის (სამხრეთ ოსეთი). **მილიციაში მუშაობიდან მესამე კატეგორიით მოხსნეს მოქ. ალექსი მიქაია იმისათვის, რომ იგი „დაბალი ტანის" იყო (აფხაზეთი).**

წარსულისათვის სამუშაოდან მოხსნეს ყოფილი მღვდელი, რომელმაც დიდი ხნის წინად მიატოვა მღვდლობა.

საერთოდ ყველგან მოტივი „ყოფილი" ძალიან ხშირად არის მოხსენებული კომისიების მასალებში, კომისიები წარსულს უფრო სჩხრეკდენ იმის ნაცვლად, რომ ახლანდელი მუშაობის ხარისხი შეეფასებიათ. იმ მუშაკებს, რომელნიც რესპუბლიკანურმა კომისიამ უფლებებში და თანამდებობაზე აღადგინა, სამუშაოზე არ აბრუნებენ და დაუსრულებელი მიწერ-მოწერით გვიდგენენ მოსაზრებებს ამის შესახებ. ასეთი დამოკიდებულება ახანგრძლივებდა სამუშაოს იძულებულ გაცდენას და ადიდებდა სახელმწიფო სახსრების ხარჯვას. ასეთი შემთხვევები იყო აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და ზუგდიდში. ჩვენი მითითებისადმი ასეთი უმსგავსო დამოკიდებულების წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები.

სათანადო ზომების მიღების შემდეგ ადგილობრივი კომისიების მუშაობა შეეფარდება ჩვენს მოთხოვნებს.

მუშათა დაწინაურება

როგორც რესპუბლიკანურმა კომისიამ, ისე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა და პლენუმმა, საქ. მუშგლეხინის კოლეგიამ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი პარტიული და პროფესიონალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრეს მუშათა დაწინაურების საკითხებს, როგორც წმენდის ძირითად პრობლემას. თვით ახალი კადრების დაწინაურებული მუშების მომზადება დაევალა საქართველოს პროფსაბჭოს, ეს უკანასკნელი მის წინაშე დასახული ამოცანის შესრულებას შეუდგა გასული წლის აგვისტოდან.

იმ რესპუბლიკანურ დაწესებულებებთან, რომლებშიაც წმენდა პირველ რიგში უნდა ჩატარებულიყო, ხელისშემწყობ კომისიებთან ერთად სამუშაოდ გამოყოფილ იქნენ ბრიგადები, თვითეულ ასეთ ბრიგადაში საშუალოდ შედიოდა 40 კაცი. ფინსახკომთან, მიწსახკომთან, იუსტიციის და შრომის სახ. კომისარიატებთან, ქალაქის აღმასკომთან, აგრეთვე ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში დაარსდა კურსები ბრიგადებისათვის.

წმენდის დასაწყის პერიოდში შექმნილი ბრიგადები შეკრებილი იყო სხვადასხვა საწარმოებიდან, რაც აძნელებდა მათ ურთიერთ კავშირს და თავიანთი მუშაობის ერთმანეთისათვის გაზიარებას. ამას ისიც ემატებოდა, რომ ისინი უმთავრესად თეორეტიულ საკითხებს გამოუდგნენ, რაც აშკარად მიზანშეუწონელი იყო იმ მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა წმენდას, რის შემდეგაც ეს ბრიგადები იშლებოდნენ. რესპუბლიკანურმა კომისიამ საჭიროდ სცნო გაეგზავნა ბრიგადები დაწესებულებათა პრაქტიკული მუშაობის გასაცნობად და გამოსაკვლევად, კლასობრივი ხაზის დამახინჯებისა და აპარატის მუშაობასა და სტრუქტურაში არსებული დეფექტების გამოსამჟღავნებლად.

მოსკოვისა და სხვა სამრეწველო ცენტრების გამოცდილების საფუძველზე თბილისის მუშებიც მხურვალედ გამოეხმაურენ შეფობის იდეას.

შეფობა ცხადდებოდა თვით საწარმოების ინიციატივით, მაგრამ ხორციელდებოდა მუშგლეხინის ხელმძღვანელობით. იმ დაწესებულებებთან, რომლებზედაც გამოცხადებული იყო შეფობა, წმენდის პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მუშგლეხინის ბრიგადების მისაგრება.

გამოყოფილი ბრიგადები ხელისშემწყობ კომისიებთან ერთად აწარმოებდნენ მუშაობას აპარატის გამოსაკვლევად და შესასწავლად. იგივე ბრიგადები დასახულ იქნენ მუდმივ რეზერვებად აპარატში დასაწინაურებლად.

უსაფუძვლოთ მოხსნილთა აღდგენა

მოხსნილ მუშაკთაგან რესპუბლიკანურ კომისიაში განცხადება შეიტანა 119 კაცმა, აქედან 17 ქალია. ცენტრალური კომისია აპელაციებს დიდის სიფრთხილით არკვევდა და იხილავდა იმის გამო, რომ შემმოწმებელი კომისიებისა და მე-2 ინსტანციის დადგენილებანი ძალიან ხშირად ყოვლად უსაფუძვლო იყო. შემმოწმებელი კომისიების დადგენილებანი ძალაში დარჩა 51 გასაჩივრების დროს. ყოველგვარი სასჯელის გარეშე აღდგენილია 34 კაცი. დანარჩენი სასჯელები შეცვლილია სხვადასხვაგვარად.

აღდგენის მოტივები:

1. ინსტრუქციის დარღვევა — ხსნიდნენ მუშაკებს როგორც ყოფილ ადამიანთა შვილებს (ქალებს და კაცებს).
2. ბრალდების დაუსაბუთებლობა.
3. წმენდის შემდეგ გამორკვეული ახალი გარემოებანი, რომლებიც აბათილებენ წარდგენილ ბრალდებებს.
4. არმიის დემობილიზაციაქმნილ უფროსთა შემადგენლობის მოხსნის საკითხების შეუთანხმებლობა სათანადო ორგანოებთან.

მთელ ჩვენს მუშაობაში საფუძვლად ვიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს საბჭოთა აპარატში განსაკუთრებით ბლომად არიან კლასობრივად უცხო ელემენტები, რის მიზეზს წარმოადგენენ სხვადასხვა სპეციალური პირობები. აპარატის გამოკვლევამ, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ წმენდის წინ, ნათელჰყო, რომ სახ. კომისარიატთა დაწესებულებების ჯგუფში 47,5 პროცენტს წარმოადგენენ პრივილეგიურ წოდებებიდან გამოსული პირები (თავადები, აზნაურები, სასულიერო წოდების პირები, ვაჭრები და სხვ.).

ყველა იმ დაწესებულებათა მიხედვით, რომლებმაც წმენდა გაიარეს, შეუძლებელია ვსთქვათ, თუ რა გააკეთა წმენდამ დაწესებულებათა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მიწად-მოქმედებისა და ფინანსთა სახ. კომისარიატებში ჩატარებული წმენდის წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ გარკვეულ მიღწევებს ამ მხრით.

აპარატის რაციონალიზაცია

რაციონალიზატორულ წინადადებათა მხრივ ყველაზე დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა საბჭოთა საქართველოს მიწადმოქმედებისა და ფინანსთა სახ. კომისარიატების წმენდამ. ამ დაწესებულებათა, მეტადრე მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შესწავლამ გამოამჟღავნა სხვადასხვა ფრიად არსებითი დეფექტები. რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის წმენდის შედეგებს, მისი აპარატის რაციონალიზაციის მხრით, ამ დარგშიაც არსებობს მიღწევები.

საქართველოს ცენტრ. საკონტრ. კომისიამ და მუშგლეხინმა გაითვალისწინა რა ასეთი მუშაობის მიზანშეწონილობა დანარჩენ გასაწმენდ დაწესებულებათა მიმართაც, **უკვე გამოჰყო მსუბუქი კავალერიის წევრთა აქტივი და მიამაგრა ეს უკანასკნელნი ამ დაწესებულებებში, კერძოდ, განათლების სახ. კომისარიატზე, სოფლის კავშირზე, სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოზე და სხვ.** ეს მუშაკები ერთმანეთს უშუალოდ უკავშირებენ, ერთის მხრით მუშათა ბრიგადებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აპარატის წმენდაში, და, მეორეს მხრით, მუშგლეხინის ინსპექტორებს, რომლებიც იცნობენ რაციონალიზაციის საკითხებს.

ქუთაისის ოლქის ფინგანყოფილების წმენდას შედეგად მოჰყვა 14.890 მანეთის ეკონომია.

ოჩემკოოპში (აფხაზეთი) შტატები შემცირებულია 10 კაცით, ფინ. სახ. კომ.-ის რწმუნებულის სამმართველოში — 25 კაცით.

ზუგდიდის მაზრის ფინ. განყოფილების წმენდის შემდეგ შედარებით მცირე დროის, 1—3 თვის განმავლობაში აპარატმა შეაგროვა 89 000 მანეთი — მთელი დავალიანების 60 პროცენტი. საქართველოს ყველა რაიონებიდან ბევრ შემოწმებულ დაწესებულებაში ცნობები მოდის იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა წმენდამ სხვადასხვა მუშაკებისა და საერთოდ მთელი აპარატის შრომის უნარიანობაზე.

გავლენა კარგი გამოდგა. თანამშრომლები დროულად ცხადდებიან, საზოგადოებრივ მუშაობისადმი მიდრეკილება გაძლიერდა. საერთო დისციპლინა განმტკიცდა; მაგალითად, შრომის სახ. კომისარიატში 1929 წლის დეკემბრის განმავლობაში, ე. ი. წმენდის წინ, დაგვიანების შემთხვევა 94 იყო, არ გამოცხადებულა სამუშაოდ 12 კაცი. 1930 წლის იანვარში, ე. ი. წმენდის შემდეგ, დაიგვიანა 31 კაცმა, არ გამოცხადდა 3. თებერვალში დაიგვიანა 17 კაცმა, არ გამოცხადდა — 0. მარტში დაიგვიანა 11 კაცმა, არ გამოცხადდა — 1.

შეუნელებელი ყურადღება წმენდას

პარტიულმა, პროფესიონალურმა, კომკავშირელთა და ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოახდინონ თავის დამოკიდებულებაში წმენდისადმი, უნდა მოახდინონ მშრომელთა საზოგადოებრიობის მობილიზაცია წმენდის მიზნებისა და ამოცანების უფრო ფართო და ღრმა განმარტებისა და პოპულიარიზაციის გზით.

შემმოწმებელმა კომისიებმა, რესპუბლიკანური კომისიის იმ ინსტრუქციების მითითებათა და დირექტივების საფუძველზე, რომლებიც წმენდას შეეხებიან, ყველა ზომები უნდა მიიღონ გამოაშკარავებული შეცდომებისა და დეფექტების სწრაფად გამოსწორების მიზნით, მათ ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური თავის დასკვნათა და მითითებათა განხორციელებას და გადამწყვეტი ზედმოქმედება მოახდინონ უყურადღებობის ყველა ფაქტებზე, ვინც არ უნდა იჩენდეს ამას.

ა. რამიშვილი.

დაუსჯელად ფლანგავენ სახელმწიფო ქონებას

(გორდის თემი, ქუთ. ოლქი)

გორდის თემს საბჭოთა ხელისუფლებამ ლეჩხუმის სატყეოდან სკოლების ასაგებად მისცა უფასოდ 40,814 კუბ. ფუტი წიწვიანი ჯიშის ხე-ტყე. გორდის თემის ყოფ. აღმასკომის თავმჯდომარე **გრიგოლ უგულავამ** და ძმა-ბიჭებმა ხე-ტყის მასალის დამუშავება გადასცეს კულაკ იუსტინე ჩიხლაძეს. ჩიხლაძეს მისცეს ყალბი საბუთები, ვითომ ის საბჭოს წევრი ყოფილიყოს. სკოლის საჭიროებისათვის გაცემული ხე-ტყე გაიტანეს კერძო ბაზარზე და გაყიდეს. აღებული ფული გაფლანგეს აღმასკომის ყოფ. თავმჯდომარე უგულავამ და კომპანიამ. „ბებიების" დახმარებით სახელმწიფო ქონების გამფლანგველები მხოლოდ ექვსი თვით ისხდენ გამასწორებელ სახლში.

გაფლანგვის მთავარ „გმირმა" იუსტინე **ჩიხლაძემ** 1929 წლის პირველ ნახევარში უნებართვოდ გაჩეხა სვანეთის ტყეებში წიწვიანი ჯიშის ხეები და გამოიტანა 20.192 კუბ. ფუტი ხე. მას ოქმი შეუდგინა სატყეო ადმინისტრაციამ, მაგრამ აქაც პურმარილმა გასჭრა. ოქმი დღესაც სასამართლოს არ გადაეცემა.

გორდის თემის შვიდწლედის შენობა დაიწვა. მთავრობამ გაიღო დახმარების სახით ფული და ამასთან ერთად თემს მისცა 14,133 კუბ. ფუტი ხე-ტყე დამწვარ შენობის ასაგებად. ეს ხე-ტყეც გამფლანგველებს—იუსტინე ჩიხლაძეს და კომპანიას ჩაუვარდათ ხელში. ხე-ტყის დამამზადებელ მუშებს 3.000 მანეთი ხელფასი რამოდენიმე თვეა არ მიუღიათ. ხე-ტყე სკოლას არ მოხმარებია, არამედ იუსტინე ჩიხლაძემ და კიკალიშვილმა ბაზარზე გაიტანეს და გაყიდეს.

ჩვენ ვკითხულობთ, სანამ უნდა გაგრძელდეს სახელმწიფო ტყეების უმიზნოთ ჩეხვა? სანამ უნდა ფლანგავდენ კულაკი იუსტინე ჩიხლაძე და სხვები სახელმწიფო ქონებას?

კავალერისტი.

ასეთი მასწავლებლით შორს ვერ წავალთ

(საჩხერე, ქუთ. ოლქი)

გ. წ. სექტემბრიდან ს. ცხამის 4-წლედის გამგედ დაინიშნა ვლადიმერ ლურსმანიშვილი. მან მოწაფეთა შორის ფული მოაგროვა სახელმძღვანელოების შესაძენად. ლურსმანიშვილმა იყიდა წიგნების ნაწილი, ხოლო დანარჩენი ფული—37 მან. 83 კაპ. მიითვისა და მიიმალა. ამის შემდეგ საჩხერის რაიაღმასკომმა ის დააწინაურა და მასწავლებლად დანიშნა არგვეთის 7 წლედში, სადაც იგი დღეს პროფრწმუნებულადაც კი ითვლება. ლურსმანიშვილს ფიქრადაც არ მოსდის მოწაფეებს ფული დაუბრუნოს, რის გამო მათი უმრავლესობა უწიგნებოდ რჩება.

ლურსმანიშვილის შემდეგ ცხამის 4 წლედში დაინიშნა ლოთი და გაუსწორებელი ხულიგანი ივლიანე ტყემალაძე. მან მოწაფეებს დასცინცლა 11 მან. 17 კაპ., რომელიც შეგროვილი ჰქონდათ სხვადასხვა სასკოლო ინვენტარის შესაძენად. ამასთან სახელი გაითქვა სიმულიანტობით. დაიწყო ტყემალაძის „ავადმყოფობა", რომლის განმავლობაში სამსახურს ეძებდა ჭიათურის მრეწველობაში და კიდეც იშოვნა. სკოლა კი ორ თვეს გამცდარი იყო.

შეძლებს თუ არა ეს სკოლა წელს პროგრამის გავლას, რაკი ორი თვე გაცდა და წიგნების ფული კი მასწავლებელმა ჩასანსლა. რა თქმა უნდა, ვერ შესძლებს. შესძლებენ თუ არა ასეთი მასწავლებლები სწავლა-განათლების დარგში პარტიის და ხელისუფლების ამოცანების გატარებას? ცხადია, რომ არა. შესძლებს თუ არა საჩხერის რაიაღმასკომი პასუხს მოთხოვოს ასეთ ხალხს? ვნახოთ.

კრიტიკოსი.

პროფგანათლების მთავარმმართველობა სუსტად ხელმძღვანელობს

კადრების მომზადებას

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დღევანდელ პერიოდში, კადრების საკითხი სოფლად განსაკუთრებული სიმწვავით ისმება. სოფლად დღეს ჩვენ განვიცდით კოლმეურნეობებისათვის საჭირო მოანგარიშეების, სასოფლო-სამეურნეო იარაღის მცოდნეების, აგრონომების, ეკონომისტების და სხვათა დიდ ნაკლებობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს კადრებზე მეტად ბევრს ვლაპარაკობთ, მრავალ დადგენილებებს ვიღებთ, მაგრამ არსებით გარდატეხას ამ დარგში დღემდე მაინც ვერ მივაღწიეთ. ამის უმთავრეს მიზეზათ ჩვენის აზრით განათლების კომისარიატის პროფგანათლების მთავარ სამმართველოს სუსტი მუშაობა უნდა მივიჩნიოთ.

პროფგანათლების მთავარ მმართველობას სპეცტეხნიკუმებისა და დაბალ ტიპის პროფსკოლებისათვის დღემდე გარკვეული პროგრამების დამუშავება ვერ მოუხერხებია. რამოდენიმე წელიწადია არსებობს დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. (მათი რიცხვი საქართველოში 11-ს უდრის) და მათ დღემდე საკუთარი პროგრამები არ გააჩნიათ. მთელ რიგ ზოგად საგნებში სარგებლობენ 7 წლედის პროგრამებით, რომელიც მათთვის მოცულობით დიდია. სპეცსაგნებში ეს სკოლები სარგებლობენ აგროტეხნიკუმების პროგრამებით, რომელნიც მათთვის დაუძლეველია; თუ პროფგანათლებამ ვერ შესძლო ამ სკოლებისათვის საკუთარი პროგრამების შედგენა, რ.ს.ფ.ს.რ-ეს. არსებული პროგრამები მაინც გადმოეთარგმნათ—ეს არ იყო ძნელი საქმე. ადგილობრივი განათლების განყოფილებების მიერ არა ერთხელ იყო დასმული საკითხი ამის შესახებ, მაგრამ აქამდე არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

სკოლების შესანახად აურაცხელი თანხები იხარჯება, მაგრამ პროგრამების მოუგვარებლობის გამო სათანადო შედეგებს ვერ ვღებულობთ. არც აგროტეხნიკუმებია ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობაში. მათ ჯერ-ჯერობით შესაფერისი სასწავლო გეგმაც არ გააჩნიათ.

დღემდე არ არის გარკვეული სას.-სამეურნეო და პროფსკოლების ტიპი. არ არის გარკვეული რომელი მასაკის ბავშვები უნდა იქნენ მიღებული მათში, სად და რომელ სამუშაოზე უნდა იქნენ გამოყენებული კურსდამთავრებულები, შეუძლიან თუ არა კურსდამთავრებულებს გააგრძელონ სწავლა სხვა სკოლებში და სხვ.

პროფგანათლების მთავარი მმართველობა არ ზრუნავს ამ სკოლების მოწყობაზე. არც ერთ სკოლას არ გააჩნია სათანადო ხელსაწყოები მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის, ფიზიკა და ბუნებისმეტყველების შესწავლისათვის აუცილებელი ხელსაწყოები და რეაქტივები, იარაღ-მანქანები და ცოცხალი ინვენტარი. პროფგანათლების მმართველობას არავითარი საგულისხმო რამ ამ მხრივ არ გაუკეთებია.

სპეცტეხნიკუმებში დაბალი ტიპის სას.-სამეურნეო და პროფსკოლებში პრაქტიკუმის საკითხი, რომელსაც კადრების მომზადებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მოუგვარებელია. თუმცა პრაქტიკული მუშაობისათვის საათები პროგრამებში გათვალისწინებულია, მაგრამ მათი გამოყენება არაა მოწესრიგებული. გათვალისწინებული საათებისათვის მასწავლებლები ხელფასს იღებენ, საათები მხოლოდ 50 პროცენტითაა დატვირთული — მუშაობა სწარმოებს პრიმიტიული იარაღებით.

სპეცტეხნიკუმებისათვის სათანადო კადრების შერჩევას პროფგანათლების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა. სწავლა-აღზრდის საქმე ამ სკოლებში ნაკლებ საიმედო ხალხის ხელშია. სპეცტეხნიკუმები ამზადებენ არა მხოლოდ კარჩაკეტილ, ვიწრო სპეციალისტებს, არამედ საზოგადო მუშაკებსაც. სპეციალური და საზოგადოებრივი ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდების მომზადება შეუძლია ხელმძღვანელთა (მასწავლებლების) ყოველმხრივ საიმედო კადრს. ხშირია შემთხვევები, (მე ვამბობ განსაკუთრებით სენაკის მაზრის მიხედვით), როდესაც ხელისუფლების მიერ გამომუშავებულ ღონისძიებებს ტეხნიკუმების მუშაობის გაჯანსაღებას პროფგანათლების მთავარმმართველობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სენაკის მაზრაში არსებობს ორი ტეხნიკუმი: პედტეხნიკუმი (7 კურსით) და აგროტეხნიკუმი სამი განყოფილებით (მესაქონლეობის, კოლმეურნეობის და სუბტროპიკული). ამ ტეხნიკუმებში არც ერთი კომუნისტი პედაგოგი არ არის, რის გამო საზოგადოებრივი მუშაობა და საზოგადოებათ-მეცნიერების სწავლება განსაკუთრებით მეტად დაბალ დონეზე დგას. სენაკის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით აგროტეხნიკუმის გამგის მოადგილეთ წამოყენებულ იქნა ყოველმხრივ მისაღები კანდიდატი, მაგრამ პროფგანათლების მთავარმა მმართველობამ არ დაამტკიცა ხსენებული კანდიდატურა და დახმარების ნაცვლად ხელის შეშლა მოინდომა.

ყოველივე ამის გამო ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ პროფგანათლების მთავარმმართველობის მუშაობა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში სუსტია. ისეთ მომენტში, როდესაც ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა დიდათ არის დამოკიდებული სათანადოთ მომზადებულ კადრებზე, პროფგანათლებამ ვერ შესძლო თავისი მუშაობის გარდაქმნა, მან ვერ შესცვალა თავისი მუშაობის მეტად ნელი ტემპი და დღემდე ვერ მიიღო სათანადო ზომები უმაღლეს პარტიულ ორგანოების ცხოვრებაში გასატარებლად კადრების მომზადების დაჩქარების მიზნით.

ი. მონიავა.

„ქმა-ბიჭების" დამხმარე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს გადახალისების შემდეგ პროფკომში მაინც დარჩენ ისეთები, რომლებიც ეწევიან „ძმა-ბიჭობას" და უშვებენ პოლიტიკურ შეცდომებს. მაგ., სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის საბჭოთა - სავაჭრო პროფკომის თავმჯდომარე მიშა პირველი არის ძმაბიჭების მოყვარული კაცი, იგი სწერს აბრეშუმის საინსტრუქტორო კურსების გამგეს: „სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა-სავაჭრო პროფკომი შუამდგომლობს თქვენთან, რათა ჩვენი კავშირის წევრი თედორე ლორთქიფანიძე და ვარ. ლორთქიფანიძე ჩარიცხულ იქნას თქვენდამი რწმუნებულ კურსებზე მსმენელებად. აღნიშნული პირები ნამუშევარი არიან ქუთაისში 2 სეზონის განმავლობაში". ხელს აწერენ მ. პირველი და ბუბაშვილი. შემდეგ, პირველ, თებერვალს 1930 წ. იმავე თედორე ლორთქიფანიძეს მ. პირველი აძლევს ასეთ დახასიათებას კავშირ-გამგეობის სამმართველოში ამხ. უჩანეიშვილის წინაშე: „თანახმად თქვენი მომართვისა, თქვენს მიერ ეკონომისტის თანამდებობაზე გამოგზავნილ თედორე სილოვანის ძე ლორთქიფანიძის შესახებ გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნული ლორთქიფანიძე თქვენთან გამოგზავნისას შერჩეულია სათანადო ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც სცნეს მისაღებ ელემენტად და გამოგზავნეს თქვენთან სამუშაოდ". ხელს აწერენ: სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა - სავაჭრო პროფკომის თავმჯდომარე — მ. პირველი. მდივანი ქ. ჯავახიძე.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჯერ ერთი, რომ ვარ. ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის სტუდენტი არ არის, მეორე — თ. ლორთქიფანიძის დახასიათების შესახებ არავითარ ორგანიზაციაში საკითხი არ ყოფილა დასმული.

შემდეგ: მ. პირველი შუამდგომლობს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე: „ტ. ს. უ. საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა პროფკომი გთხოვთ ჩვენი კავშირის წევრის ამხ. ვ. მოსეშვილის მეუღლე მარიამს და სიდედრს თედოსია გრაჩოვას აღმოუჩინოთ საექიმო დახმარება". რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს პროფკომს ასეთ საქმეებთან? მ. პირველი შუამდგომლობს არა მარტო სხვებისათვის, არამედ თავის თავისთვისაც: ის აწერიებს მდივან ბუბაშვილს სარეწკოოპ. კავშირის სახელზე შემდეგს: „გთხოვთ მისცეთ ჩვენს თანამშრომელს ამხ. პირველს გირვანქა ნახევარი ზეთი თავის ოჯახის საჭიროებისათვის". განა დასაშვებია ასეთი მოქმედება! მ. პირველი თურმე პროფკომში ამუშავებდა პოლიტიკურად მიუღებელ ხუბი გაბუნიას. მისთვის მიუცია ხელფასის სახით ერთჯერ 5 მანეთი, მეორეთ 4 მანეთი. უნივერსიტეტში არსებულ არც ერთ პროფკომს არ დაუქირავებია კაცი, გარდა ეკფაკულტეტის პროფკომისა და ისიც ისეთი, რომელიც ეკუთვნის არასაიმედო პირთა რიცხვს. ვინ არის გაბუნია? ის არის პოლკოვნიკის შვილი, აქვს ქუთაისში საკუთარი სახლი გაქირავებული და, რაც მთავარია, ის 1929 წელს მოხსნილ იქნა კლუბის მოლარეობიდან როგორც არასაიმედო ელემენტი. იცის ეს თუ არა პირველმა? ეს მან ძალიან კარგად იცის. მიუხედავად ამისა, გაბუნია მას შეყავს კონტრაქტაციაზე აყვანილთა სიაში და ამბობს: მე ვიცნობ მას, ის საიმედოა, სახლიც არა აქვს ქუთაისში გაქირავებული და არც პოლკოვნიკის შვილიაო.

ასეთი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ პირველზე. ასეთი საქციელი მას მარტო უნივერსიტეტში არ ახასიათებს, არამედ 9 წლედიდან მოსდევს. ეს სჩანს ქუთაისის მეორე ცხრაწლედთან არსებულ კომკავშირის უჯრედის 17 მაისის დადგენილებიდან (ოქმი № 12). კრებამ დაადგინა: მიშა პირველი, როგორც სასკოლო დისციპლინის დამრღვევი, პროტექციონერი და უჯრედის ავტორიტეტის დამცემი უპარტიო მასაში, გამორიცხულ იქნას ბიუროს წევრობიდან, მიეცეს სასტიკი გაფრთხილება და ხმის უფლება დაეკარგოს ოთხი თვის ვადით კომკავშირში. როგორც აღნიშნული ოქმი ამტკიცებს, პირველს თავიდან დაყოლია ასეთი ავადმყოფობა და გადმოიტანა უნივერსიტეტშიც. ეპატიება თუ არა პარტიის წევრს ასეთი მოქმედება? რა თქმა უნდა, არა.

სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის პარტბიურომ ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ი. კვირიკაძე.

უწესრიგობა თბ. საქონლის სადგურში

სპეციალურმა კომისიამ, მუშგლეხინის, საგზაო სატრანსპორტო სახპოლიტსამმართველოს, ა.-კ. ავტოტრანსპორტის საქ. საზოგადოების და ა.-კ. რკინის გზის მოძრაობის დარგის წარმომადგენლების შემადგენლობით თბილისის საქონლის სადგურში ჩაატარა ტვირთების გამოსყიდვის წესის გამოკვლევა. გზის ადმინისტრაცია ხშირად სჩიოდა, რომ კლიენტებს თავის დროზე არ გამოაქვთ ტვირთები, რაც იწვევს საწყობების გადატვირთვას და აფერხებს გზის მუშაობას. კომისიამ კი, ამ მოვლენასთან ერთად, გამოაშკარავა, რომ სადგურის განტვირთვას უმთავრესად აძნელებს სადგურის კანტორაში არსებული ტვირთების გამოსყიდვის წესი.

გამოკვლევის დღეს კომისია სადგურში წააწყდა 164 ტონა გამოუსყიდავ ტვირთს. იგი ეკუთვნოდა 20 სხვადასხვა ორგანიზაციას, უმეტესად — ს.მ.უ.ს. ქვემდებარე უწყებებს. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ საწყობები საკმარისად არ არიან დატვირთულნი.

კომისია წააწყდა არა ერთსა და ორ დეფექტს თვით სადგურის მუშაობაში. მაგალითად, სადგურში მიღებულ ტვირთების სარეგისტრაციო ნუსხა იკიდება მხოლოდ ერთ (№ 4) სალაროსთან. იქ იყრიან თავს ყველა კლიენტები და სალაროს მუშაობა ამით ფერხდება, ამავე დროს კი დანარჩენი სალაროები უსაქმოდ რჩებიან.

მიუხედავათ მრავალი დადგენილებისა, სადგურში აქამდე მოუწყობელია ცნობათა ბიურო, და კლიენტურამ არ იცის—თუ ვისგან უნდა მიიღოს საჭირო ცნობები. სარკინიგზო საბუთების გაფორმება და მათი გადაცემა საბარგო მოლარეებისათვის სწარმოებს 2 და სამი დღის დაგვიანებით.

საქონლის აღმოჩენილობის დროს კლიენტურა სადგურის მუშაკებისაგან მოითხოვს ამის საბუთებში აღნიშვნას (რაც კანონიერია), მაგრამ ამაზე მათ უარს ეუბნებიან.

კომისიამ გამოარკვია აგრეთვე სადგურის მოლარეების პირდაპირ კრიმინალური დანაშაული; ისინი ხშირად კლიენტებს აძლევენ არა სწორ ცნობებს იმის შესახებ, რომ მათი საქონელი მიუღებელია, და ამავე დროს კი ახდევინებენ ფულს ტვირთების დაგვიანებით გამოსყიდვისათვის.

სადგურის მუშაობაში არ არის დაცული აუცილებელი სიზუსტე. მაგ. შემჩნეულია, რომ მიღებულ ტვირთებისაგან ვაგონები არ იტვირთება მთელი სამი დღის განმავლობაში და მათ არ აძლევენ პატრონებს.

მიუხედავათ იმისა, რომ კლიენტები ყოველივე ამ უწესრიგობის ცოცხალი მოწმენი არიან, მათ ერთხელაც არ შეუტანიათ შენიშვნები საჩივართა წიგნში. უკანასკნელის გასინჯვამ გამოარკვია, რომ იქ 1924 წლიდან არც ერთი შენიშვნა არ არის შეტანილი. ეს ადვილად გასაგებია: საჩივართა წიგნი ინახებოდა სადგურის კანტორის გამგესთან და მისი ხელში ჩაგდება ძნელი იყო.

კომისიამ გამოკვლევის შედეგების მიხედვით შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც მიმართული არიან სადგურის მუშაობის მოწესრიგებისაკენ.

გზის გამგეობა კი თავის მხრივ ღებულობს ზომებს სადგურის მუშაობაში შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

გამოძახილი წერილებზე

ბრალდებები არ დადასტურდა

„კომუნისტი"-ს № 121-ში (1929 წ. 30-V) მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ექიმი თუ ჩარჩი" ზუგდიდელი მეხის ფსევდონიმით, ავტორს გამოყავდა ექ. ი. ლაგვილავა ჩარჩად. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ წერილის შინაარსი არ შეესაბამება სინამდვილეს. ლაგვილავა, პირიქით, საზოგადო მოღვაწე ექიმია და უანგარო მუშაკი, ღარიბ გლეხობას უწევს არა მარტო საექიმო, არამედ მატერიალურ დახმარებასაც.

ა. წ. 3 აპრილს, გაზ. „კომუნისტი"-ს № 75 მოთავსებული იყო წერილი სათაურით—„კულაკის ადვოკატი" წერილი შეეხებოდა ჭიჭიკო ლასხიშვილს. აღნიშნულ საკითხის ირგვლივ ადგილობრივ მოხდენილ იქნა კვლევა-ძიება და ლასხიშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა.

მუშგლეხინის რწმუნებული ქუთაისის ოლქში.

განმარტება

გაზ. „კომუნისტი"-ს 83 №-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია მე-7 სკოლის მასწავლებელ შურღაიას უმსგავსო მოქმედებათა შესახებ. გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე, თბილისის რკინის გზის მე-8 სკოლის მასწავლებელ ნესტორ შურღაიას არაფერი მაქვს საერთო ხსენებულ შურღაიასთან.

ნესტორ შურღაია.

ქრონიკა

თათბირი 7 საათიან სამუშაო დღის შემოღების შედეგების შესახებ

10 მაისს შრომის სახ. კომისარიატში მოწვეულია 7 საათიან სამუშაო დღეზე გადასულ წარმოებების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც განიხილავს 7 საათიან სამუშაო დღის შემოღების შედეგებს.

საბავშვო სანატორიუმი

16 ივნისს პატარა ცემში გაიხსნება საბავშვო სანატორიუმი, სადაც მიიღებენ სუსტ ფილტვებიან ბავშვებს. მსურველებმა უნდა მიმართონ საკურორტო სამმართველოს.

შეღავათიანი ბილეთები ექსკურსანტებს

ექსკურსანტებისა და ტურისტებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, გზათა სახ. კომისარიატმა ამიერ-კავკასიისათვის გამოჰყო—21.000 შეღავათიანი ბილეთები. აქედან 9.110 ბილეთი დაეთმო საქართველოს, 9.100 აზერბეიჯანს და 2.800 სომხეთს.

თივის მომარაგება

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თივის მოსამარაგებლად ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭომ ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატს დაავალა მოიწვიოს სათანადო ორგანოების თათბირი, რომელიც შეიმუშავებს 1930-31 წლისათვის თივის მომარაგების გეგმას.

ახალი კადრები ვაჭრობისათვის

გასულ აპრილის დამლევს თბილისის ეკონომიური ტეხნიკუმის საქონლის მცოდნეობის განყოფილება დაამთავრა 17 კაცმა, რომელთაც ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო გაანაწილებს მოვაჭრე ორგანიზაციათა შორის.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ხვალ, 9 მაისს, საღამოს 7 ს. უნივერსიტეტის მთავარ შენობაში გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტი ექ. ლ. ელიაშვილი საჯაროდ დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე: „საკვერცხეები საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ (ექსპ.-გორფ. გამოკვლ.). ოფიციალურ ოპონენტებათ მოწვეულია: პროფ. გ. ღამბარაშვილი, პროფ. ივ. თიკანაძე და პროფ. ვლ. ჟღენტი.

მეაბრეშუმეობის კურსები

თბილისში გაიხსნა მეაბრეშუმეობის კურსები, რომელზედაც ირიცხება მაზრებიდან გამოგზავნილი 42 მსმენელი.

თბილისის ალმასკომში

◆ თბილისის ოლქის რუკის შესადგენად და გამოსაცემად ალმასკომმა გადასდო — 7.610 მანეთი.

◆ ქუჩების კეთილმოწყობის საქმის შესასწავლად კომუნალურმა განყოფილებამ მოსკოვში მიავლინა 2 მუშა.

◆ არსებულ ბაღების აღსადგენად და ახალი ბაღების გასაშენებლად თბილისის ალმასკომმა გადასდო 43.000 მ.

სხვადასხვა

◆ **დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში ამხ. პ. შარია** წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „ლენინის ახალი ფილოსოფიური კრებული და მისი მნიშვნელობა".

◆ **დღეს, საღ. 6 ს., თბ. ს. უ. პოლიტ-ეკონომიის კაბინეტში** შესდგება ეკონომიურ - სამეცნიერო წრის საჯარო სხდომა, სადაც მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ი. ბრეგაძე შემდეგ თემაზე: „პოლიტ-ეკონომიის მეთოდი".

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **საკონცერტო საღამო პენსიონერთათვის**, რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, 8 მაისს, გადადებულია და შესდგება 14 მაისს.

◆ **„ბორის გოდუნოვი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ბორის გოდუნოვი".

◆ **„ზვავი".** რუსთაველის თეატრში მორიგ პრემიერად წავა ა. ქუთათელის პიესა: „ზვავი".

◆ **ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავი დიდი საღამო** გაიმართება დღეს, საღამოს 8 საათზე, ლენრაიონის განათლების მუშაკთა სახლში, (პლეხანოვის პრ. № 136). დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი. განათლების მუშაკთათვის შესვლა უფასოა.

სამზადისი მუშათა თეატრის მომავალი სეზონისათვის

1929-30 წლის სეზონში თბილისის მუშათა თეატრში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს, რის გამო თეატრმა ვერ გაამართლა მასზე დაკისრებული ამოცანები.

თეატრზე სუსტი ხელმძღვანელობისა და სეზონისათვის სამზადისო მუშაობის გვიან დაწყების გამო, დასი და რეპერტუარი შედგენილ იქნა არა დამაკმაყოფილებლად. წარმოდგენები გარდა იმისა, რომ უმთავრესად მიუღებელი იყო მუშა მაყურებლებისათვის, მხატვრულადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

მომავალ სეზონში ყველა ამ დეფექტების თავიდან აცილების მიზნით, შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირმა განიხილა და შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები მომავალი სეზონისათვის ამთავითვე მოსამზადებელი მუშაობის დაწყების შესახებ.

თათბირის დადგენილებით თეატრი იარსებებს თბილისის ალმასკომის დახმარებით და პროფსაბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით.

თეატრთან დაარსდება სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო, რომელიც უმთავრესად ყურადღებას მიაქცევს რეპერტუარის გაჯანსაღების საქმეს.

ალმასკომი თეატრის საჭიროებისათვის დახარჯავს 100.000 მანეთს. პროფსაბჭოს ეკისრება შეიმუშაოს წინასწარი ღონისძიებები, რათა თეატრი ემსახურებოდეს მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასების კულტურულ მოთხოვნილებებს.

თეატრი 7 დღეში 3-ჯერ წარმოდგენებს გამართავს გარეუბნებში.

თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოწვეულია გრიპიჩი.

ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა

დამთავრდება 1931 წლის დასასრულს

(თბილისის საბჭოს პლენუმი)

თბილისის საბჭოს პლენუმზე ნატახტარის წყალსადენის მშენებლობაზე წარმოებულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟ. **დიასამიძემ.**

მომხსენებელი პირველ რიგში შეეხო ჯანმრთელობისათვის სალი წყლის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ნატახტარის წყაროები ამ მხრივ საუკეთესო თვისებისაა მთელ საბჭოთა კავშირში არსებულ წყალსადენებთან შედარებით.

ნატახტარის წყალსადენის აგებათ წარმოებული მთავარი სამუშაოები თითქმის დამთავრებულია. მშენებლობაში გასულ წელს დაშვებული ტეხნიკური დეფექტები უკვე გამოსწორებულია და წელს მუშაობა სწარმოებს გეგმის სრული დაცვით.

ამოთხრილია 24 ჭაბურღილი. ამჟამად ეწყობა წყაროების ყველა ჭაბურღილის მილები.

საზღვარგარეთ შეკვეთილია ავტომატიური სიფონი, ფილტრი და წყლის ცენტრალური განმაწესრიგებელი აპარატი.

წყალსადენი ისე იქნება აგებული, რომ წყალის მთელი რაოდენობის 70 პროცენტი ქალაქს მიეწოდება თავისივე მდინარებით, ხოლო 30 პროცენტი საქაჩავების საშუალებით.

წყლის სამდინარო ბეტონის მილები უკვე გაყვანილია 26 კილომეტრის მანძილზე, რომელიც წელს გაგრძელებული იქნება ზაჰესამდე. დამთავრებულია აგრეთვე ნახევარ კილომეტრიანი პირველი გვირაბის გაყვანა. მეორე გვირაბის გაყვანა არაგვის მარცხენა ნაპირის გასწვრივ წელსვე დამთავრდება. ამ გვირაბს სიგრძე ექნება ორი კილომეტრი.

მომავალ წელს მოეწყობა საქაჩავი, რომლის საშუალებით წყალს მიაწვდით კოჯორს და ფუნიკულიორს.

გარდა ამისა ნატახტარის წყალსადენი წყალს მიაწვდის ქალაქის ახლო-მახლო მდებარე 23 სოფელს. ნატახტარის წყალსადენის მოწყობა სავსებით დამთავრდება და ქალაქს სალი წყალი ექნება 1931 წლის ბოლო რიცხვებში.

წყალსადენის აგებასთან ერთად პარალელურად სწარმოებს ქალაქში წყალსადენის ახალი ქსელის გაყვანა.

წყალსადენი ეწყობა ისე, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს მისი გაფართოება, რადგან წყალის დებეტი დიდია და დღე-ღამეში აღემატება 30.000.000 ვედროს.

პირველად წყალსადენის აგება დაჯდება 9.500.000 მანეთი, ხოლო მისი გაფართოების შემთხვევაში საჭირო იქნება კიდევ 4.500.000 მანეთი, ასე რომ გაფართოებასთან ერთად ნატახტარის წყალსადენის აგება სულ დაჯდება 14.000.000 მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წყალსადენის აგებას ასეთი დიდი თანხა სჭირდება, წყალი ეღირება ორჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე ეხლა ღირს. მაგალითად, მუშა-მოსამსახურეები თუ ეხლა ვედროზე იხდიან მეოთხედ კაპეიკს, მაშინ გადაიხდიან მერვედ კაპეიკს.

თვითეულ სულზე საშუალოდ ნავარაუდევია 12 ვედრო წყალი, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას და ხელს შეუწყობს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ნატახტარის წყაროების საგენი ნიადაგი მეტად საიმედოა. არავითარი საშიშროება არაა, რომ წყაროების დებეტი შემცირდება, ან მიწისძვრის დროს წყაროები მიმართულებას შეიცვლიან.

წყალსადენის მთავარ ნაგებობის გარდა ეწყობა დამხმარე შენობები, მუშათა საცხოვრებელი ბინები და სხ.

პლენუმმა ნატახტარის წყალსადენის ასაგებად წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

კურორტების მომარაგება სურსათ-სანოვაგით

საქ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, საქართველოს კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ტბა, ახალდაბა, ბაკურიანი, სურამი, ახტალა, წყალტუბო, შაშოვი, უწერა, ბახმარო, ლებარდე, ნოქალაქევი, ქობულეთი, მანგლისი, კოჯორი, კიკეთი, ალბულაღი, გომბორი, წყნეთი, ქვიშხეთი, თელავი, ფასანაური, საგარეჯო, წითელქალაქი, ბათომის მიდამოები, კურსები, ორპირი და მჟავე წყლის ხევი,—წელს სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან სურსათ-სანოვაგით. არსული წლების ცნობების მიხედვით, ამ კურორტებზე სეზონის განმავლობაში ყოველთვიურად იმყოფება 58-60 ათასი მოაგარაკე. მოაგარაკეთა გასული წლის რაოდენობა საფუძვლად ედება კურორტების მომარაგების გეგმას. ამ რიცხვში არ შედის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი მოაგარაკენი, რომელთა რაოდენობაც ნაანგარიშევია თვიურად 9 ათასი კაცის რაოდენობით. საკურორტო ადგილების გეგმიანი მომარაგებისათვის აღებულია შემდეგი პროდუქტები: პური, შაქარი, ჩაი, ხორცი, კვერცხი, ბრინჯი, ერბო-კარაქი, ყველი, საჭმელი ზეთი, კართოფილი, ხახვი, კომბოსტო, ბურღული, საპონი, მაკარონი, კარტოფილის ფქვილი და სხვ. სეზონის განმავლობაში მოაგარაკეებს მიეცემათ სურსათ-სანოვაგის შემდეგი ნორმები: პური მუშებს 800 გრამი, მუშების ოჯახებს და დანარჩენ მშრომელებს—400 გრამი; შაქარი მუშებს—800 გრამი, მუშების ოჯახებს და დანარჩენ მშრომელთ—600 გრამი. ჩაი თვეში სულზე 16 გრამი, ხორცი დღეში 100 გრამი (ხორცის გაცემა იწარმოებს თვეში 21 დღე), კვერცხი სულზე თვეში 10 ცალი, ბრინჯი—300 გრამი, ერბო-კარაქი—300 გრამი, ყველი 600 გრამი, საჭმელი ზეთი 200 გრამი, კარტოფილი—5 კილო, ხახვი ერთი კილო, კომბოსტო 1 კილო, ბურღული 1 კილო, საპონი — 100 გრამი, მაკარონი—1 კილო, კარტოფილის ფქვილი—100 გრამი. კურორტებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება დავალებული აქვს ცეკავშირს.

ავიაქიმში

ავიაქიმის ორგანიზაციები ტრანსპორტზე

საქ. ავიაქიმი შეუდგა თავისი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას წყლისა და რკინის გზის ტრანსპორტზე. ამ დღეებში ბათომში შესდგა კონფერენცია, რომელზედაც არჩეულ იქნა სატრანსპორტო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ავიაქიმის წყლის ტრანსპორტის უჯრედებს ბათომში, ფოთში, სოხუმში და გაგრაში. კონფერენციამ აგრეთვე გამოიმუშავა უჯრედების მუშაობის გეგმა.

რკინის გზის ხაზი დაყოფილია ორ უბნად. პირველ უბანში შედის ხაზი ხაშურიდან ბათომამდე და ფოთის შტო. ამ უბნის სატრანსპორტო საბჭო მოთავსებულია სამტრედიაში. მეორე უბანში შედის ხაზი ხაშურიდან თბილისამდე და კახეთის შტო. ამ უბანში შევა აგრეთვე ბაქოს ხაზიც განჯამდე. ამ უბნის საბჭო მოთავსებულ იქნება თბილისში. წინასწარი სამზადისი რკინის გზის სატრანსპორტო საბჭოების ასარჩევად და მუშაობის გეგმის შესადგენად დამთავრებულია. 10 მაისს მოწვეულია სატრანსპორტო კონფერენციები, სადაც არჩეული იქნება სამტრედიის და თბილისის უბნების საბჭოები.

ტირების მოწყობა

6 მაისს თბილისში (რუსთაველის პროსპ. № 40) გაიხსნა დიდი საცდელ-საჩვენებელი სასწავლო ტირი. ეს ტირი გამოყენებული იქნება სროლის საქმის შესასწავლად. მოკლე ხანში ავიაქიმი გახსნის ტირს, სადაც სროლა იწარმოებს საომარი ვაზნებით. ტირი მოთავსებული იქნება ლენინის სახელობის სტადიონთან.

განზრახულია საცდელ-საჩვენებელი და სამოყვარულო ტირების მოწყობა პროვინციის ქალაქებში, პირველ რიგში ბათომში, ფოთში, ქუთაისში და გორში.

თბილისის ტრამვაის რელსების დაგება შპალებზე

სასამართლო

ღირსეული სასჯელი გამფლანგველს

ჩვენი მკითხველები იცნობენ **ნიკოლოზ გორსევანის ძე გიკაშვილს.**

ეს ის ვაჟბატონი გახლავთ, რომელმაც თავის საკუთარ სავაჭრო დუქნად გახადა მუშკოოპის თევზეულობის საწყობი. გიკაშვილი, როგორც ვსწერდით, „განაგებდა" მუშკოოპის თევზეულობის მეათე საწყობს 1928 წლის თებერვლიდან გასული წლის ივნისამდე.

გიკაშვილს ევალებოდა მოთხოვნილების თანახმად მუშკოოპის სავაჭროებისათვის თევზის მიწოდება. რასაკვირველია, მას ისიც ევალებოდა, რომ ანგარიშები თავის დროზე გაესწორებია და ყოველთვიურად მუშკოოპის გამგეობის სალაროში წარედგინა, როგორც თანხა, ისე საბუთები. მაგრამ გიკაშვილს ამისათვის არ ეცალა. მას გახურებული აღებ-მიცემობა ჰქონდა კერძო ვაჭრებთან. საუკეთესო თევზეულს აწვდიდა მათ, რადგან კერძო ვაჭრები მეტ სარგებს აძლევდნენ ფართო ცხოვრებას შეჩვეულ გიკაშვილს.

ფართო ცხოვრება გიკაშვილმა სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც მუშკოოპის საწყობს დაეუფლა. მისი გამგედ გახდომა მის ძაღლებსაც მოუხდა, რადგან გიკაშვილი როგორც მოწმეები ლაპარაკობენ, ძაღლებსაც მუშკოოპის თევზეულით უმასპინძლდებოდა.

გიკაშვილს ას-ას ფუთობით მიჰქონდა საწყობიდან თევზი თითქოს ოჯახის საჭიროებისათვის (?), ნამდვილად კი კერძო ბაზარზე გაჰქონდა და ჰყიდდა გადიდებულ ფასებში.

ეს კიდევ არაფერი. გაწუწკებული გიკაშვილი მიადგა სალაროსაც. მიჰქონდა და მიჰქონდა „სახარჯო". ამ გზით გასული წლის ივნისამდე გაანიავა 7.300 მანეთი.

გიკაშვილი გაასამართლა მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. **მესხის** თავმჯდომარეობით.

ბოროტ გამფლანგველს სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლებების აყრა 3 წლის ვადით. მსჯავრდადებულს დაეკისრა გაფლანგული თანხის ანაზღაურება.

ვერ.

შემთხვევები

თავდასხმა

გუშინწინ ღამით ხოჯევანქის სასაფლაოზე კონსტანტინე აგამალოვს თავს დაესხა 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სასიკვდილოთ დასჭრეს. თავდამსხმელები მიიმალენ.

მარცხი

6 მაისს ტრამვაის ვაგონი № 5 წყნეთის ქუჩაზე ასცდა ლიანდაგს, რის დროსაც ვაგონიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა 3 მგზავრი.

ქურდობა

კამოს სახ. საქარხნო-საფაბრიკო სკოლიდან მოიპარეს 280 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ალექ. მარდანოვის რკინეულობის სახელოსნო (საბჭოს ქ. № 40).

ხულიგნების შეპყრობა

მილიციამ ხულიგნობისათვის შეიპყრო პავლე მაჩნევი და პეტრე ალექსის ძე ბოგდანოვი.

ნაქურდალი ნივთები

მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი რედიკული ფულით. პატრონმა უნდა მიმართოს ს.ს. მილიციაში ოთახი № 7 ამხ. თოფურიძეს.

რკინის გზებზე

დაუდევრობის შედეგი

იანვარში სადგ. ბალაჯარაში აფეთქდა ორი ცისტერნა. აფეთქების დროს დაშავდა მატარებლების შემდგენელი მუშა ამხ. კრიკუნოვი.

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ განიხილა ეს შემთხვევა და გამოიკვლია აფეთქების მიზეზები.

როგორც გამოირკვა, მუშა კრიკუნოვი შესულიყო ერთ-ერთ ცისტერნაზე ნავთის სანათურით ხელში. მას უნდოდა გაესინჯა, — იყო ქვაბში დარჩენილი ნავთი თუ არა და ამისათვის შიგ ჩაუშვა ანთებული სანათური.

ქვაბში წინათ ბენზინი ყოფილიყო ჩასხმული და იქ დარჩენილმა ბენზინის ნარჩენის და ჰაერის ცეცხლთან შეხებამ გამოიწვია აფეთქება.

აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე იყო დასმული საკითხი გზის ადმინისტრაციის წინაშე, რომ ცისტერნების გასინჯვისათვის საჭიროა ხელში დასაკავებელ ელექტრონის სანათურების შეძენა. მაგრამ ამას ყურადღება არ მიექცა. მატარებლების შემდგენელთ უხდებოდათ დაცლილ ცისტერნების გასინჯვა ნავთის სანათურებით და ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ამას შედეგად არ მოჰყვა ხსენებული შემთხვევა.

აღნიშნულ შემთხვევის შემდეგ მაინც უნდა მიექცეს ყურადღება ელექტრონის სანათურების შეძენის საკითხს. ნავთის პროდუქტების გადაზიდვისათვის ასეთი სანათურები აუცილებლობას წარმოადგენენ, რადგან მით უზრუნველყოფილი იქნება მუშაობის უშიშროება.

ბოროტმოქმედი სტუდენტები

სტუდენტობის საგრძნობი ნაწილი იღებს სტიპენდიას და აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებმა თავიანთ კმაყოფაზე კონტრაქტაციის წესით აიყვანა რამდენიმე ასეული სტუდენტი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც წინათ როგორც დაზღვეული უმუშევრები სათანადო დახმარებებს იღებდენ, ხოლო ამჟამად დანიშნული აქვთ სტიპენდია ან კონტრაქტაციის წესით ეძლევათ ხელფასი, კვლავ განაგრძობენ დახმარების მიღებას დამზღვევი ორგანოებიდან.

ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი იქნა 52 კაცი, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავდა დამზღვევი ორგანოები. ყველა ისინი მიცემულნი არიან პასუხისგებაში.

ის სტუდენტები, რომელთაც დანიშნული აქვთ სტიპენდია, ან ხელფასი კონტრაქტაციის წესით, ვალდებულნი არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სოცდაზღვევის კომიტეტს.

ექსპორტი

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოდან საზღვარგარედ გაზიდულ იქნა 4.045.600 მან. საქონელი. აქედან ხე-ტყე გაზიდულია 730.000 მან. აბრეშუმის პარკი 374.300 მანეთის, ვაშლი—283.000 მან., გამხმარი ხილი 144.000 მან., თამბაქო—1.670.000 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა გაზიდულ იქნა კაკალი, თხილი, ღვინო, ბეწვეული, საუტილიზაციო ნედლეული და სხ. ხსენებულ თანხაში (4.045.600 მან.) არ შედის ამავე ხნის განმავლობაში გატანილ მარგანეცის ღირებულება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 8 მაისს, სასახლეში ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში საღამოს 6 საათზე, შესდგება საზ-ბა „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ვსთხოვთ დაესწრონ აუცილებლად დაუგვიანებლივ: ფ. მახარაძე, ქოქიკაშვილი ა., ხოშერიკი ქ., კანდელაკი დ., არუთინოვი (პროფსაბჭოს კულ. გან.), გეგენავა შ., ნუცუბიძე შ., ჩხარტიშვილი ქ., ოდილავაძე ქ., მესხი ვ., სოსიანი ს., ბუჯიაშვილი, ბიბინეიშვილი ბ., სიხარულიძე ბ., გომართელი ივ., ქობულია ივ., პატარაია, ბუაჩიძე, მამულია ან., ანდრიაძე ქ., გეგეშიძე პლ., ბოკერია პ., ბერია აკ., მახარაძე ნინა, მანჯგალაძე (1-ლი რაიონი), რაქვიაშვილი (უნივერსიტეტი), შანიძე აკ., ვოლფრამი ნატ., დონდუა (შრ. სკ.), ჩხაიძე (ლომბარდი), მახარაძე, ნამიჩეიშვილი (მილ.), ბრეგვაძე ლ., რუხაძე ვლ. (რკ. გზის სამმ.), გიგილაშვილი გრ. (მთ. სახ. რკ. გზ.), ორაგველიძე კალ. (ტრამვაი), ქსოვრელი სერ. (პრ.-6), ჩიტაძე ალექს., გეონჯიანც (თამბაქ. ქარხ. № 1).

—

საქ. კომპ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ 9 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება რაიპარტაქტივის კურსების მეცადინეობა: მეცადინეობის თემა შემდეგია: „პარტმუშაობის გადახალისება". მეცადინეობას ჩაატარებენ ამხ. **მამულოვი, სტეპანოვი, ლისოვსკი, ბედია, შოგირაძე** და სხვა პარტმუშაკები. ქალაქის რაიკომის ყველა მუშური უჯრედები იმეცადინებენ ენგელსის ქუჩაზე (ყოფილი ახალ ბებუთოვის ქუჩა) № 50-ში. ყველა დაწესებულებათა უჯრედები მე-14 შრ. სკოლის შენობაში (მახარაძის ქ. № 4) ბიუროების წევრთა და კურსებზე ჩაწერილთა თავის დროზე გამოცხადების პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს უჯრედების მდივნებს.

—

თბ. ს.უ. ახ. ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 8 მაისს, საღამოს 5 საათზე გაგრძელდება უკანასკნელ კურსის და 8 სემესტრ მოსმენილ კომკავშირელ სტუდენტთა წმენდა.

—

ს.კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ სახ. პოლიტ. ინსტიტუტში პოლიტ-წრის მეცადინეობა შესდგება დეკადის მე-6 დღეს, საღამოს 8 საათზე, ე. ი. 8, 18 და 28 მაისში. 8 მაისს, საღამოს 6 ნახევარ საათზე მოწვეულია წრეების ხელმძღვანელების თათბირი. დასწრება ყველა ხელმძღვანელებისათვის სავალდებულოა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი

ხუთშაბათს, 8 მაისს, მე 13 აბონემენტის მე 5 წარმოდგენა ლენინგრადის საოპერო თეატრის პრემიერის მ. ო. რეიზენის მონაწილეობით

ბორის გოდუნოვი

ყველა მუდმივი შესასვლელი ბილეთები, კონტრამარკები და სტუდენტთა ბილეთები ამ დღეს გაუქმებულია.

ნ. 694

აპოლო — დადგმის მე 2 კვირა მხატვრული ფილმი
შიში
სტეფან ცვეიგის რომანის მიხედვით
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

სპარტაკი — მარიამ ტენაზი მხატვრულ სურათში **ღრუბელთა თავშესაფარი**
ყოფ. არფასტო

ხოლდე — დადგმის მე-3 კვირა
ბიჭია თომას კოხი
ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

პალასი — ახალი ფილმი საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
მეზვედრა
რეჟისორი—გ. გომაროვი
ოპერატორი—ვ. პოზნანი
მთავ. როლებში სახ. არტ. ე. ჩერქეზიშვილი, ტ. მახმუროვა, დ. ყიფიანი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — მხატვრული ფილმი
ვარიეტე
ლია დე-პუტის, ვ. კრაუსის მონაწილეობით
ტრიო ბროუნტალის გასტროლები სრულიად ახალი პროგრამა
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

რუსთაველის თეატრი
ხუთშაბათი 8 მაისი

რკინის გზის დეპოს კლუბის ფონდის გასაძლიერებლად
გრ. რობაქიძე
ლამარა
დადგმა ალ. ახმეტელის
მხატვარი ი. გამრეკელი

დაკარგული
პ. ბილ. № 0861243
გრიგოლ გურჯანაძის
სახელზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაუქმებულად,
ნაპოვნია
და ძალაში რჩება. 2543

1930 წ. 25 მარტს
დაიკარგა
ბეჭედი ასეთი წარწერით: „ამხანაგ გოგეჩიას სახ. ორბელის სოფ. ახ. სკოლა", ჩაითვალოს გაუქმებულად.
სკოლის გამგე
2559 იონა კოპალიანი.

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის აპარატის გამწმენდი საუწყებო
კომისია იუწყება, რომ საქ. სახვაჭრობის თანამშრომელთა

წმენდა

დაიწყება მიმდინარე წლის 11 მაისს, საღამოს 7 საათიდან სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში. (რუსთაველის გამზირი)

სასურველია წარმოების მუშების და „საქსახვაჭრობის" მონათესავე ორგანიზაციების თანამშრომლების დასწრება. აგრეთვე დასწრება შეუძლია ყველა მსურველ მოქალაქეთ.

მასალები საქსახვაჭრობის ცალკე თანამშრომლების შესახებ უნდა გადაეცეს კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ტიგიშვილს საქსახვაჭრობაში კეცხოველის ქ. № 5, ან წმენდის მიმდინარეობის დროს.

კომისიის შემადგენლობა:
თავმჯდომარე ამხ. ტიგიშვილი
წევრები: ამხ.ამხ. არეშიძე, ოგანოვი, როჟუა, კერესელიძე.

2—1 ნ. 705 **კომისია.**

წმენდისა და შემოწმების კომისია.

რომელიც ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. მუშგლეხინის სახალხო კომისარიატთან არის შექმნილი, იუწყება, რომ ა. წ. 5 მაისიდან

იწყება

კავშირგაბმულობისა და რადიოცენტრის ამიერ-კავკასიის სამმართველოს აპარატის

შემოწმება და წმენდა

კომისია სთხოვს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. ყველა მშრომელებს და ორგანიზაციებს, რომელთაც კავშირგაბმულობის და რადიოცენტრის მუშაობის დეფექტების მაჩვენებელი მასალები, აგრეთვე ცალკე მუშაკების საწინააღმდეგო განცხადებები მოეპოებათ, გამოგზავნონ ასეთები შემდეგი მისამართით: თბილისი, ძერჟინსკის ქ., № 8, „ზაკგოსსტრახ"-ი, შემმოწმებელი კომისიის წევრს ამხ. სტეპანოვს.

ნ. 701 **კომისია.**

„ზაკსოიუზი"-ს აპარატის შემოწმებისა და წმენდის ამ.-კავკასიის მუშგლეხინის კომისია იუწყება, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება

„ზაკსოიუზის" აპარატის წმენდა

შემდეგი წესით:

1. „ზაკსოიუზის" გამგეობის მოხსენება გამგეობის აპარატის მუშაობის შესახებ.
2. მუშათა ბრიგადის თანამოხსენება (ქარხანა „მილომას"-ი და „ჟირომას"-ი).
3. მუშაკების საჯარო შემოწმება.

ვსთხოვთ ყველა ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთაც „ზაკსოიუზის" აპარატის მთლიანად და მისი ცალკე თანამშრომლების მუშაობის დამახასიათებელი მასალა ან ცალკე მუშაკების საწინააღმდეგო განცხადებები მოეპოებათ, გაუგზავნონ ასეთები შემმოწმებელ კომისიას მისამართით: რუსთაველის პროსპექტი, ამიერ-კავკასიის მუშგლეხინი, კომისიის თავმჯდომარეს ამხ. შეფტელს.

საჯარო წმენდის დღე და ადგილი დამატებით გამოცხადდება. ნ. 700

---

10 მაისს, მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ბინაზე
(ლუნაჩარსკის ქ. № 2), მოწვეულია

ტრესტის საბჭოთა მეურნეობების გამგეების თათბირი

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ტრესტის მმართველის მოხსენება 1929 წელს საბჭოთა მეურნეობებში ჩატარებულ მშენებლობის შესახებ.
2. მოხსენებები მეურნეობების გამგეებისა 29—30 წელს ჩატარებულ სამუშაოების შესახებ.
3. 1930 წლის ტრესტის საწარმოო-საფინანსო გეგმის პროექტი.
4. 1930/31 წლის ტრესტის საკონტროლო ციფრების პროექტი.
5. მოხსენება საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ.
6. მოხსენება კოლმეურნმშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების როლის შესახებ.
7. მიმდინარე საკითხები.

ტრესტის მმართველი კუხალეიშვილი.

ნ. 704

განათლების მუშაკთა სახლში, 10 მაისს, საღამოს 7 საათზე იხსნება

კურსი—კონფერენცია:

„დამკვრელობა და სოცშეჯიბრება ჩვენს სკოლებში"

მოხსენებას გააკეთებენ ამხ. ს. გოდაბრელიძე და სკოლების წარმომადგენლები. დასწრება პროფდისციპლინის წესით სავალდებულოა განათლების მუშაკთათვის. ნ. 708

დღეს, საღამოს 6 საათზე იწყება

ჯანსახკომის და კურორტთა მთ. სამმართველოს აპარატების წმენდა

სოც-ჰიგიენის ინსტიტუტის შენობაში
(ევანგულოვის ქ. № 12).

ნ. 709 გამწმენდი კომისია.

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობ, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენორადიო თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ხ. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე — ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. სებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—9 საათ. პროფ. ნ. ასპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოც. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.

მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—4 ნ. 733.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამ და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა. ყოფ. ფრეილიძის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

უახლოესი მეგობრები: სტეფანე, დათიკო, ტატიანა, შალვა, ტარასი, ქსენია და სიმონი დარჯანიები; ვერლამი, კატუშა, ვლადიმერი და ლევ-ნი ქაჯაიები: ბარნაბა, ლოლა და ვერა მიქაიები; დ. ჯიქია, დავ. სალაყაია, მანია ბართაია, დუნია ზაქარაია და მირ. გაბუნია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 5 მაისს უდროოდ გარდაიცვალა მედიც. ტეხნიკუმის პირველი კურსის მსმენელი

ბაბილინა (ცქურა) მიხეილის ასული დარჯანია

დაკრძალვა სოფ. ონოღიაში, (სენ. მაზ.), კვირას, 11 მაისს. 2560

დამწუხრებულნი მეუღლე ნიკოლოზი, შვილი კოლია გვარამაძეები; დედა მართა; დები პოლინია, თინა, ძმა გივი ქებაძეები; ბიძები: ვალოდია, ალექსანდრე, ვასილი, პლატონი და აკაკი კობერიძეები ცოლ შვილით; დეიდა კიკა მაისურაძისა, ქმარ შვილით, ბებიები ტერეზია კობერიძისა, მატრონა ქებაძისა; მაზლები გოგი და დავითი გვარამაძეები; მულები: ნინა ნუცუბიძისა, მარიამ ნაჭყებიასი და თამარა გვარამაძე, სიძეები ნიკო ნუცუბიძე და აკაკი ნაჭყებია, მულის შვილები კუკური და ზურაბი ნუცუბიძეები და ნოდარი ნაჭყებია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ელენე ივანეს ას. ქებაძე-გვარამაძისა

დაკრძალვა ქუთაისში 9 მაისს, 4 საათზე, საფიჩხიის სასაფ. ნ. 707

დამწუხრებულნი მეუღლე: ნინო, შვილი გურამი, მამა ურანა, გულდამწვარნი გამზრდელი მამიდა, შვილებით: ლიდა, ზინა, სიძე სარდიონ შველაძე, შვილი შურა, გოგი, რეზიკო ღლონტიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

მიხეილ ურანას ძე კაკაბაძე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათ. დაკრძალვა 9 მაისს ნაშუადღევის 4 საათ. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება გოგოლევის ქ. 55. (ს)

უღრმესად დამწუხრებულნი ბებია და ბაბუა მატრონე და ივლიანე ხელაძეები, დეიდები—ქეთო, სონია და ნინა და ბიძა მიხეილ ხელაძე გულდამწვარი დავსტირით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ დაკარგულს ძვირფას და უსაყვარლეს შვილისშვილებს და დისწულებს

ნათელას (ციცინიკოს) და ნოდარს (ბუდღუს) ცინაძეებს

დაკრძალვა ხუთშაბათს 8 მაისს ს. თავასაში. 2567

თბილისის მე-2 შრომის სკოლასთან არსებული მე-23 ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მასწავლებელ მიხეილ ცინაძის ორი შვილის

ნათელას და ნოდარის

გარდაცვალებას, რომელთა დაკრძალვა მოხდება სოფელ თავასაში

თბილისის მეორე შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მასწავლებელ მიხეილ ცინაძის ორი შვილის

ნათელას და ნოდარის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელთა დაკრძალვა მოხდება სოფელ თავასაში. 2569

თბ მე-2 შრ. სკოლის მეშვიდე მეორე ჯგუფის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს პატივცემულ დამრიგებელ—მასწავლებლის, მიშა ნარომანის-ძე ცინაძის ორი შვილის

ნოდარი და ნათელას

უდროოდ დაკარგვას. 2565

მე 9 შრომის სკოლის პედაგოგიური კორპორაცია, დამხმარე საბჭო და შემაგალი ორგანიზაციები მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდობის ნიჭიერი ორგანიზატორი და აქტიური კომკავშირელი, მე-9 ჯგუფის მოწაფე

გიორგი იასონის-ძე პაპუკაშვილი

დასაფლავება დღეს, 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან შრომის (ყოფ. სამაველხაია) ქუჩა № 76. 2564

თბ. მე-9-ათწლიანი შრ. სკოლის კომკავშირი და მოწაფეთა თვითმმართველობა მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიჭიერი და აქტიური კომკავშირელი, უმცროსთათა უჯრედის ხელმძღვანელი, თვითმმართველობის პრეზიდ. წევრი

გიორგი პაპუკაშვილი

გამოსვენება შრომის ქუჩა № 76, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 8 მაისს, სრულ 4 საათზე. 2564

მე-9 შრომის სკოლასთან არსებული მე-10 ბაზის პიონერ კოლექტივი და ოქტომბრელთა ჯგუფი მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ხელმძღვანელი

გიორგი იასონის-ძე პაპუკაშვილი

დასაფლავება დღეს, სრულ 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან: შრომის ქუჩა, № 76. 2564

თბ. მე-9 შრომის სკოლის მე-8 (პირველი) ჯგუფის მოწაფეები დასტირიან საუკეთესო ამხანაგის, ჩვენი სკოლის მე-9 ჯგუფის მოწაფის ნიჭიერი კომკავშირელისა და ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტის

გიორგი პაპუკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2564

მე-9 შრომის სკოლის მე-9 (მეორე) ჯგუფის მოწაფეები გულისტკივილით აცნობებენ, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ამხანაგი—მეგობარი, აქტიური და ნიჭიერი მოწაფე კომკავშირელი

გიორგი პაპუკაშვილი

რომლის ხსოვნის აღსანიშნავათ მე 9 ჯგუფმა თავის სახსრებით დააწესა ორი სტიპ. ღარიბეს და ნიჭიერ მოწაფეთათვის. 2564

მე-9 შრომის მე-9 სკოლის (პირველი) ჯგუფის მოწაფეებმა დაკარგეს ამავე ჯგუფის ნიჭიერი და საუკეთესო ამხანაგი

გიორგი პაპუკაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დამწუხრებული მისი ამხანაგები. 2564

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამ. აღმასრ.

ხაიმ გააზოვი

ამით აცხადებს, რომ ის სამშაბათს, 13 მაისს, დღის 1 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

კაშენის ქუჩაზე № 11 მდებარე აპოლონ სვანიძის სახლს დახურულს თუნუქით და კრამიტით 11 ოთახისაგან და ერთი სამზარეულოთი, შეფასებულს 4000 მანეთად ბორჯომის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გორის მაზრის სასამართლოსაგან 1928 წლის 21 სექტემბრის № 936-ით გაცემულ აღმასფურცლისა. თუ პირველ ვაჭრობაზე სახლი არ გაიყიდა, მეორე ვაჭრობა შესდგება ოთხშაბათს, 21 მაისს 30 წ. შემცირებული ფასებიდან. ვაჭრობა იწარმოებს ს.ს.ს.კ. 311 და 312 მუხლების დაცვით. 2553

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

აცხადებს, რომ ის 10 მაისს 1930 წ. დღის 10 ს., სახლში № 8 სერნი ქუჩ.

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

მირზა გუსეინ რიზა კაფაროვის მოძრავ ქონებას: კედლის დიდი სარკე, შიფონერკა პატარა სარკით, ნოხი კედლის, შკაფი 5 უჯრიანი და სახლის ერთი მესამედი ნაწილი მდებარე სერნი ქ. № 8, რომელიც შესდგება 9 ოთახისაგან და სამი სამზარეულოთი, სახლი არის სამ სართულიანი. აღწერილი ქონება შეფასებულია 1.275 მანეთად და იყიდება ოზურგეთის საკრედიტო ამხ-ბის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის პირველ უბნის სახალხო სასამართლოსაგან 14 მაისს 1927 წ. № 1615—3111 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება ს. ს. ს. კ. 311—312 მუხლის მოთხოვნილება. 2544

ს.მ.უ.ს. საამშენებლო მასალების ტრესტი იწვევს კახეთში სოფ. საბუეში სახურავი ფიქალის წარმოებისათვის საწარმოო სტაჟის მქონე პირს

უფ. ბუხჰალტრის
თანამდებობაზე

პირობების გაგება შეიძლება ტრესტში (პუშკინის ქ. № 3).

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— სამხედრო წიგნაკი აკაკი ხვიტიას სახელზე.	2555
— საანგარიშო წიგნ. № 140—მიხეილ ალექსის ძე იობაშვილის სახ.	2552
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი—აკაკი მალაქიას ძე ჭუმბაძის სახ.	2546
— სამხედრო სამსახურის უვარგისობის მოწმობა — გერასიმე იოსების ძე მარტიროსოვის სახელზე.	2547
— პურის წიგნაკი „ა" № 2356—მიხეილ ჩიტიაშვილის სახელზე.	2548
— 7 წლ. დამთავრების მოწმობა № 349 და მეტრიკ. ამონაწერი № 2383—ნიკოლოზ ოქროპირის ძე ჯანგირაძის სახელზე.	2549
— პასპორტი—დარჩო არუტინოვის სახელზე.	2552
— პურის წიგნაკი—მიშა ჯიქიას სახელზე.	2542
— მუშკოოპის წიგნაკი თეოდოთი სახოკიას სახელზე.	2550
— საშუალო განათ. მოწმ.—გრიგოლ ელისბარის ძე ზედანიას სახ.	2545
— მუშკოოპის წიგნაკი № 43201—თამარა შუბაშვილის სახელზე.	2558
— პურის წიგნაკი № 24171—ლადო ჯებაშვილის სახელზე.	2557
— პურის წიგნაკი № 24170—დათიკო ლაშხიას სახელზე.	2556
— კოოპერატ. წიგნ. № 7459—არქიპო ლევანის ძე კარსანიძის სახ.	ნ. 702
— სამხ. ნუსხა, გაცემული 1925 წ. შალვა იაკობის ძე კიკნაძის სახ.	ნ. 702
— პირადობის მოწმობა № 502/18506 და სამხედრო სააღრიცხვო ნუსხა № 443—სიმონ ლევის ძე ჩიკვაშვილის სახელზე.	ნ. 702
— პურის წიგნაკი 1 სულის და მეტრიკული ამონაწერი—ვახტანგ გურგენიძის სახელზე.	2562
— პირადობის მოწმობა ივანე გოგიჩაშვილის სახელზე.	2518
— დაზღვევის წიგნაკი ბესარიონ მიქაძის სახელზე.	2518
— ატესტატი № 480—დავით წურწუმიას სახელზე.	2538
— კავშირის წიგნაკი № 13/21238—ვარლამ ქუთათელაძის სახ.	2538
— ტექსტილტორგიდან ფართლის მისაღები შუამდგომლობა № 3984 და გორის „ბოეცი"-ს საწ. წიგნ. № 7670—ოლღა ნარიაშვილის სახ.	2538

ვიტუშა (ვიქტორ) ილიას-ძე ჭარხალაშვილის

გარდაცვალებისგამო მისი დამწუხრებული ოჯახი ღრმეს მადლობას უცხადებს ქუთაისის სახვაჭრობის თანამშრომლებს, ქუთ. და გელათის კომ. ავშირის უჯრედს, ნათესავთ და ნაცნობთ, რომლებმაც უახლოესი მონაწილეობა მიიღეს პირადი დასწრებით და დეპეშების სახით. 2561

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ბიძა ვლადიმერი, ბიცოლა ოლია, ბიძაშვილები შოთა და კუკული ბოკერიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 7 მაისს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარუსია სამსონის ას. გეგენავა

დაკრძალვა 9 მაისს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ანასტასიას ქ. № 13. 2563

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელისაბედი, შვილები: მარო, კიკა, ვენერა, შალიკო და სიძე ლევან გელოვანი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ სტეფანეს-ძე პილურაძის

ხანმოკლე ავადმყოფობით უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან აველევის შესახვევი (ყოფ. ფომინის) 18, შაბათს 10 მაისს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 საათზე. 2529 2—1

ტირაჟი—55.085

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი". კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904